



Ա. Շիրազին

იოსებ მარტინევი

ისე
ჯილაურის
გუნდი

თბილისი 2008

საქართველოს ფოლკლორის სახელმიწოდებელი

გამოცემაზე მუშაობდნენ:	ნანა კალანდაძე ბაია ასიეშვილი ნუნუკა შეველიძე ნანა ვალიშვილი უჩა პატარიძე თეა კასაბური ეკა საყვარელიძე
რედაქტორი	ბაია ასიეშვილი
დამკაბადონებელი	კახაბერ წურწუმია
დაიბეჭდა შპს „ფავორიტში“	

იოსებ მჭედლიშვილი

(1888—1950)

იოსებმჭედლიშვილი — პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, ეთნოგრაფი, მთარგმნელი, ფოლკლორისტი. ეს რეგალიები ერთი კაცისათვის სრულიად საკმარისია, რომ მისი სახელი დავიწყებას არ მიეცეს. მაგრამ თავის დროზე კარგად ცნობილი პოეტი, რომელსაც იოსებ გრიშაშვილის გვერდითაც კი აყენებდნენ, დღეს ახლო წარსულის მივიწყებულ მოღვაწეთა რიცხვშია მოქცეული. ამის ერთ-ერთი მიზეზი, შეიძლება, მისი ნაწარმოებების დაუბეჭდაობაც იყოს: ბოლშევიკური რეჟიმის მიერ ათვალწუნებულ პიროვნებას, ცხადია, ხშირი გამოცემებით არ გაანებივრებდნენ. იოსებ მჭედლიშვილი XX საუკუნის პირველი ნახევრის მწერალია და მეტად მრისხანე დროში მოუნია მოღვაწეობა. 10-იანი წლების მიწურულს ის უკვე საქართველოში ცნობილი პოეტია. მისი ლექსები უურნალგაზეთებში იძექდება, რამდენიმე იაკობ გოგებაშვილმაც შეიტანა „ბუნების კარში“. ბავშვის სამყაროს, მეცხვარეთა ყოფას, მონადირულ ცხოვრებას, საქართველოს ისტორიასა და წარსულს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის შემოქმედებაში („გიორგი მესამე“, „ალექსანდრე ბატონიშვილი“, „ოიანა-ბუიანა“, „შევარდენი“, „თეთრი მდინარე“, „მონადირის დღიური-დან“...). გამორჩეულად აღსანიშნავია თა-

ვანკარა ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული ჩანაწერები, მის მიერ აღწერილი ხალხური სანახაობა-დღესასწაულები — ბერიკობა, ყენობა, მუნჯი სცენები... ხალხურ თეატრზე დაწერილი ნაშრომები: „ქართული ხალხური თეატრი და მისი მსახიობები“ (1928 წელს წაიკითხა კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტზე), „ქართულ სანახაობათა მასალები“, „კლასთა ბრძოლა ქართულ ხალხურ შემოქმედებაში“. იოსებ მჭედლიშვილის მიერ მოძიებულ სანდო მასალებს ივანე ჯავახიშვილი იმოწმებს „საქართველოს ეკონომიკურ ისტორიასა“ და „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითად საკითხებში“. 1935 წელს, შინამრეწველობის მასალების მოძიების მიზნით, მონაწილეობდა ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით მოწყობილ სამეცნიერო ექსპედიციებში გარეკახეთსა და ერნო-თიანეთში. იმავე წელს კოტე მარჯანიშვილს ახლდა კახეთში ხალხური დღესასწაულების მოსაძიებლად და შესასწავლად. ქართული სანახაობა-დღესასწაულები საფუძვლად დაედო ისტორიულ პიესას „ოიანა-ბუიანას“, რომლის დადგმა კოტე მარჯანიშვილსა და დოდო ანთაძეს განუხორციელებელი დარჩათ. სამაგიეროდ შემოგვრჩა ამ პიესის ლადო გუდიშვილისული ესკიზები და ლადო ასათიანის ფუნაგორია: „არ იქნები ჭკვიანად, კიდევ დასწერ ბუიანას“.

იოსებ მჭედლიშვილის მოთხოვნების, პიესებისა და ეთნოგრაფიული წერილების შედარებით სრული კრებული — „ოიანა-ბუიანა“ — 1966 წელს გამოიცა ზურაბ ჭუმბურიძის რედაქტორობით. იოსებ მჭედლიშვილის ღვაწლი და მრავალმხრივი შემოქმედება ვრცლად წარმოადგინა გიორგი ჯავახიშვილმა ნაშრომში, „ლექსისა და სიმღერის კვალდაკვალ“ (2004 წელი). აქვეა მის მიერ მოპოვებული ბიოგრაფიული ცნობები და იოსებ მჭედლიშვილის არქივის მიმოხილვა, რომლითაც ჩვენც ვსარგებლობთ და მეცნიერს დიდ მაღლობას მოვახსენებთ.

იოსებ მჭედლიშვილი დაიბადა 1888 წლის 1 ივნისს გარეკახეთის სოფელ კავაბეთში, ლარიბი გლეხის ოჯახში. სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1910 წელს, ნინო ნაკაშიძის დახმარებით, სწავლა ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში გააგრძელა. მწერალ ქალს მეტად მოსწონებია მომავალი მწერლის გულწრფელი ნათქვამი: უსწავლელი რომ დავრჩე, როგორ უნდა ვწეროო. მკაცრ რეჟიმთან შეუგუებლობის გამო, 1912 წელს იოსები გიმნაზიიდან დაითხოვეს. ამიტომ მან სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო და 1915 წელს მოსკოვში შანიავსკის კერძო უნივერსიტეტში ჩაირიცხა.

ხელმოკლეობა, სიღარიბე, სამშობლოდან ეპისკოპოს ლეონიდის დახმარება, ქართველ სტუდენტთა საზოგადოება, „ქართული ჩაის“

სალამოები, ტიციანსა და გალაკტიონთან ერთად ლექსების კითხვა, კონსტანტინე ბალმონტთან შეხვედრა და... ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი მის ცხოვრებაში: მოსკოვში გაიცნო და დაუმეგობრდა კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილს, შემდეგ კი ეს მეგობრობა შემოქმედებით ურთიერთობაშიც გადაიზარდა: იოსებ მჭედლიშვილს ეკუთვნის დიმიტრი არაყიშვილის ოპერის — „თქმულება შოთა რუსთაველზე“ — ლიპრეტოს გალექსილი ვარიანტი. 1924-25 წლებში მან რუსულიდან თარგმნა დიმიტრი არაყიშვილის რომანსების ტექსტები: ა. ფეტის „სიოვ ნაზო“ და „ვარსკვლავიანსა ღამეს“; ა. მაიკოვის „აღსდექ, შეინავარდე“; მ. დავიდოვის „მე შენ გელი“; ა. პუშკინის „ივერიის მთებზე“, „ნუ, ნუ იძლერ, ტურფავ“, „ვარდ-ყვავილთა სამეფოს მოდი“. სპეციალისტები განსაკუთრებით ინონებდნენ „ვარსკვლავიანსა ღამის“ თარგმანს: ეს რომანი, „მოხდენილი თარგმანისა და მუსიკის ეროვნული ბუნების წყალობით, აღიქმება როგორც ხალასი ეროვნული ნაწარმოები“ (პ. ხუჭუა, დიმიტრი არაყიშვილი, მონოგრაფია, 1980 წ.).

დიმიტრი არაყიშვილი და იოსებ მჭედლიშვილი მოსკოვში ხშირად საუბრობდნენ ქართული ხალხური სიმღერის შესახებ. ერთხელ იოსებს შეუჩივლია: „ხალხი სიმღერებს ასე მღერის: ერთი პირველი მოძახილი, ერთიც მეორე მოძახილი, დანარჩენი ბანს ამბობენ. ქალაქში რომ ჩამოვედი, სულ სხვა ამბავია. ამ მშვენიერ სიმღერებს სხვადასხვანაირი წესით მღერიან. ამას ხალხურ სიმღერებს ეძახიან ლოტბარები და ვერც ისე მღერიან, როგორც სოფლად“. კომპოზიტორი დამოწმებია — შენი საყვედლური სამართლიანია. ერთ-ერთი ასეთი საუბარი, „ბაასი დ. არაყიშვილთან“, სამშობლოში გამოუგზავნია და 1916 წელს გაზეთ „სახალხო ფურცელში“ დაბეჭდილა.

ქართული ხალხური სიმღერის სიყვარული იოსებ მჭედლიშვილი-სათვის თანდაყოლილი თვისებაა, ამას გარემოც უწყობდა ხელს. როგორც დიმიტრი არაყიშვილთან საუბარში ამბობს, მისთვის არ იყო არც თეატრი, არც ოპერა, იყო მხოლოდ ყევნობა, ყველიერი და ის მამაპაპური სიმღერები, რომლებსაც ხალხთან ერთად ისიც მღეროდა. როგორც ჩანს, ხალხური მუსიკის დიდ მოამაგესთან ურთიერთობამ ქართული ხალხური სიმღერისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაუღვივა: „დამებადა აზრი, მომეკრიბა სოფლებში კარგი მომღერლები და ქალაქში გამემართა სალამო, რათა ხალხისთვის ნამდვილი ხალხური სიმღერა მეჩვენებინა“. ეს სურვილი მან მართლაც აისრულა და არა ერთგზის. რა თქმაუნდა, ამ საქმის პიონერი იოსებ მჭედლიშვილი არ ყოფილა, მაგრამ მას ეკუთვნის აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, კახელი მომღერალი გლეხების შეკრებისა და რუსთაველის თეატრში გამოყვანის პირველი

ცდა (ამას წინ უძლოდა 1917 წელს, სამუელ ჩავლეიშვილისა და ვარლამ სიმონიშვილის ხელმძღვანელობით, თბილისში პირველად ჩამოყალიბებული გურულ მომღერალთა გუნდი). რაც მთავარია, მის სახელთანაა დაკავშირებული სამოცი წლის მიხა ჯილაურის აღმოჩენა და ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა. რომ არა იოსებ მჭედლიშვილი, შეიძლება, მიხა ჯილაურის ლაზათიანად და დიდი გემოვნებით შესრულებული სიმღერები ქორწილებსა და დღეობებს ვერც გაცდენოდა და ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობის ისტორიაში კვალი არ დაეტოვებინა.

დიდი საქმის კეთება დიდ ძალისხმევას მოითხოვს — სიხარულთან ერთად ტკივილი და ზოგჯერ უმაღურობაც ახლავს ხოლმე. უამისოდ არც მიხა ჯილაურის გუნდთან ურთიერთობას ჩაუვლია და არა მარტო მასთაც...

1933 წელს იოსებ მჭედლიშვილმა დაწერა მოგონება (თავად ისტორიას უწოდებს), „მიხა ჯილაურის გუნდი“, რომლის ხელნაწერი დედანი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში ინახება და სრული სახით პირველად ქვეყნდება. 1966 წელს ზურაბ ჭუმბურიძემ „ოიანა-ბუიანაში“ მისი მოკლე, საკმაოდ გასხვებილი, ხავერდოვანი რედაქცია დაბეჭდა. ცხადია, იმ დროს ბატონ ზურაბს დედნისეულ ვარიანტს არავინ დაუბეჭდავდა, თუმცა თავად მხოლოდ „მცირე რედაქციულ ცვლილებებსა და ორთოგრაფიულ შესწორებებზე“ მიუთითებს.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს (მაშინდელ ხალხური შემოქმედების სახლს) იოსებ მჭედლიშვილისაგან „მიხა ჯილაურის გუნდი“ 1945 წელს შეუძნენა. არქივში შემონახულია ამ ნაშრომზე ავქსენტი მე-გრელიძის რეცენზია-დასკვნა:

„სათაური ვერ ამართლებს შინაარსს, რადგან მიხა ჯილაურის გუნდზე იმდენს არ ლაპარაკობს, რამდენსაც სხვა გუნდებზე. ბევრი ადგილი აქვს დათმობილი წვრილმანებს, როგორიც არის: მომღერლებისათვის სადილის გამართვა და ავტორის პირადი დამოკიდებულება ზოგიერთი პირებისადმი. რაც ავტორს უნდოდა ეთქვა ჯილაურის გუნდის შესახებ, შეიძლება სამ-ოთხ ფურცელზე მოთავსებულიყო. მიუხედავად ამისა, ეს ნაშრომი ხალხური შემოქმედების სახლისათვის საჭიროა, როგორც ისტორონიული შასალა ხალხური მომღერლების შესახებ“.

ა. მეგრელიძე 22/IV — 45 წელი.

მიხა ჯილაურის გუნდის შესახებ სამ-ოთხ ფურცელზე მოთავსებული მასალა უკვე ორჯერაა გამოქვეყნებული ზურაბ ჭუმბურიძისა და ლადო გეგეჭვორის მიერ. ჩვენ მიზანშენონილად ჩავთვალეთ, რომ

უკვე დადგა დრო, მისი შეულამაზებლად დაბეჭდვისა, ვინაიდან მიგვაჩნია: დღეს ქართული საზოგადოება ამისათვის მზად არის. სათაური იმდენად ამართლებს შინაარსს, რამდენადაც ჯილაურის გუნდი იზოლირებულად, განდეგილად, ყველასა და ყველაფრისაგან მოწყვეტილად ვერ იარსებებდა. ეპოქა, მისი სიმძიმე, გარდამავალი პერიოდი, კომუნისტური იდეოლოგიის წესი მთელი სიმძიმით იგრძნობა. თუმცა ისიც დასაშვებია, ჩვენი მომღერლებისა და ლოტბარების შესახებ ასეთი სიმართლისათვის მავანს მაინც არ ჰქონდეს ყური შეჩვეული, ვინაიდან „ყოველივე ქართულის, ეროვნულის დაკნინების, ხმირად კი დევნის პირობებშიც, თავიანთი სიმღერით ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას ემსახურებოდნენ. იმდროინდელი პრესის ფურცლებზე მომღერლები და ლოტბარები ლამის ეროვნულ გმირებად არიან შერაცხული“ (ედიშერ გარაყანიძე, „ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა“, 2007). „მისა ჯილაურის გუნდს“ ამ ეიფორიიდან გამოვყავართ: თვით ავტორი და მომღერალ-ლოტბარები ადამიანებია და მათვის „არავითარი ადამიანური უცხო არ არის“. თვალში საცემია ავტორის ტენდენციურობა, სუბიექტივიზმი და მრავალი პიროვნებისა თუ მოვლენის მიმართ არაორდინარული დამოკიდებულება (ჩვენ ხელნაწერიდან მხოლოდ აშკარად ტენდენციური, შეურაცხმყოფელი ადგილები ამოვილეთ და შევარბილეთ. რედ.), მაგრამ ამს ფარავს ამ არაპროფესიონალი, არამუსიკოსი კაცის მიღებომა ქართული ხალხური სიმღერისა და მისი შემსრულებლობის მიმართ, რაც დღეს თვით სპეციალისტებშიც ესეოდენ სანატრელი და საძებარია. შეიძლება ვინმეს გადაჭარბებულად, ღირსების შემლახავადაც მოეჩვენოს ავტორის, მომღერლებისა თუ ლოტბარების ფულთან — გასამრჯელოსთან — და მოკიდებულება. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ „მგალობელ-მომღერლებისათვის ეს საქმიანობა შემოსავლის წყარო იყო... და მომღერლის შრომის აუნაზღაურებლობა საბჭოთა იდეოლოგიისა და მენტალიტეტის შედეგია, რომელმაც განსაკუთრებით თავი იჩინა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან: მომღერლები ანსამბლებში სხვადასხვაგვარად, ზოგჯერ სასტიკი მეთოდებით — ძალდატანებით მოჰყავდათ“ (ედიშერ გარაყანიძე, „ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა“, 2007).

20-30-იან წლებში ხალხური გუნდებისა თუ ანსამბლების შექმნა, გლეხების სცენაზე გამოყვანა, საქართველოს ქალაქებსა და კუთხეებში მოგზაურობა, თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმაროთ, კომერციული პროექტებია და, რაგინდ გასაოცარი იყოს, საბჭოთა იდეოლოგია თავის სასარგებლოდ იყენებდა და ხელისუფლებაც მხარს უჭერდა. იმ-სებ მჭედლიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა და „მისა

ჯილაურის გუნდის“ უცვლელად გამოქვეყნება საჭირო და აუცილებელია, რადგან მასთან დაკავშირებულია XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მუსიკალური ფოლკლორის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი. თანაც „ხალხური მუსიკის შესანიშნავ მოღვაწეთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის გარეშე ქართული მუსიკის ისტორია ვერ დაიწერება“ (ვანო შილაკაძე).

გამოცემას ერთვის მიხა ჯილაურის გუნდის ფონოჩანაწერების კომპაქტდისკი (მოძიებულია ანზორ ერქომაიშვილის მიერ).

დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით საქართველოს ეროვნულ არქივს, გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმს, კაკაბეთის ფოლკლორული ანსამბლის — „ბერიკაცების“ — ხელმძღვანელს ნიკო გიგოშვილს.

ბაია ასიეშვილი
ნანა კალანდაძე

მისა ჯილაურის გუნდი

ისტორია

1921 წელს, თებერვლის 25-ს, საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამ ამბავს მე მეტისმეტად მტრულად შევხვდი: გარდა იმისა, რომ გაზეთებში დაიბეჭდა ჩემი ანტიკომუნისტური ლექსები („მწუხარები“ და სხვა), სცენაზე, კლუბებში და ყველგან, სადაც კი შესაძლებელი იყო, გამოვდიოდი იმისთანა მტრული ლექსებით, რომლებიც, შემდეგში რომ მომაგონდებოდა, ურუანტელსა მგვრიდა და ომებს ყალყზე მიყენებდა, თან მიკვირდა: ამგვარი ლექსებისათვის რატომ არ დამხვრიტეს.

ჩემმა ბეცმა და მიუხვედრელმა ახალგაზრდობამ გაიარა. დავდულდი. მიგხვდი, რომ ვებრძოდი იმას, რაც მე მენატრებოდა, მივხვდი, რომ თავს ქვას ვახლიდი, მივხვდი, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოს მოსპობას კი არ ნიშნავდა, როგორც ჩაგონებული გვქონდა, არამედ, პირიქით: თურმე მის ასაყვავებლად და ასამაღლებად შეიცვალა რეჟიმიც და ხელისუფლებაც. ეს მთელი სიგრძე-სიგანითა და სიღრმით შევიგენ, მაგრამ გვიანდა იყო. მე უკვე სახელი გამოტყდა და ჩემმა თანამოკალმეებმა შუბლზე დამღაც დამკრეს: შენ კონტრრევოლუცია ხარ და აქ ადგილი აღარა გაქვსო. რა თქმა უნდა, იმათ კარგად იცოდნენ, რომ მე გულწრფელად მივხვდი შეცდომებს, მაგრამ ჩემი წინ გაშვება არ ინებეს, რადგან

მათთვის ხელსაყრელი არ იქნებოდა. ამის გამო ჩამოვრჩი კულტურულ ცხოვრებას, ჩემს საქმეს და ბუდიდან ამოვარდნილივით დავდიოდი უსაქმოდ. ამიტომვე ბევრი კარგი საქმების შემძლე ხელფეხშეკრულივით ვიყავ. ყველას საქმაოდ დიდი საბუთი ჰქონდა ჩემი ჩამოყენებისათვის, უკან დაწევისათვის; მწერლობაში ნინ ფეხი ვეღარ წავდგი, თუ არ ჩავთვლით სახელგამის მიერ რამდენიმე ჩემი ნაწარმოების გამოცემას.

1927 წელს, ძველმა საზოგადო მოღვაწემ ნიკოლოზ (კოლა) ერისთავმა განიზრახა ლიტერატურული საღამოს გამართვა რუსთაველის თეატრში. მას უკვე შეედგინა საღამოს პროგრამა და ბოლოს მეც მომმართა: — იოსებ, შენ ხალხს უყვარხარ, შენი ლექსების მოთაყვანენი და პატივისმცემელნი საქართველოში ჯერ კიდევ სულ არ გამქრალან და კარგი იქნება, თუ ჩემს ლიტერატურულ საღამოს შენც დაამშვენებ.

დიდი სიმამით დავთანხმდი. კაი ხანი არ გამოვსულიყავ სცენაზე და ამჟამად მტკიცედ გადავწყვიტე აპოლიტიკური ლექსების წაკითხვა, თუ მეორედ გამომიძახებდა საზოგადოება, უნდა მეთქვა ლექსი ლენინისადმი, რომელიც ასე იწყება:

მზეებრ ჩავიდა იგი საფლავში,
ჩავიდა მისთვის, კვლავ ამოვიდეს:
მისი მოძღვრება, ვით მზის კაშკაში
წინ გაგვიძლვება და გზას გაგვიკვლევს...
და სხვა.

მეორე დღეს უნდა ყოფილიყო აფიშები გაერული მთელს ქალაქში. იმედი მქონდა, მასზე ჩემი გვარიც იქნებოდა, მაგრამ აფიშების ბოძთან რომ მივედი ნიკო ერისთავის საღამოს საქებნელად, მან უკანიდან მტაცა ხელი მკლავში და მომესალმა.

მისგან გავიგე, რომ აფიშების გაკვრის ნება არ მიუციათ, როგორც ყოფილი თავადისათვის.

- მერე? — ვკითხე ნიკოს
- მერე ისა, რომ სხვანაირ ხერხს მივმართე: საღამოს გამართვის ნებას აძლევენ ძველ მსახიობს გიორგი იორდანოვს — იორდანიშვილს (ქართული თეატრის მსახიობი).
- მერე? — ვკითხე კიდევ ერისთავს.
- მერე და იორდანოვს ავალებინე ნებართვა.
- ხომ მაინც მოხერხდება საღამო, ხომ მიიღეთ ნებართვა?
- ნებართვა კი მივიღეთ, მაგრამ პროგრამაში შენი გვარი წაშალეს.
- აფიშა დააბეჭდვინე?
- არა, — მიპასუხა მან, — შენს მაგივრად სხვა ვინმე უნდა შევიტა-

ნო და ვის მირჩევო, — მეითხა მან ბოლოს.


ბევრი ფიქრი არ დამჭირდა.

1915 წლიდან განვიზრახე და მიზნად დავისახე, როგორმე თბილისე-ლი ქართველებისთვის მეჩვენებინა ხალხური მომღერლები და ნამდვილი ქართული ხალხური სიმღერები მომესმენინებინა. ამის შესახებ მოსკოვში ვებასე ცნობილ ქართველ კომპოზიტორს დიმიტრი ეგნატეს ძე არაყიშვილს და ეს საუბარი დაიბეჭდა მაშინდელ აკადემიურ გაზეთში („სახალხო ფურცელი“, 9 დეკემბერი, 1916 წელი).

გაასი დ. ე. არაყიშვილთან

ამ დღეებში შევიარე ჩვენს კომპოზიტორ დ. ე. არაყიშვილთან. დიდხანს ვიბაასეთ საქართველოს ანდყო-ნარსულ-მომავალზე და კერძოდ, ქართულ ხალხურ მუსიკაზე. სხვათა შორის მეტად საყურადღებო აზრი გამოსთვავა პატონბა არაყიშვილმა ქართულ ხალხურ სიმღერებზე, რომელნიც მას აქვს ჩანერილი საქართველოში ყოფნის დროს ფონოგრაფით (ხუთასამდე ხალხური სიმღერა აქვს ჩანერილი).

ბაასის დროს არაყიშვილმა, სხვათა შორის, თქვა: მე ბევრჯერ მოვისმინე ხალხური სიმღერები სხვადასხვა ალაგას გლეხებისაგან, მაგრამ განცვიფრებული დავრჩი, როდესაც იგივე სიმღერები გავიგონე ტფილი-სის სცენაზე ქართულ მომღერალთა გუნდისაგანაო, ვსთქვი: რა არის საერთო ამ გუნდისაგან ნამღერსა და ხალხურ სიმღერებს შორის, რომლებიც გაგონილი მქონდა სოფლებში გლეხებისაგანაო. სოფელში ვერც ერთგან ვერ ჰნახავთ, რომ სიმღერაში რამდენიმე პირი იძახდეს პირველსა და რამდენიმე მოძახილი მისდევდეს პირველებსაო. ვერც ქალაქებში კერძო სიმღერებში ნახავთ ამას. ეს ქართული სიმღერის ბუნება არ არის, პირველსაც და მეორესაც მუდამ თითო პირი ამბობს, დანარჩენები ბანს ეუბნებიან. პირველიც და მეორეც სიმღერაში ისე მიხვეულ-მოხვეულებს აკეთებენ, ისეთნაირად ჩააკავან-ჩაარაკრაკებენ ხმას, რომ ყოვლად შეუძლებელია ეს რამდენიმე ხმამ ერთად შეძლოს. სცენაზე კი მთელი „როტა“ პირველებისა



დიმიტრი არაყიშვილი

და მეორებისა გამოჰყავთ ლოტბარებსა და ამახინჯებენ ხალხურ სიმღერებს, რადგანაც ეს მის ბუნებას სრულიად არ შეეფერება. კიდევ ის არის სამწუხარო, — თქვა არაყიშვილმა, — რომ ტფილისის მომღერალ გუნდების ლოტბარებს ხმირად უყვართ თავიანთით რამის ნამატება, რაც მუდამ აფუჭებს ქართულ ხალხურ სიმღერას. მით უფრო სამწუხაროა ესა, რომ ამ ლოტბარებს თავი დიდი მცოდნე ჰგონიათ და საზოგადოებაც უკერებს მათა. შეიძლება, მათი ასეთი სიმღერები მივიღოთ კიდეც, როგორც კარგი, მაგრამ, როგორც ქართული ხალხური სიმღერა, კი არა.

ნიჭიერი და სინდისიერი ლოტბარი, თუ იმას ნამდვილი ხალხური სიმღერების ჩვენება უნდა, არაფერს მოუმატებს, არც გამოაკლებს, რადგანაც ყოველი ნოტი, ყოველი მიმოხვრა ხმისა დამახასიათებელია იმ ხალხის სულისა, რომელიც მასა მღერის, ეს არის ძვირფასი განძი, იმას უნდა გავუფრთხილდეთ, ეს უნდა შევინახოთ, ხოლო, თუ გამოვცვლით, სხვა სახელი უნდა დავარქვათ და არა ქართული — ნამდვილი ხალხური სიმღერა.

რაც შეეხება ოპერას, — სთქვა არაყიშვილმა, — ამბობენ, ოპერა ქართული უნდა იყოს, მაგრამ არ ვიცი, რას ეძახიან ქართულ ოპერას. სცენაზე რომ გმირები გამოვიყვანოთ და თითო-თითოს თითო ქართული ეროვნული, ხალხური სიმღერა ვამღეროთ, ეს ქართული ოპერა კი არა, არავითარი ოპერა არ იქნება.

ოპერა ისეთი როტული, ხელოვნური ნაწარმოებია, რომელიც შეიცავს თავისებურ ფილოსოფიურ იდეებს, მაგალითად: არ შეიძლება ავიღოთ რომელიმე ხალხური სიმღერა და უცვლელად გადავიტანოთ ოპერაში. ოპერას, როგორც ყოველ დრამატიულ ნაწარმოებს, აქვს თავისი მიზანი, რომლის ფსიხოლოგიაც დახასიათებულია მუსიკითა და სხვა. ამიტომ ხალხური სიმღერების უცვლელად გადატანა ოპერაში არ არის მხატვრული ან შემოქმედებითი ფორმა მუსიკისა და ნიშნავს მხოლოდ ხალხურ სიმღერების ეტნოგრაფიას; ხოლო თუ გვინდა ოპერა ქართული იყოს, მასში ისე უნდა იქმნეს ქართული სიმღერების კილო დაცული, რომ ქართველმა თქვას, ქართულიაო, მაგრამ ვერ კი შეეძლოს გამოცნობა, თუ რომელი სიმღერიდან არის იგი ამოღებული და გადამუშავებული. ასეთი ოპერა ქართველის გულს მოხვდება და უცხოსაც დიდად აამებს, — ასე დაათავა ბაასი დ. ე. არაყიშვილმა.

... რა აზრი ჰქონდა, რისთვის მინდოდა ხალხური მომღერლების თბილისში ჩამოყანა? — უეჭველია, მკითხველს ეს კითხვა დაებადება. მით უფრო, ცნობილი იყო თბილისში მაშინდელი სიმრავლე ხალხური გუნდებისა, რომელთა ლოტბარებიც კამერტონების წკრიალით, ტონის მიცემითა და ხელების ქნევით იყვნენ ცნობილნი საზოგადოების წინაშე.

ამის საპასუხოდ მოკლედ უნდა ვთქვა: ქართულ ხალხურ სიმღერას არავითარი ტონის მიცემა და მერე ხელების ქნევა არა სჭირდება. ქართული ხალხური სიმღერა სამხმიანი, ორხმიანი და ერთხმიანია, უმეტეს შემთხვევაში, სამხმიანი. პირველ მოძახილს მეორე მოძახილი მიჰყვება და მერე რამდენიმე ბანი შეავსებს ჰარმონიას, ამასთანავე ყოვლად შეუწყნარებელია რამდენიმე პირველი და რამდენიმე მეორე მოძახილი მღეროდეს, ისევე, როგორც „ევგენი ონეგინში“ ორმა ონეგინმა და ორმა ტატიანამ იმღეროს.

ხალხური მომღერლები, ვინც უნდა აიღოთ, არამც თუ ცნობილი მომღერლები, თვით გლეხიც, რომელსაც ჩვეულებრივი ნიჭი შესწევს სიმღერისა, ერთსა და იმავე სიმღერას ხან ასე იმღერს, ხან — ისე. მოკლედ ხალხური სიმღერა იმას ნიშნავს, რომ მისი ყოველი შემსრულებელი გლეხი ამ სიმღერის ავტორიცაა. ამიტომ შეუძლებელია რამდენიმე კაცი ამბობდეს პირველს და რამდენიმე — მეორეს.

რაც შეეხება ხელების ქნევას, ეს პირდაპირ უაზრობა და ამაო შრომაა. ეს ჩვენმა ქალაქელმა ლოტბარებმა ისწავლეს ევროპელთაგან. მაგრამ ერთი რამ ვერ გამოიცვნეს: ევროპაში ხალხურ სიმღერებს კი არ უქნევდნენ ხელებს, არამედ კომპოზიტორთაგან შექმნილ გუნდებს. მე ვფიქრობდი, რომ ისეთი ხალხური სიმღერები, როგორიც ჩვენა გვაქვს, ევროპელებს ან არა ჰქონდათ, ან თუ აქვთ, მას არ უქნევენ ხელს.

ჩვენი ლოტბარები კი ხალხურ სიმღერებს ასწავლიდნენ გუნდის წევრებს, სიმღერასაც ამახინჯებდნენ და მღერის წესსაც ღალატობდნენ (მათ რომ ვკითხოთ — აკეთებდნენ), რაც ხალხურ სიმღერას ხალხურობას ართმევდა, ართმევდა ორიგინალურ სახეს.

სწორედ ამ მიზნით მინდონა ჩამომეუყვნა სოფლიდან ხალხური მომღერლები. მინდონა, თბილისელებისთვის მეჩვენებინა, თუ რა იყო ქართული ხალხური შემოქმედება, რომელიც ჩვენი მაშინდელი ლოტბარების ხელში მახინჯდებოდა და გადაგვარების გზას ადგა.

— ვინ წაშალა ჩემი გვარი? — ვკითხე ნიკოს.

— ახალგაზრდა ყმაწვილია, მგონი, ჰატიკო ქიქოძეს იტყვიან.

— ჰო, ვიცი, — წავიბურტყუნე ჩემთვის.

ხელოვნების მთავარ სამმართველოს მაშინ ეს ყმაწვილი, ნაროუშვილი, ლუარსაბიძე და სხვები განაგებდნენ. ამ ახალგაზრდებს მე არ მოვწონდი, ეჭვის თვალით მიყურებდნენ და ყოველგვარი საბუთიც ჰქონდათ ამისი: მათ სრული უფლება ჰქონდათ ჩემი გვარის ამოშლისაც და ჩანერისაც, ამიტომ კოლა ერისთავს ვუთხარი:

— ჩემს გვარს რომ წაშლიდნენ, წინდანინვე ვიცოდი. ამიტომ მინდა, ჩემი ადგილი ისეთ ვინმეს შევთავაზო, რომელიც ჩემზე უკეთესად თუ არა, ნაკლებ მაინც არ გამოიტანს სცენაზე ჩვენი ხალხის თავისუფლებას, სიკეთეს, ეროვნულ-ხალხურ სახეს.

— ვის გინდა დაუთმო შენი ადგილი? — შემეკითხა იგი მოუთმენლად.

— დიდი ხანია განზრახვა მქონდა, კახეთიდან ჩამომეყვანა განთქმული მომღერლების გუნდი, მაგრამ ამისი საშუალება ვერ მოვიპოვე — ვერც მეფის რეჟიმის დროს, ვერც მენშევიკების ხანაში და, მე მგონია, რომ ახლა ამისი დრო არის სწორედ. ამიტომ შენი სალამოსთვის კახეთიდან გამოვუძახებ გლეხ მომღერლებს, რომლებიც შენც გასახელებენ, ქართველ ხალხსაც და ჩემი მიზანიც მიღწეული იქნება.

ეს რომ ვთქვი, კოლა ერისთავს ისე მოეწონა, რომ სიხარულისაგან ტაში შემოკრა.

— ვინ გინდა ჩამოიყვანო? — მკითხა მან ბოლოს.

— შიდა კახეთში განთქმულია გლეხი მომღერალი შილდელი დედას ლევანია. მართალია, ყარალაშვილები უფრო კარგა მღერიან ქართულ ხალხურ სიმღერებს, მაგრამ ისინი თავადები არიან და მათ სცენაზე არავინ გამოუშვებს. ამიტომ დედას ლევანა ჯობია, ის საწყალი გლეხია და კარგი მომღერალიც.

რა თქმა უნდა, რომელიმე ლექსის წაკითხვას სჯობდა, სცენაზე გამოგვეტანა იმისთანა სიმღერები, როგორიც არის: „კახური მრავალ-უამიერი“, „ჩაკრულო“, „ხეურო“, „მაყრული“, „მხედრული“, „ლმერთო-ლმერთო“, „ჩიონგურო“, „თამარ-მეფე“, „ალილო“, „ჭონა“, „ბერიკაცივარ“, „მკის სიმღერა“, „თოხნის სიმღერა“ და ათასი სხვა.

გადავწყიტეთ და იმავე დღეს დეპეშა ვაფრინე თელავში მასწავლებელ გიორგი ბურჭულაძესთან, რათა მას შილდიდან დედას ლევანა წამოეყვანა. ამის გამო ჩვენ საღამო ერთი კვირით გადავდეთ. ნიკომ მეორე დღეს, მთავლიტის მოთხოვნით, შეცვალა ჩემი გვარი დედას ლევანას მომღერალი გუნდით, რაც თურმე იმათაც ძალიან ესიამოვნათ.

გიორგი ბურჭულაძემ მესამე დღეს ჩამომგვარა დედას ლევანა და მისი პირველი მოძახილი ალექსი ელოშვილი (ისიც შილდელია).

რა თქმა უნდა, ეს ორი კაცი, პირველი და მეორე მოძახილები, სიმღერას ვერ იტყოდნენ, მით უმეტეს, რომ ყოველ სიმღერას თავისი მომღერალი ჰყავს, მაგალითად: „მრავალუამიერს“ შესანიშნავად მღერის დედას ლევანა, „ჩაკრულოს“ — მიხა ავგაროზიშვილი, „ლმერთო-ლმერთოს“ — ალნიაშვილი, ნაზარა და სხვა. ყველა ესენი რომ გამომეწვია, არავითარი საშუალება არა მქონდა და ვითიქრე: რასაც ეს ორი კაცი იმღერებს, ჯერჯერობით ესეც საკმარისი იქნება თბილისისათვის, რაც შეეხება ბანებს, ამას აქ, თბილისში, მოვუძებნი-მეთქი. ასეც მოვიქეცი.

... დედას ლევანა და ელოშვილი ჩემსას ჩამოვიდნენ, მე მაშინ ვცხოვ-რობდი ჩემი პირველი მეუღლის ირა გერცევას სახლში (შიო ჩიტაძის ჩიხი 1), რომელიც ფუნიკულირის წინ ახლად გაშენებულ ბაღს გადაჰყურებდა. ბინა ფართო მქონდა და ეს საპატიო სტუმრები კარგად მოვაწყვე.

დავაძინავე თუ არა სტუმრები, დავუძახე ჩემს მეგობრებს და მომ-

დერლების გამოსაცდელად პატარა წვეულება გავმართე. დედას ლევანას სიმღერა მე გაგონილი მქონდა 1908 წელს და ვშიშობდი, ვათუ ახლა ისეთი ხმა აღარა ჰქონდეს და ხალხის წინაშე არ შევრცხვე-მეთქი.

მართლაც, დედას ლევანა 76 წლის იყო, ელოშვილი — 82-ის და ქეიფებში გაცვეთილ ხალხს რაღა ხმა უნდა შერჩენოდათ?! იმღერეს სიმღერები, ამ სიმღერებში მოსჩან-და უზარმაზარი გენია ქართველი ხალხისა, მისი კულტურა, საუკუნე-თა განმავლობაში გულით ნატარი ტანჯვაც, სიხარულიც, კვნესაც და სიცილიც, მაგრამ ლევანას გაბზა-რული ხმა, ხოლო ელოშვილის აქა-იქ ხრინი, მაღლნებდა, თუმც გულს იმით ვიმედოვნებდი, რომ ამ ძვე-ლი ოსტატების ყელში, რაც უნდა მრუდედ ამოსულიყო სიმღერა, მაინც ურუანტელს მოჰვერიდა მსმენელთ.

ის დედას ლევანა, რომელსაც ბავშვობაში ვიცნობდი, აღარ იყო. მას თავისი პენი დაჲკარგოდა, ხავერდი გადასცვეთოდა ხმაზე, მაგრამ სიმღერას ისევ ისე მშვენივრად და ოსტატურად მღეროდა. მან მთლი-ანად მაინც ვერ დამაკაყოფილა. ამიტომ სალამოს მატარებლით ვაფ-რინე ჩემი უმცროსი ხმა დიმიტრი ჩვენს სოფელში — კაკაბეთში, სადაც ცხოვრობდა სამოცი წლის მომღერალი მიხა ჯილაური და დავავალე: მკვდარი თუ ცოცხალი, ხვალვე აქ უნდა მომგვარო-მეთქი.

მეორე დღეს, სალამოს ექვს საათზე, დიმიტრიმ კაკაბეთიდან ჩამოი-ყვანა მიხა ჯილაური. მომღერლებს გავაცანი ერთმანეთი. ავუხსენი ჩემ მიერ დაწყებული საქმის მიზანი და ვთხოვე სიმღერა. როცა მიხამ დაი-წყო „ჩაურულო“, დედას ლევანამ ყბა დააღო და, ცოტა არ იყოს, ეწყინა. მიხას ხმა ზარივით გაისმა, ოთახი გაავსო და შიგ რომ ვერ დაეტია, გა-რეთაც გაიჭრა. ამ ხმაზე ბალში მსხდომი ხალხი წამოიშალა და მოაჩერდა ჩემს ფანჯრებს. დედას ლევანას ძალიან ეწყინა და მეორე მოძახილი აღარ უთხრა.

ქართველებს დიდ ღირსებებთან ერთად დიდი ნაკლიცა აქვთ: თუ შეატყო თავის მომეს რაიმე სიკეთე, შურით აიგსება — ან გასკდება ამ შურით ან იმდენს იზამს, მოსპონს მოპირდაპირეს.

— ლევან, — ვუთხარი მე, — შენ შენს ჯეელობაში მიხასა სჯობდი, შენი სახელი ქვეყანამ იცის, მაგრამ რა არის, რომ ახლა თექვსმეტი



დედას ლევანა

წლით შენზე უმცროსს უკეთესი ხმა ჰქონდეს?! თქვენ ხომ ერთი დედის შვილები ხართ, ნუ გაუწევთ ერთმანეთს ჯიბრს, პირიქით, ერთმანეთს უდელი კარგა გაუწიეთ, რომ ჩვენს მშობელ ერს, ჩვენს ხალხს, მთელი სიგრძე სიგანით ვუჩვენოთ ხალხური შემოქმედება; ამისთვის ის დიდ მადლობას გვეტყვის, მის სიყვარულსა და უალრეს პატივისცემას და-ვიმსახურებთ. ჯიბრი კი ამ საერთო, ეროვნულ-ხალხურ საქმესაც წაახდენს და ხალხსაც შეკეზიზლებით, დამიჯერეთ!

ლევანამ ყური კარგა დამიგდო, ელოშვილმა კვერი დამიკრა და ლევანაც დამთანხმდა. ოღონდ ის კი მითხრა, მიხასთან შეჩვეული არა ვარ, ხმა არა მაქვს მასთან შეწყობილი და, ამას გარდა, ამ სიმღერებს გარეკახეთში სხვანაირადა მღერიან, შიდა კახეთში კი სხვანაირადო, ამიტომ შეიძლება ვერ შევენყოთ ერთმანეთს, კილო კილოს ვერ მივუყ-ენოთ და სიმღერა გაგვიფუჭდესო.

დაგსხი ისევ სუფრაზე. სტუმრად საუკეთესო მცოდნე ხალხი მყავ-და მოწვეული. მათთვის მობანეებად მოვიყვანე ჩემი ბიძაშვილები — გიორგი და ნიკო, ორი კაციც სხვა. ეს საკმარისი იყო ქართული ხალხ-ური სიმღერის სათქმელად. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენს ხალხურ სიმღერებს შვიდი-რვა კაცის მეტი არ უნდა.

პირველი სადლეგრძელო ლევანასი იყო. მიხა ჯილაურს ვთხოვე, დედას ლევანას სადლეგრძელოდ „მრავალუამიერი“ დაეწყო. ლევანას მეორე მოძახილი დავგვალე. მიხამ აარაკრაკ-ჩაარაკრაკა, ლევანამ შეუტია თავისი მედიდური ხმით, ჩვენც კარგა ვუთხარით ბანი და ჩემს სახლს ალყა შემოარტყეს მსმენელებმა. გარედან გვიკვეთავდნენ — ესა და ეს სიმღერა თქვითო.

ვიმღერეთ სხვა სიმღერებიც. ლევანა და მიხა მშვენივრად შეეწ-ყვნენ ერთმანეთს. გამეხარდა. ცამდე ავიწიე, ამაღამ თავს ვისახელებთ ხალხური სიმღერებით-მეტეი.

სუფრიდან შვიდ საათზე ავდექით. მე დედას ლევანასთან, მიხა ჯი-ლაურსა და ელოშვილთან ერთად პირდაპირ თეატრში წავედი, დანარ-ჩენები კი, ვისაც ბანი უნდა ეთქვა, წავიდ-წამოვიდნენ და დამპირდნენ: ნახევარ საათში ყველანი თეატრში მოვიდოდნენ.

აუარებელი ხალხი მიაწყდა თეატრს. ამას ხელი შეუწყო გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიჩინა ხალხური მომღერლებისადმი, ჩემთან სახლში გამოგზავნა ფოტოგრაფი, გადაი-ღო ამ მომღერლების სურათი და დაბეჭდა კიდეც.

კონცერტის წინა დღეს, როდესაც ფოტოგრაფმა სურათი გადაიღო და წამოვიდა, მას ჩვენც ჩამოვყევით რუსთაველის პროსპექტზე. მაშინ რუსთაველის თეატრის პირდაპირ ტროტუარზე გრძელი სკამები იდგა. მერხზე ჩამოვსხედით მე, ელოშვილი და დედას ლევანა. ჩვენს გვერდით იყო სააფიშო ბოძი, რომელზედაც, სხვათაშორის, ჩვენი საღამოს აფიშაც გაეკრათ, რომლიდანაც დიდი, ერთი მტკაველის სიგრძე ასოებით ეწერა

„დედას ლევანა“. ვიღაცა კაცმა, ტროტუარზე ჩვენ წინ რომ მოდიოდა, თითო გაიშვირა აფიშისაკენ და მეორე თანამგზავრს უთხრა: აგერ დედას ლევანაო. ლევანას ეგონა, შეეშალა — სხვა კაცში ერევა, თორემ მე აქა ვარ და ის იქ უჩვენებსო. წამოხტადა მიაძახა: ის კი არა, მე ვარო. მაგრამ უცნობი კაცი გამზღელ-გამომვლელი აირია... ლევანა დავსვი სკამზე.

ლევანა ბრაზობდა: ვიღაცა მექებს და შეეშალაო. ამ დროს ნაცნობი დამელაპარაკა და დამავიზნედა, ლევანასათვის ამებ-სნა, მას კი არ ეძებდნენ, გაჟოთ „ზარია ვოსტოკა“, 1927 წელი ნაცნობმა ნაცნობს აფიშა აჩვენა, რომელზეც დედას ლევანა დიდი ასოებით ენერა. მან კი კითხვა არ იცოდა, არც ის იცოდა, რომ ქალაქში აფიშები გაეკრათ.

დავბრუნდეთ ისევ უკან.

სუფრიდან რომ ავიშალენით, კონცერტის დღეს მე ჩემი მომღერლებით ჩავედი რუსთაველის თეატრში. შესასვლელი ხალხით იყო გაჭედილი. გვიცვნეს და განის დაგდება უნდოდათ, გზის მიცემა, მა-გრამ ტევა ალარ იყო. როგორც იქნა, შევედით თეატრში.

დედას ლევანაც და მიხა ჯილაურიც გაკვირვებულები იყვნენ ამდენი ხალხით. მათ ეგონათ, რომ ამ ხალხს მათვის კი არა, სხვა რამ დიდი საქმისთვის მოეყარა თავი. არ იცოდნენ, რომ ეს თავპირისმტვრევა და ზედატეხა მათვის იყო, მათი კონცერტის ბილეთებისათვის.

ეს „გასტროლიორები“ თავის სიცოცხლეში პირველად იყვნენ არამაც თუ სცენაზე, არამედ — თეატრში, თბილისში — მეორედ თუ მესამედ. ამიტომ ძალიან გაკვირვებულები ყველაფერს გაოცებული თვალით უყურებდნენ და ათასნაირ რამეს მკითხავდნენ. სცენაზე დედას ლევანამ ტყის დეკორაცია დაინახა...

— აბა, ე, რაღა! — ისეთნაირად გაიკვირვა, რომ გამეცინა. საერთოდ მეტისმეტად გულუბრყვილო და მიამიტი იყო. მშვენიერ, მოხდენით სასაცილო კითხვებს იძლეოდა და შიგა და შიგ ხუმრობდა კიდეც. ისე ხუმრობდა, რომ სიცილით ვიხოცებოდით:

— ჩემმა ცოლმა რომ გაიგოს, თუ ამ დღეში ჩაგვყარე, ისე დაგწყევ-

Народные певцы:



Певцы Дедас-Левана и Ал'виси Эжовили.

Сегодня на литературно-музыкальном вечере в театре Руставели выступил приглашенный из Кахетии известные народные поэмы - крестьяне Дедас-Левана и Ал'виси Эжовили.

В Кахетии эти песни пользуются большой популярностью и любви народа. Они сохранились в нетронутом виде старинные хакетинские песни, их неподдельную чистоту и обличие.

На вечере 21-го мая Дедас-Левана и Эжовили исполнили поочереди «Урмаци», затем — «Кахур მრავალ-ჯამი» и «Лакруни» («Замагри»).

В исполнении Дедас-Левана и Эжовили эти произведения народного творчества представляют песни торжествующего труда; песни эти обычно исполняются в Кахетии и сейчас после конца полевых работ.

Дедас-Левана Дедас-Левана Эшовили 39 года; Евгения Абабашвили Дедас-Левана — 76 лет; обе они из сел Шилла, Телавского уезда. Они поют единственное оставшееся в жанре исполнители

старинных древних поэм и пр.

Их спектакль — «Накхури» (песни жизни). «Шулманы, птицы наудо» (потрясающая драма), «Лутури» (песни пахаря), «Урмаци» (песни агробизнеса), «Мумхи мухаси и Мангури» (горожане), «Мразад-ჯамиери», «Чакруни» (астоловые) и пр.

Из крестьян — слушателей Абабашвили и Эжовили, вырабатывается кадр молодежи любителей и будущих певцов.

ალექსი ელოშვილი და ლევან ასაბაშვილი. ალექსი ელოშვილი და ლევან ასაბაშვილი. გაჟოთ „ზარია ვოსტოკა“, 1927 წელი

Абабашвили и Эжовили и сейчас крестьянистуют. Он являются желанными участниками и украшением спектаклей, устраиваемых драм. кружками в больших селах.

ლის, ფეხი აგერეოდაო.

— რათა, ლევან?

— მაშ, აბა, ე, სად მოვიყვანე! ეხლა რო თავი გაგვანებო, სულიან-ხორციანად დავიკარგებით.

ლევანას კითხვებს თავი გავანებე. დავსხი ერთ ადგილას, აქედან ფეხი არ მოიცვალოთ-მეთქი და ბანებს დაველოდე. ნახევარ საათში უნდა მოსულიყვნენ, მაგრამ ნახევარი საათიც გავიდა, მთელიც, ისინი კი არსად ჩანდნენ.

ცოტა შევფიქრიანდი. მაშინვე კარისკენ გავქანდი.

ჩემი მომღერლები ჩოხის კალთებზე მებძლაუჭებოდნენ, მალ-მალე თავს ზუ გვანებებ, არ დავიკარგოთ. ისინიცა ღელავდნენ, მეც.

— კაცო, ამოდენასახლებში როდავიკარგოთ, გზას ვიღა გვიჩვენებს. შილდის ტყეში არ დავკარგულვარ და ამ ტყეში რომ დავიკარგო, თავი მექნება მოსაკლავიო, — ამბობდა დედას ლევანა.

მე ვამშვიდებდი. თან შემოსავალ კარისაკენ გავრბოდი და გამოვრბოდი, ბანები კი არსადა ჩანდნენ.

ვიდრე გავაგრძელებდე ამბავს, ერთი გარემოება უნდა გავაცნო მკითხველს.

როგორც მოგახსენეთ, ქართული ხალხური სიმღერები სახელგა-ტეხილი იყო ქალაქში და დამახინჯებულიც. ეს რომ ხალხისთვის ნათ-ლად და მკაფიოდ მეჩვენებინა და დამმახინჯებლებზეც ჯავრი კარგად ამომეყარა, პირველი განყოფილებისათვის ნიმუშად მოვიწვი თბილი-სის ხალხური სიმღერების მომღერალთა გუნდი ალექსანდრე მაისურა-ძის ხელმძღვანელობით.

აი, ეს ალექსანდრე იყო იქა და გული მტკითადა, რომ იმას უნდა შევხ-ვენოდი, მოეცა ჩემთვის რამდენიმე კაცი, რომელთაც, თუ ჩემი ბანები არ მოვიდოდნენ, დახმარება გაეწიათ ჩევნთვის.

ვთხოვე მაისურაძეს. ის სიამოვნებით დამთანხმდა და ზარი მისცეს თეატრში პირველი განყოფილებისათვის.

ფარდა რომ აიხადა, ალექსანდრე მაისურაძის გუნდს ყოველი სიმ-ღერის გათავებისას, ხალხი უყვიროდა: ჩქარა გაათავეთ, დედას ლევა-ნა გვინდაო. ამით ალექსანდრე ძალიან ნაწყენი დარჩა. მან, როგორც იყო, დაასრულა პირველი განყოფილება. ხალხს გაუხარდა, ფარდა რომ ჩამოვიდა, მე კი ვწუხდი, ნეტავ კიდევ გაეგრძელებინა, მანამდე იქნებ ჩემი ბანები გაჩენილიყვნენ სადმე.

ანტრაქტი თხუთმეტ წუთს გავაგრძელე, იქნებ ბანებმა შემომის-წრონ-მეთქი. კიდევ მინდოდა გამეგრძელებინა, მაგრამ ხალხი ადგი-ლიდან არ იძვროდა, ისმოდა შეძახილები:

— დედას ლევანა!..

— დროა!

და კიდევ ვინ იცის, რას არ იძახდა ხალხი.



ალექსანდრე მაისურაძის გუნდი. 1910 წელი

ჩემი ბანები კი ისევ არსადა ჩანდნენ. ალბათ გადაკრულში მყოფებს სახლში ტკბილად ჩაეძინათ და აიხუნშიაც არ მოსდიოდათ ის გასაჭირი, რომელშიაც მე ყელთამდე ვიყავ ჩავარდნილი.

მე ისევ მაისურაძის ამარა დავრჩი.

ნათხოვნი ბანები მომცა — ოთხი კაცი. კულისებში წავამლერე, რათა როგორმე მათი ხმები ერთმანეთისათვის შემერყო, მაგრამ ვატყობდი, არაფერი გამოდიოდა. ხალხი კი ყვიროდა: ჩქარა, დროაო!

ბოლოს შევთანხმდით ასე: მე მიგდეთ ყური, პანს მე ვეტყვიდა ხელებს ნუ გამაქნევინებთ, ყური ჩემკე გქონდეთ: დაუშვებ ბანს — დაუშვით, ავუნევა — აუნიეთ-მეთქი. მაგრამ თვითონ მეც ისე ვიყავ ალელვებული, რომ წამლერების დროს თავადაც არ ვამბობდი სწორად და იმათაც ვრევდი.

ხან ჩემი იმედი მქონდა, ხან იმათი, რომ, აპა, ან ეხლა მოვლეხ, ან ეხლა-მეთქი. მაგრამ მოსასვლელები მაინც არსადა ჩანდნენ.

დავრჩი ჩემი თავის იმედად.

მოთმინების ფიალა აევსო ხალხსაც და მეც.

ბოლოს ავანევინე ფარდა... როცა ხალხი სულ დაწყნარდა და მოლოდინით გაიკმინდა, გავუძეხ წინ მომლერლებს და გავედით სცენაზე. სწორედ აფეთქებასა ჰგავდა პარტერში ავარდნილი ტაშის გრიალი. მთელი წახევარი საათი ისმოდა „ვაშა“-ს ძახილი და ტაში.

— გაუმარჯოს ქართველი ხალხის გენიას! — ყვიროდა ზევიდან ვიღაცა.

ამ ამბით გაკვირვებული მომღერლები გახეტებული დადგნენ სცენაზე და არ იცოდნენ, რა ექნათ. მე ვუხსნიდი, ვუყვიროდი, ქუდი მოიხადეთ და ხალხს სალამი მიეცით-მეთქი. მაგრამ იმ აურზაურში ვერაფერი გავაგებინე, მაშინ მოვგლიჯე დედას ლევანას თავზე ქუდი და ჩავძახე ყურში, ხალხს სალამი მიეცი-მეთქი.

მიუხედავად იმისა, რომ მათ ეს სცენაზე გასვლამდე ავუხსენი, მაინც ყველაფერი დაავინყდათ. ბოლოს, როგორც იყო, ლევანამ ხელი ასწია ზევით, — გაუმარჯოსო, — დაიყვირა.

ხალხი დაწყნარდა. მომღერლები მათთვის გამზადებულ სკამებზე დავსხი, ხოლო მე მოკლე სიტყვით მივმართე ხალხს:

ამხანაგებო!

თქვენ მოგეხსენებათ, რომ წარსულში საზოგადოების ყველა ფენას ჰყავდა თავისი გემოვნების მომღერლები. რუსეთის საიმპერატორო თეატრში ცნობილი იყვნენ შალიაბინი, სობინოვი და სხვები. მაგრამ ნურავინ იტყვის, რომ იმ ხალხს ჰქონდა გემოვნება და ძონებში გახვეულ ქართველ გლეხს კი არა — ჩვენ გლეხსაც უყვარდა თავისი მომღერლები.

დღეს ასეთ მომღერლებად ცნობილი არიან დედას ლევანა, მიხა ავგაროზიშვილი და სხვები. ქართველ ხალხს ვთხოვ, მოუსმინოს თავის გულისცემას.

ხალხმა ტაში დამიკრა და მივუბრუნდი დედას ლევანას.

— ლევან, მიხა დაიწყებს და შენ მოძახილი უთხარ, ჩვენც მოგყვებით.

— კაცო, მე ჯილაურთან შეწყობილი არა ვარ, ელოშვილმა მითხრას პირველი, — იუარა ლევანამ.

სისხლი თავში მეცა სიბრაზით. ვიცი, რადაც არ უნდა ლევანას იმ-ღეროს მიხასთან. ლევანა სახელგანთქმული მომღერალია მთელ შიდა კახეთში, მან სიბერის გამო ხმა დაკარგა და არ უნდა, იმაზე კარგი გამოჩენეს ჯილაური. ამიტომ ამბობს: პირველი ელოშვილმა მითხრას, ეს ჩემი მომღერალია, შეჩვეულები ვართ.

— რა დროს ვაჭრობაა, კაცო! — ვუყვირი ლევანას და ვატყობ, რა-ლაც ლამაზი არ გამოდის, ლამაზი სურათი არ იხატება მაყურებლის თვალში.

ლევანამ ისევ ალექსი ელოშვილი მიისვა გვერდით და საჩქაროდ შემოსხახა „კახური მრავალუამიერი“. ელოშვილმა ხრინწიანი ხმით აუნ-დაუნია, მისი ხმა ლევანას ზორბა და ყოყოჩა-მედიდურ რუხერუსში აღარა ისმოდა. ეს უნდოდა სწორედ ლევანასაც: იგი სხვას არ გაუშვებს წინ, საცა ის არის, იქ იმის მეტი აღარავინ არ უნდა ჩანდეს.

მიხა ჯილაური მოიკუმშა, ეს პატარა ტანის კაცი უფრო დაპატარავდა და გაირიყა. გულხელდაკრეფილი იდგა განზე, როგორც ჭიტლაყა-ამოკრული, გაძევებული, დაწიხლული...

მეც ავირიე. სიბრაზისაგან ოფლმა ხან ცივად დამწინწკლა, ხან —

თბილად. ბანს ვეუბნებოდი, მაგრამ ვატყობდი, რომ ვერც მე ვამბობდი სწორად და ვეღარც მაისურაძის გუნდის წევრები. ჩემი გონება სულ-მთლად არეული იყო.

გაიგა გლახით, როგორც იყო დავასრულეთ სიმღერა. ხალხმა მაინც ოვაციები გაგვიმართა ტაშითა და, — „გაუმარჯოს“, — ძახილით. როცა დარბაზი მიწყნარდა, ვიღაცამ დიდი ხმით დაიძახა, რომელია დედას ლევანაო.

დედას ლევანამ ეს თავისებურად გაიგო: მას ეს ის კაცი ეგონა, რომელიც გუშინ აფიშაზე უჩვენებდა თავის თანამგზავრს, აგერ დედას ლევანაო.

ეს უზარმაზარი კაცი საჩქაროდ წამოხტა, აიშვირა ხელი და დაიძახა: — მე ვარ, მე!

მთელი თეატრი ახარხარდა და გაიმართა ბაასი სცენასა და დარბაზს შორის. დედას ლევანამ, ამ ვეებერთელა ტანის კაცმა, ხელების ფარჩხვით დაიწყო დარბაზიდან გადმოსროლილი კითხვების პასუხობა და, რამდენიც უფრო აღარ ემორჩილებოდა იგი ჩემს განკარგულებას, იმდენად უფრო მასხამდა ცივი ოფლი.

ამ დროს მიხა ჯილაური წამებულის ხატივით იდგა სცენის განაპირას და მორცხვად გაჰყურებდა ხალხს თეთრი წარბებქვეშიდან. ეს მოკლე ტანის, თმათეთრი მოხუცი შესანიშნავ, უმანკო შთაბეჭდილებას ტოვებდა ხალხზე, რომელიც მას არ იცნობდა.

ლევანამ, დარბაზთან ბაასი რომ გაათავა, სკამზე დაჯდა, მერე წინ, თავის ფეხებთან, დაათურთხა და ფურთხი ფეხით გასრისა, როგორც გლეხებმა იციან.

ამაზე ხალხში სიცილი ატყდა, რა თქმა უნდა, არა ბოროტი სიცილი, არამედ მეგობრული. ხოლო მე ვიწვილი სირცხვილით, თუმც კარგად ვატყობდი, რომ ხალხი ჩემს მდგომარეობაშიც შედიოდა და ცოდვად არ მითვლიდა მათს გაუწვრთნელობას. ლევანა ისევ ბობოქრობდა.

— მიხავ! — დავუძახე ჯილაურს, როდესაც ვატყობდი ირყეოდა ყველაფერი, ისიც აშკარა ხდებოდა, რომ დედას ლევანა დაუმსახურებლად ნებივრობდა, მას თავი შილდაში ეგონა მოქეიფე თავადებს შორის, აღარავის, აღარც მე და აღარც სხვებს, ანგარიშს აღარ უწევდა.

მიხამ მომხედა.

— მოდი აქ, მიხავ, — ვუთხარი მას.

ნაპოლეონივით ტანდაბალი და მასავითვე გულხელდაკრეფილი, დაღონებული მიხა მოვიდა ჩემთან. ხელი ავწიე ხალხის გასაჩუმებლად, რომელიც დარბაზიდანა გვთხოვდა, გვემლერა „ხეურო“, „ჩონგურო“, „ნადური“, „შრომანავ, შეშა დაუდე“, „ლმერთო-ლმერთო“ და სხვა.

ხალხი დაშოშმინდა და ვთხოვვე, მოესმინათ მიხა ჯილაურისთვისაც. რადგანაც მას აღარავისთან არ შეეძლო ემლერა, გამოვაცხადე, რომ იგი შეასრულებდა „ურმულს“. „ურმულის“ ხსენებამ დიდი ტაში გა-



მიხა ჯილაური

შეჩვეული. ათი-თორმეტი პირი-მეტქი პირი-მეტქი არის, თორემ თითო სიმღერას ხუთი კაციც იმღერებს. ათი-თორმეტი კაცის ჩამოყვანა შილდიდან მოითხოვდა იმდენს, რამდენსაც დღევანდელ პირობებში ვერც მე და ვერც სხვა პიროვნება ვერ შეძლებდა. ამიტომ ვიფიქრე: პირველ-მეორე მოძახილებს ჩამოვიყვან და ბანს ქალაქელებს ვათქმევინებ-მეტქი. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ქალაქმა სოფელს ვერ უთხრა ბანი. ჩემმა სიტყვებმა — „ქალაქმა სოფელს ვერ უთხრა ბანი“ — გამოიწვია დარბაზში გულიანი სიცილი, რადგანაც მაშინ ხელისუფლების მიერ გადმოსროლილი იყო ლოზუნგი: „პირი სოფლისაკენ!“ სიცილი რომ გათავდა, მე ისევ განვაგრძე:

— ამიტომ ჩემი თავი დამარცხებულად მიმაჩნია. მაინც მგონია, რომ ამ ოთხიოდე სიმღერით წარმოდგენა გექნებათ ქართულ ხალხურ სიმღერებზე. ახლა, გთხოვთ, მოუსმინოთ თქვენთვის ჯერ უცნობ მომღერალს, მიხა ჯილაურს, რომელიც, „ურმულს“ შეასრულებს.

მოიწვია. მე კიდე ავწიე ხელი იმის ნიშნად, რომ მოესმინათ ჩემთვის. ხალხი დაწყნარდა, ბოლოს სულ გაკმინდა სული. აფუნდრუებული დედას ლევანაც დავსვი თავის ალაგას და ხალხს მოვახსენე:

— მოქალაქენო! მაპატიეთ, რომ ეს ხალხური გუნდი ხალხური სიმღერებით ვერ მოვაწყე კარგა და მხოლოდ ოთხიოდე სიმღერის თქმა მოვახერხეთ, ისიც ძლივს. იქნებ თქვენ იფიქროთ, რომ მე მოვსტყუვდი, რადგან დედას ლევანასი, ელოშვილისა და ჯილაურის მეტი არავინ ჩამოვიყვანე და მისაყვედუროთ, რატომ მათთან ერთად თანამომღერალი ბანებიც არჩამოვიყვანაო.

ასეთი საყვედურები მართალი იქნებოდა, ამისი შეძლება რომ მქონოდა. ქართული ხალხური სიმღერა რომ კარგა იმღეროს კაცმა, საჭიროა ათი-თორმეტი პირი ერთმანეთს

ვამბობ, რადგან ორპირი სიმღერებიც არის, თორემ თითო სიმღერას ხუთი კაციც იმღერებს. ათი-

ხალხმა კიდევ დამიკრა ტაში.

მიხა წინ წამოვაყენე და ხალხი ისე გაიკმინდა, გეგონებოდათ არც ერთი კაცი აღარ არის შიგაო. მიხა თვალს არ მაშორებდა, როგორც და-ჩაგრული, სრულიად მორჩილი იყო. ვანიშნე, დაიწყე-მეთქი. მან ქამარ-ში ჩაიყარა ხელები ცერებით და დინჯად, წყნარად, სწორედ იმგვარად, როგორც მაისში ბულბულმა იცის ხოლმე გათენებისას, ამოიკავანა „ურმული“. ამ დროს პირში რომ შეგეხედნათ, გეგონებოდათ, პირმოკუ-მული არისო და გაკვირდებოდით: მაშ საიდან ამოდის ასეთი ტკბილი, საამური, რაკრაკა, სიამოვნებით გულისამოქოთებელი ხმაო. მიხამ აუწია თანდათან, ზღვის შეეფებივით მირეკ-მორეკა საამური ჰანგები დარბაზის მდუმარების განუზომელ სივრცეში და გულღვიძლი თან ამოაყოლა მას.

აქამდე სირცხვილის ოფლმოდებული, ნერვებაშლილი და ხალხის წინ შერცხვენილი, ამ ჰანგების მოსმენით მეც ვიკურნებოდი, ვმშვიდ-დებოდი და თანდათან ვსწორდებოდი წელში, რომ ჩემმა ცდამ ამაოდ არ ჩაიარა.

ხუთჯერ დააბრუნა მიხამ სიმღერა. იგი მღეროდა ჩემს ხალხურად დაწერილ ლექსს, რომელიც სულ უცბად დაისწავლა შინ:

გასწი, კამეჩო რქიანო,
შენი მეუღლე მქვიანო,
გამიყვა სამშვიდობოში,
ობლები მიმელიანო.
ნეტაი, ნუთისოფელი
რად არის მოუწყობელი,
კაცი კაცისა მჭამელი,
ძმა ძმისთვის ავის მდომელი?
ვარსკვლავო, ცაზე გადმოჯექ,
მთვარევ, წამოდექ წინაო,
გზა გამინათე უვალი,
დროზე მივიდე შინაო.
ნეტა, არავინ ჩიოდეს,
სუყველა სწორედ დიოდეს,
საცა ეკალი სთესია,
თავთუხი ამოდიოდეს!..

გაათავა მიხამ, მაგრამ როგორ გაათავა! ისეთი ტაში დაჰკრა ხალხ-მა, რომ სიხარულთან ერთად, შიშმაც ამიტანა. ასე მეგონა სარკინო-ზები შემოესივნენ და ანგრევენ-მეთქი თეატრს. ამტვრევდნენ სკამებს, ისროდნენ ქუდებს, ყვავილებს, რაღაც ნივთებს... ერთი სიტყვით, მე და მიხა ვიყავით ოვაციების ქარიშხალში.

როცა ხალხმა ტაშით გული იჯერა, ავწიე ხელი და გავაჩუმე. ვუთხ-

არ მიხას, გაიმეორე-მეთქი. თანაც ახლა სხვა ლექსი ეთქვა. მიხამ დაინცყო:

უნინდელ დროში თავადნი
უნრუნუნებდნენ ქორებსა,
ახლა კი მათი ცოლები
ტყეში დასდევენ ღორებსა...

და სხვა.

მიხა მღეროდა და მე მდუმარედ ვზეიმობდი ჩემს გამარჯვებას. ეს გამარჯვება კი მახარებდა იმით, რომ დავინახე: ქართველ ხალხში არ ჩამქრალიყო სიყვარული, დავინახე, რომ ხალხი სიამოვნებით ისუნთქავდა თავისი წარსულის ამბავს, თავის ისტორიულ საზრდოს ხარპად შეექცეოდა.

ოთხჯერ თუ ხუთჯერ გაამეორებინეს ეს სიმღერა. კიდევ რომ ითხოვდნენ, ხალხს მოვახსენე: არის მეორე სიმღერაც არანაკლებ საყვარელი, ვიდრე „ურმული“, დავასახელე „ოროველა“, რომელსაც გუთანზე მდერიან. მიხას „ოროველაც“ რამდენჯერმე გაამეორებინეს, და, რომ ხალხი სულ არ გამძღარიყო, ფარდა ჩამოვაშვებინე.

ასე დავასრულე პირველი კონცერტი ამ სახალხო „გასტროლიორებისა“ რესთაველის სახელობის თეატრში 1927 წლის მაისის 21-ს.

თეატრიდან რომ გამოვდიოდით, მიხა მეკითხებოდა ელექტროლამპების შესახებ:

— კაცო, როგორი ლამპებია, შიგ ნავთს საიდან ასხამენ?!

გამეცინა და ვუთხარ: მაგაში ნავთს არ ასხამენ, ელექტროლამპინ რომ მივალთ, იქ აგიხსნი-მეთქი.

ახლა დედას ლევანამ მკითხა:

— რა მსხლებივითა ჰკიდია მაღლა, ერთი-ორი რო მოვწყვიტო და ჩემ ქოხში ჩამავკიდო, არ გაანათებენ?

იმასაც დაგვპირდი, სახლში აგიხსნით-მეთქი, მაგრამ მისთვის ელექტრობის ასახსნელად არ მეცალა — გალანძლვა და საყვედურები მეწადა მხოლოდ.

თეატრიდან რომ გამოვედით და ჩემსას წავედით, გზაში ხალხი აგვედევნა. ტაშს გვიკრავდნენ და იძახოდნენ: ვაშა, ჯიღაურო! ვაშა, მომღერლებო! თითქმის ნახევარი თეატრი უკან გამოგვყვა და სახლამდე მიგვაცილა. ლამის თორმეტი საათი იყო, შინ რომ მივედით. ხალხი ჩემი სახლის წინ გაჩერდა. დედას ლევანას ვუთხარ: აქ მაინც იმღერე-მეთქი მიხასთან. ლევანა დამთანხმდა. ჩემი სახლის ზევითა აივანი გადიოდა ფუნიკულიორის წინ გაშენებულ ბაღზე და თავს დაჰყურებდა შიორ ჩიტაძის ჩიხს, რომელიც ხალხით იყო სავსე. ჩვენ გავედით აივანზე. მიხამ დააწყო „ჩაკრული“, ლევანამ მეორე მოძახილი უთხრა. ხალხი-დან ვიღაც უცხობები ამოვიდნენ და მითხრეს, ბანს ვეტყვიოთ. ლამის თორმეტ საათზე გაიმართა ჩემს ბინაზე მეორე კონცერტი, რომლის

მოსასმენადაც აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი.

ამჟამად შესანიშნავად უთხრა ლევანამ მოძახილი ჯიღაურს და ეს კონცერტი ბევრად დაემჯობინა თეატრში გამართულს. უკეთ რომ ვთქვათ, აქ გაიმართა ნამდვილი კონცერტი, რომელიც ღამის სამ საათამდე გაგრძელდა. როცა დავატყვე, ხალხი აღარ აპირებდა წასვლას, მომღერლები სახლში შევიპატიუე და ხალხს გამოვუცხადე: საშინაო კონცერტი დასრულდა და მოკლე ხანში კიდევ გავმართავთ კონცერტს ოპერის თეატრში-მეთქი. ისინიც დიდი ტაშითა და ვაშას ძახილით დაიშალნენ.

მეორე დღეს დედას ლევანა, ჯიღაური და ელოშვილი, შინაურებითურთ, შემოვისხი სუფრის ირგვლივ და დავიწყე საყვედურები: შევეხე ჩვენს ისტორიას და ისტორიული მაგალითებით დავანახე მათ, თუ შურმა, ჯიბრმა და მტრობამ როგორ გაანადგურა ქართველი ერი ძველ დროში. ეს ახლა მაინც უნდა შევიგნოთ. დედას ლევანამ სადღე-გრძელოს ნება ითხოვა. აიღო ჭიქა და ყველაფერი გულახდილად თქვა: მიხავ, მე შენს წინაშე და ქართველი საზოგადოების წინაშეც დამნაშავე ვარ. ჩემმა საძაგელმა ბუნებამ თავი წამართოდა ჯიბრი გაგინიე. ჯიბრი გავნიე იმიტომ, რომ მე დიდი სახელი მქონდა, ტოლი არა მყავდა სიმღერაში, ყველგან ჩემი სახელი ყველაზე მაღალი იყო და აქ კი, ქალაქში, სადაც ჩვენმა საყვარელმა და სათაყვანებელმა იოსებმა ჩამოგვიყვანა, ვნახე, რომ ჩემზე მაღალი კაცი დგას ჩემს გვერდით. ამიტომ ვიჯიუტე. გუშინ, როცა შენ აქ სიმღერა დაიწყე და შენი მოკუჭული პირიდან ის ხმა ამოვიდა, თავში რაღაცამ დამკრა, შევმინდი, ასე მეგონა, საფლავთან მიმიტანეს-მეთქი და აღარ ვიცოდი, როგორ გადამერჩინა ჩემი თავი დამარხვას. მაინც ვერ გადავირჩინე: შენი წკრიალა ხმა ისე ამოდს პირიდან, ასე გგონია, ყბას არ აღებსო. მე კი იმოდენა ყბას ვაღებ სიმღერის დროსა, რომ შიგ ჩამხედო, ლვიძლებს დაინახავ, მაინც ვერაფერი გამოდის. ეს, რა თქმა უნდა, ჩემი სიბერის ბრალია, მაგრამ სიბერეშიც ვეღარ მოვითმინე ჩემზე უკეთესი და გაგინიე ჯიბრი. ამით, ვაზარალე ჩემი თავი, ჩვენი იოსებიც და საზოგადოებაც. მე ეხლა უნდა გამოვტყდე და ვთქვა, რომ შენ ჩემზე კარგი მომღერალი ხარ, ამჟამად ბოდიშიც უნდა მოგიხადო და გთხოვო პატიება. შენ ჩემი უმცროსი ძმა ხარ და უნდა მაპატიო. მე იქვე (თეატრში) ვგრძნობდი, რომ ცუდს ვჩადიოდი, მაგრამ მაინც ვჩადიოდი. რად? არ ვიცოდი. დაბრმავებული ვიყავი შურით, აღარაფერი მესმოდა. მე ეხლა მოვერიე ჩემს საძაგელ ბუნებას, დავძლიე იგი და წმინდა გულით გეუბნები: იცოცხლე ჩვენი ხალხის საკეთოლოდ და მაპატიო შეცოდება...

თითქმის სიტყვა-სიტყვით ესა თქვა დედას ლევანამ, უფრო მეტიც, ვიდრე მე დავიმახსოვრე. კარგი მოღაპარაკე იყო, არტისტულად იქნევ-და ხელებს და სახის მოძრაობა ლაპარაკის დროს სიმპათიას იწვევდა მსმენელ-მაყურებელში.

მიხა წამოდგა და მადლობა გადაუხადა ლევანას სადღეგრძელო-სათვის. მან არც იცოდა ლაპარაკი და ვერცა თქვა რამე, მხოლოდ მე მითხრა: მე მაგნაირი ჯიბრიანი არა ვარ, მე ცხვარივით კაცი ვარ, ყურ-ში რო ხელი წამავლო, საითაც გინდა, იქით წამიყვან. თანაც როგორც მაგან მე დამჩაგრა და ჯიბრი გამინია, ეგეთს ვერც ერთი კაცი ვერ გაა-კეთებს, არც მსმენია და არც გამიგია...

სუფრაზე რომ ვისხედით, კიდევ მომივიდნენ სტუმრები, რომელთ-აც არც ვიცნობდი და არც რაიმე კავშირი ჰქონდათ ჩემთან. ასეთები ბევრი მყავდა. გარეთ ისევ გროვდებოდა ხალხი. მეც ღია მქონდა სახ-ლის კარი, რომ სიმღერა გარეთ გასულიყო და, ვისაც სურდა და ჩემს მეგობრად გრძნობდა თავს, შინ შემოსულიყო. მაგრამ ისიც ვიცოდი, ბევრი ქალაქელი ლოტბარი შეძრნუნდებოდა და, უეჭველია, მტრები გამიჩნდებოდნენ.

სანამ რუსთაველის თეატრი ანგარიშს გაგვისწორებდა, სამი დღე გავიდა. ამ სამი დღის განმავლობაში ჩემთან სულ ქეიფი იყო — დღეც და ღამეც.

ერთდღეს ჩემს მეუღლეს ირა გერცევას (მაშინრუსი მყავდა ცოლად, რომელმაც ქართული კარგად შეისწავლა) მივანდე მომღერლების მოვ-ლა-პატრონობა. ირამ ისინი ქალაქში სასეირნოდ წაიყვანა, მოატარა მუზეუმები, მერე ნარიყალაზეც აიყვანა და აუხსნა ამ ციხის ისტორი-ული წარსული. საღამოზე რომ მოვიდნენ, ირა იცინოდა: უნდა საღვთო გადაიხადო, რომ დღეს ყველანი მოვედით სახლშიო, ეს გლეხები კინა-ღამ ავტომანქანამ დამიჭყლიტა და მეც მივყე ზედაო; ხან ტრამვაის ვაგონქვეშა ცვიოდნენ, ხან — მანქანის, და წარმოიდგინე, ხან ეტლის ქვეშ, რომელიც ამჟამად თბილისში ძალიან იშვიათია...

მიუხედავად კარგი შემოსავლისა, წმინდა შემოსავალი მაინც ცოტა დარჩა. ამ ჩემს მომღერლებს თხუთმეტ-თხუთმეტი მანეთი გადავუწყვიტეთ გზისა და ქალაქში საცხოვრებელი ხარჯების გარდა. თხუთ-მეტი მანეთი თითოსთვის 1927 წელს არც ისე ცოტა იყო. თუმანი მაშინ ოქროსთან ჭრიდა და არაფერი უკამაყოფილება არ შეეძლოთ ამის გამო ეთქვათ, ჩვენც სინდისი სრულიად დამშვიდებული გვქონდა.

ანგარიშის მიღების შემდეგ შინ რომ მივედი, ირას ისინი უკვე მოელალნა ქალაქიდან; თვითონ სადილს აკეთებდა, მომღერლები კი ბალში გასულიყვნენ.

დედას ლევანას გარს ხალხი ეხვია, არტისტულად შლიდა ხელს და ლაპარაკობდა, აცინებდა უცნობებს და დროს ატარებდა.

ირამ მითხრა, სადილი მზად არისო. მე აიგნიდან დავუძახე მომღერ-ლებს, მოდით ვისადილოთ-მეთქი.

სადილად დაუსხედით.

სხვათა შორის, არც აცია, არც აცხელა, და ლევანამ წამოიძახა:

- წელან ვიღაცეები დაგილანძლე.
 - რათა? — ვკითხე მას.
 - რათა და იმიტომ, რომ რაღაცეებს გვეუბნებოდნენ შენზე.
 - რას გეუბნებოდნენ?
 - რად გინდა შენც იცოდე, ჩვენ, სულერთია, მას არ დავუჯერეთ.
- გავლანძლე კიდეც.

მაშინვე მივხვდი, რომ ამუშავდა მტერი. ეს მტერი ეროვნულად უგნურიც უნდა ყოფილიყო და პირადად შურითა და ლვარძლით სავსე, რომელიც არც გაცხონებს და არც თვითონა ცხონდება. ლევანას არ ჩავაცივდი კითხვებით. ვიცოდი, რომ ისინი ყველაფერს თვითონ იტყოდნენ.

— ისეთი რამეები გვითხრეს, იოსებ, რომ გიუიც არ დაიჯერებდა. ან რა დასაჯერისია, შენ ისეთი კაცი იყო, ქვეყანას ყვლეფამდე, რამდენიმე კაცი დაგელუბნოს, მათი ცოლ-შვილი მშეირი გაეგოს, აგენიოკებინოს და დიდი ქონება შეგეძინოს, — ამბობდა ლევანა. თან იმ უცნობებს ლანძლავდა იმის ნიშნად, ვითომ არა მჯერაო, მაგრამ ვატყობდი, რომ მაინც რაღაცა სჯეროდა.

მე ყურს ვუგდებდი და არც ვიმართლებდი თავს, არც ვთანხმდებოდი მისგან ჩემზე გაგონილ ცილისწამებას. მხოლოდ ვფიქრობდი გულში: ჩემს სიცოცხლეში არც ვალი მმართებია ვისიმე, არც ვისმეს მართებია. სულ სიღარიბეში ვიყავ და დედამინის ზურგზე ერთი ადამიანიც ვერ იტყვის ჩემზე ცუდს, სამდურავს, ჭიაც კი არ გამიჭყლეტია და საიდან გამოიგონეს ეს ჭორები. პირიქით, სულ სხვისთვის ვზრუნვდი, სხვის საქმეებს უფრო გულითა და მუყაითად ვაკეთებდი, საზოგადო საქმეებისთვის ვიყავ თავგადაკლული, განწირული და მაინც როგორ ახერხებდნენ ეს ბენელი ადამიანები ჩემ შესახებ ამ საზარელი ცილისწამების გავრცელებას-მეთქი.

— ახლა კიდევ ისა გვკითხა, განაგრძო ლევანამ, რამდენი მოგცათო. მე ვუთხარ, რაში გეკითხებათ ან რა უნდა მოგვცეს, კაცმა ქალაქი გვაჩვენა, ჩვენი თავი ხალხს გააცნო და დღედალამ გვაქეიფებს. მაშინ იმან გვითხრა: მაგრე ნუღარ იქცევით, ნუ ხართ გაგრიები, ჭკუაზე მოდით, გლეხებო, გამოიჭიობლით, საბჭოთა ხელისუფლებაა თქვენი ყურის-მგდებელი და არავის ნება არა აქეს, მოგატყუოს და ტყავი გაგაძროსო. რა უნდა მოგვატყუოს-მეთქი, — ვუთხარი, — მაგ კაცს ჩვენთვის სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია. ფული მოგცათო? — იკითხა კიდევ. მე ვუთხარ, ფულის მისაღებად წავიდა თეატრში და მოგვცემს, მა რა იქნება. ას-ასი თუმანი მაინც გერგებათო. მე ასე ვუპასუხე: რამ გაგაგიუა, შე ოხერო, ას-ასი თუმანი რომ ჩვენ მოგვცეს, იმ ხალხს რაღა პასუხს აძლევს-მეთქი...

ასე ლაპარაკობდა ლევანა და მიმტკიცებდა, რომ მან იმ ვიღაცა არამკითხე აპეკუნს არ დაუჯერა, პირიქით, გალანძლა კიდეც. მაგრამ

ყველაფერზე ეტყობოდა, რომ გლეხები უკვე მონამლულები იყვნენ.

მათ მართლა ბევრად და შეუძლებლად მიაჩნდათ ას-ასი თუმანი, მეც გამიხარდა, რომ უგნურმა მტერმა ას-ასი თქვა და არა ათ-ათი, თორემ ათ-ათი რომ ეთქვა, დაიჯერებდნენ... დიახ, მათ შეუძლებლად მიაჩნდათ ას-ასი თუმანი, მაგრამ მაინც რაღაც შხამი ჰქონდათ ყურში ჩაწვეთებული, ისეთი შხამი, რომელიც აწვალებდა, ქენჯნიდა კიდეც, აბრძოლებდა თავის თავთან და აიძულებდა, ჩემთვის ბოდიში მოხეა-დათ.

ას-ასი თუმანი!

ხუმრობა ხომ არ არის. თეატრს სულ რვაასი მანეთი ჰქონდა შემო-საგალი და, ხარჯებს რომ გავედით, ოცდახუთი თუმანილა დარჩა. აქე-დან დედას ლევანას, მიხას და ელოშვილს იორდანოვმა და ერისთავმა თხუთმეტ-თხუთმეტი მანეთი მისცეს, ხოლო მე — ოცდახუთი. მათ-თვის გადასაცემი ფული მე მქონდა ჯიბეში.

როცა სადილი გავათავეთ, გავიყვანე ისინი ცალკე ოთახში და ვუ-თხა:

— ლევან, მიხავ და ალექსი! თუ თქვენთვის რამე დამიშავებია, უნდა მაპატიოთ. მე გავაკეთე ქართველებისათვის საყვარელი საქმე: დავა-ნახე თბილისის მცხოვრებთ, თუ რასა ჰქვიან ქართული ხალხური სი-მღერის ხალხურად შესრულება. ეს გავაკეთე თქვენის საშუალებით, ამისთვის ძალიან დიდ მაღლობას გიძლვით. რაც შეეხება ფულს, ამა-ზე უნდა ბოდიში მოგიხადოთ: ას-ას თუმანს ვერ მოგცემთ. საღამოს გამმართველებმა თქვენთვის თხუთმეტ-თხუთმეტი მანეთი გადასდეს, მე მარგუნეს ოცდახუთი. ამ ოცდახუთ მანეთსაც მოგცემთ, რადგან მე ფულის ინტერესი არა მაქვს. ამასთანავე გზის ფულიც მომცეს თქვენ-თვის. აი, ყველაფერი აქა მაქვს. გაძლევთ ამ ფულს და გინდათ ამაღა-მის მატარებლით წადით კახეთში, თუ გნებავთ — დილაზე. მე კიდევ შემიძლიან თქვენი შენახვა ორ დღეს. ხოლო თუ ეს ფული თქვენთვის ცოტაა, მაშინ მოძებნეთ ის კაცი, რომლის აზრითაც ას-ასი თუმანი გერგებათ, იმან გამართოს თქვენი კონცერტი რუსთაველის თეატრში და ას-ასი თუმანიც მოგცეთ. უეჭველად ასე მოიქეცით. დედა შეგერ-თოთ ცოლად, თუ ასე არ მოიქცეთ, ასე არ მოსთხოვოთ იმ კაცს.

— რას ამბობ, კაცო! რას ამბობ, კაცო! — აყვირდნენ ისინი, — შენ მეტი არავინ გვინდა, შენ იქით ჩვენ კაცები არა ვართ. არც გვინდა შენი ფული. არც ჩვენა ვართ ფულის კერძები. ისიც მეტია ჩვენთვის, რომ აქ ჩამოგვიყვანე და დღედაღამ გვაქეიფებ.

მე მაინც გავუნაწილე ფული და ჩემიც გავუყავი.

ჩემი ფული არ ინდომეს. უკანვე დამიბრუნეს, მითხრეს: თუ კიდევ შემოგვაძლევ შენს ფულს, შენთან ფეხს აღარ დავადგამთო...

— ამაღამ წახვალთ თუ ხვალ? — შევეკითხე.

— რომ აღარ შეგაწუხოთ, ამაღამ წავალთ... მაგრამ, — სთქვა ლევა-

ნამ, — კარგი იქნება, თუ ამ ჩვენი ფულით შენთან კიდევ ერთხელ გავა-ტარებთ კარგ დროს. ახლა ჩვენ გვინდა ჩვენი ჯიბით გაქეიფოთ. მერე გამოვემშვიდობოთ ერთმანეთს.

— არა, — ვუთხარი მე, — თქვენით კი არა და ჩემით გაგინევთ კიდევ ერთ მასპინძლობას.

გადავწყვიტე კარგად გამესტუმრებინა.

იმ ღამისთვისა და მეორე დღისთვის შევამზადე ქეიფი. შევატყო-ბინე ჩემს საუკეთესო მეგობრებსაც.

სანამ სტუმრები მოვიდოდნენ და სუფრაზე დავსხდებოდით, ჩემ-თან მოვიდა გიორგი იორდანიშვილი, ბალში გამიძახა და დაიწყო ჩემ-თან მოლაპარაკება:

— იოსებ, მოდი და ეს ხალხი დასავლეთ საქართველოში წავიყვა-ნოთ. ამათი სახელით შესაძლოა, მე სრული იმედი მაქვს, დიდ ფულს გავაკეთებთ. ესენიც იხეირებენ და ჩვენცა.

გიორგი იორდანოვს კარგად ესმოდა, რომ დასავლეთ საქართველო-ში ყოველ კულტურულ საქმეს აღფრთოვანებით ეგებებიან. იქ გაგიჟე-ბით უყვართ კახელები და კახური სიმღერა ხომ პირდაპირ გადარევდა იქაურებს, რომლებიც არაფერს დაზოგავდნენ ჩვენთვის...

მე უარი ვუთხარ.

— არა, გიორგი. მართალია, მე უსამსახურო და საწყალი კაცი ვარ, მაგრამ მაინც ფული არ მაინტერესებს, ფულს ვერ დავხარბდები, რადგანაც დასავლეთ საქართველოში ასეთი სერიოზული მოგზაუ-რობისათვის ეს მომღერლები ამ სახით და ამ შემადგენლობით ვერ გამოდგებიან. განა სირცხვილი არ იქნება, კახეთიდან განთქმული მომღერლები ჩავიყვანოთ და ოთხი თუ ხუთი სიმღერა ხეირიანად ვერ ვათქმევინოთ? რას იტყვას ხალხი? არა, თუ მათ ვუჩვენებთ კახურ ხალხურ სიმღერებს, უნდა ვუჩვენოთ ისე, როგორც საქართველოს ამ კუთხეს შეეფერება. ფულის გულისითვის ამ დიდ საქმეს არც გავაფუ-ჭებ და არც თავს შევირცხვენ...

გიორგის ჩემი აზრი ემზელარტა. მან კიდევ დაუინებითა მთხოვა, თავი გამენებებინა ამ „ფანტაზიებისათვის,“ მეზრუნა ჯიბისათვის, მა-გრამ მე გადაჭრით ვუთხარ უარი და გამოვემშვიდობე.

იმ დღესა და მეორე დღეს განუწყვეტელი ქეიფი მქონდა. გლეხების სიმღერაზე ჩემთან სულ უცნობიდა ახალ-ახალი სტუმრები შემოდიოდ-ნენ.

მეორე დღეს, საღამოს, მატარებლით გავისტუმრე ეს „გასტრო-ლიორები“ კახეთს.

რამდენიმე დღის შემდეგ გავივე, რომ ვიღაც უცნობი პირები რუსთაველის თეატრის საღაროში, ერთ-ერთი რედაქციის სახელით, კითხულობდნენ, თუ რა შემოსავალი და გასავალი ჰქონდა დედას ლევანას საღამოს. ამასთანავე იმასაც, ვინ რამდენი მიიღო.

ჩემს გულსა და გონებაში დაისვა საშინელი კითხვა: ვინ არის, ვის აინტერესებს ან ვის რა საქმე აქვს, თუ რამდენი ჰქონდა შემოსავალი დედას ლევანას კონცერტს და ვინ რამდენი მიიღო? მაგრამ ამ არამ-კითხე მფარველების მიზნები და აზრები და ჩემ წინ დასმული კითხვი-თი ნიშანიც იშლება, რადგან გლეხი მომღერლები უკვე კახეთის მთებსა და ტყეებს შეეფარნენ.

ამის შემდეგ გავიდა რვა თუ ცხრა თვე. ყველას მიავინყდა ჩემი დაწყებული საქმე. მხოლოდ მე არც მიმავინყდა და არც მივატოვე იგი. ჭკუა კი ვისწავლე: ახლა უფრო უკეთესად მოვაწყობდი ამ საქმეს, მით უმეტეს, რომ სხვა საქმე არა მქონდა: არსად ვმსახურობდი, სოფლი-დან ჩამომქონდა სურსათ-სანოვაგე, ზოგიერთ ჩემს წიგნებსა ვყიდდი, ათასი ერთხელ „სახელგამის“ მიერ მოცემულ საკორექტურო საქმეს ვასრულებდი, ხანდახან იატაკებსაც ვულებავდი ნაცნობებს (ეს საქმე მე თვითონ ვისწავლე) და ასე ვცხოვრობდი.

1928 წლის იანვრიდან გადავწყვიტე ხალხური სიმღერების კონცერ-ტი გამემართა, მაგრამ დედას ლევანა აღარ ჩამომეყვანა. მარტო ჯი-ლაურიც არ კმაროდა. აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერებისათვის კიდევ სხვა ვინძმეც იყო საჭირო. ამიტომ გავყევ სოფლებსა და გავიგე, რომხაშმი ვიღაც დიაკვანს, გიორგი ეპიტაშვილს, ჰყვანან მომღერლე-ბი, რომლებითაც იგი ქორწილებსა თუ წვეულებებში მიღებულია ცნო-ბილ მომღერლად (მას გამოცვლილს სახელად „ჩორნას“ ეძახდნენ). შე-ვიარე ხაშმი. გიორგის ძალიან გაუხარდა ჩემი გაცნობაც და იდეაც. საჩქაროდ შეკრიბა თავისი მომღერლები. გიორგის არ ჰქონდა საამისო ბინა და მასთან ციოდა კიდეც. წავედით ალექსი ჭიაბრიშვილთან, რო-მელიც ამათთანა მღეროდა. ალექსი კარგად გაგვიმასპინძლდა. ყველა მომღერალმა მოყარა თავი და შევუდექ გამოცდას. მშვენიერი გუნდი შეიქმნა. იმღერეს: „ფაშური“, „ძლიერ სტიროდა“, „მძაო, რა სჯობდა ძმობასა“, „მაყრული“, „ზემყრელო“ და სხვები. განსაკუთრებით კარგი იყო „ფაშური“. ეს სიმღერა იმერეთიდან გადმოსულა კახეთში და გზა-დაგზა გაკახურებულა. შემდეგში ის საქართველოს კონსერვატორიამ ფონოგრაფით ჩაწერა.

მე და გიორგი ეპიტაშვილი შევთანხმდით: რა წამს დავიძარებდი თბილისიდან, მაშინვე თავისი მომღერლებით ჩემთან უნდა ჩამოსუ-ლიყო. ისიც შევუთანხმე: კაკაბეთიდანაც იქნება მიხა ჯილდურის მომ-ღერლების გუნდი-მეთქი. ამაში გიორგიმ დავა არ დამინყო, რადგან იმასაც ესმოდა, რომ ქართული ხალხური სიმღერების სრულ წარმოდ-გენას ვერც მარტო კაკაბელების გუნდი მისცემდა ხალხსა და ვერც ხა-შმელებისა.

შემოსავალზედაც წინდანინ შევთანხმდით. მე ვუთხარ ქართული ანდაზა: ხვნაში დავა სჯობს, მკაში დავასა-მეთქი და ყოველგვარი პი-რობები გავითვალისწინეთ. ეს თვით გუნდის წევრებსაც მოვახსენეთ

და იმათ სრული თანხმობა გამოაცხადეს.

რაკი ორი გუნდი შევამზადე და შევიპირე კიდეც, დავბრუნდი თბილისში და შევუდექ სამზადისა. 1928 წლის 11 თებერვლისთვის ავილე კონსერვატორის დარბაზი. ორივე გუნდს შევატყობინებ და გავუგზავნე გზის ფული. ჩემთან ჩამოვიდა სულ ცამეტი კაცი. ორი კაციც თბილისში მივუმატე — მესტვირები ბიჭია ბურდილაძე და მებურე იოსება.

კონცერტმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ყველაფერს ამეორებინებდნენ. აქ აღარც ბანები გვაკლდა, აღარც ვინმეს ჯიბრი და პამპულობა იყო. გლეხები მორიდებით ასრულებდნენ ჩემს მითითებას. მათი ყოველი სიმღერა იფარებოდა ტაშის ქუხილში. კონცერტი ნამდვილი გამარჯვების ზემი იყო.

იმ დამეს, კონცერტის შემდეგ, სრულიად დამშვიდებული მივედი სახლში. ჩემს სიხარულს და კამაყოფილებას საზღვარი აღარა ჰქონდა, მით უმეტეს, რომ საღამოს დაქსწრო ბევრი კომპოზიტორი და გავლენიანი კომუნისტი, რომელთაც გამამხნევეს და დახმარებასაც დამპირდნენ. აქედან უკვე ვიგრძენ, რომ დასახლოებელი ენა გამოვიდებნე კომუნისტებთანაც, უკეთ რომ ვთქვათ, ვიპოვნე ისეთი ენა, რომელიც საქმით დამაკავშირებდა ახალ ეპოქასთან, ახალ ცხოვრებასთან, სადაც მე უკვე მთელის ჩემის ენერგიით გულწრფელად მინდონდა მემუშავნა.

თორმეტივე კაცი ჩემთან წავიყვანე სახლში და მეორე დღეს ავილე ნებართვა — გუნდი ყველა სასწავლებელში მომეტარებინა. ამისი ნება სიამოვნებით დამრთეს. ხელი შემიწყვეს, წამახალისეს კიდეც და ფრთაშესხმული შევუდექ ახალგაზრდებში ეროვნული საქმის დაგვირგვინებას.

ვიდრე სკოლებში მოვატარებდე ჩემს გუნდს, მოვიყვანოთ გაზეთების აზრი ჩემი კონცერტების შესახებ (გაზ. „მუშა“ და გაზ. „კომუნისტი“, ნომერი და რიცხვი არ მახსოვს — ი. მ.).

კონსერვატორიის დაჩვაზი

ნაბათი, თებერვლის 11-ს

ი. მულტიკვილის

საღამო

3 თ კ რ ა მ ა

ბარეზა განვითარებულის

1. მულტიკვილი „კონსერვატორიის ბაზეზი თეატრი და მისი მსახიობები“
მიმუშებულის

ზოგადი განვითარებულის

კონსერვატორიულ გარემოსა რეგული

მომღერლებისა

ნორ მარცხული მომღერლი, ბაზეზი, გარემოსა გარემოშიანი
წერილი მომღერლი, ბაზეზი, ბაზეზი მომღერლი, გარემოშიანი მომღერლი, ბაზეზი,
მის კულტურული შემსრულებელი (მუზეუმი მომღერლი, კულტურული მომღერლი),
დარბაზი დარბაზი მომღერლი, გარემოშიანი მომღერლი, სასტაციო ხელობრი მომღერლი, გარემოშიანი მომღერლი, ასევე
კულტურული (ბაზეზი, ბაზეზი), კულტურული (დარბაზის ფონობრი), ლექცია
ექსპლიზოლოგი (კულტურული, დარბაზი, ბაზეზი სალონები), მემკრძალი თავმა.

მომღერლების მარცხულისად:

- | | |
|---|-------------------------------------|
| 1. ზოგადი და კონკრეტული გარემოშიანი მომღერლი. | 2. სინათლის გარემოშიანი მომღერლი. |
| 3. მუსიკურის მომღერლი. | 4. ფილმის მომღერლი. |
| 5. სამუშაო (მომღერლი). | 6. საკონცერტო (მომღერლი). |
| 7. ურთელესი (მომღერლი). | 8. საფეხურის მომღერლი. |
| 9. ინსტრუმენტის მომღერლი. | 10. სიმღერის მომღერლი. |
| 11. სიმღერის კულტურულის მომღერლი. | 12. სიმღერის ინსტრუმენტის მომღერლი. |

0. მარცხული წარმოადგინება.

ნიმუშები იყვანება კონსერვატორიაში, ფაქტი 2 მ.-50 განმომწერებულის საღამოს 8 სამათი.

მულტიკვილი წარმოადგინება.

გარეკასელ გლეხთა ნიჩეულ მოძღვრდების კონცერტი

ა.წ. ოქტომბრის 11 დამპრინტ ფრინად სა-
ნტიურის კონცერტ, რომელიც მიმობობა
ექვ. ი. შეკლიაშვილის ინიციატივით და
შეისყიდა ამონისალეთ საქართველოს ხალ-
ხურ შემთხვედობის სისტემურო ხიმუშებმ. ი. შეკლიაშვილის მოსახლეობის შემდეგ „ქართუ-
ლი ხალხური თეატრი და მისი მსახიობები“.
გარეკასელ გლეხთა გუნდმ შეასრულა მა-
კავილი სალტორი სამხრეთი, დაკავილი ჰოკი-
რისას მინდვრისათვის შეს ჩატარდა თავისი
სიმღერები, გლეხურ ყოფა-ცხოვრების გამოშ-
ხატებით საობისო და სინათლის სიმღერები
მანგები დამზადება კონცერტის პროგრამით,
ჩეკიანი არაგირი არაგირი სიმღერის ტექს-
ტალურ შენაბაზს მიხედვით. ჩეკიანის უ-
საკურატულობის სიმღერების შესაკალარ
შენაბაზის ის კა შემოქმედება დავითის ას:
სოლისი საკუთარი შემოქმედება, ქალაქ-ბაზ-
ხის შეკულების მარტინული ხალხური შე-
მოქმედება და ხალხური უცხო ტაქია ზე-
გვალენის მუსიკით. მუსიკაზე მუსიკი მუსიკი
რებისათვის პრივატულ ჭრებისათვის სიმღერები
დად გამს წარმართვენ, როგორც უცხარ
ნაოსტრი სტრიმ და ის სტრიმ მარტინულ
თვალისწინებებისათვის. გამოქმედების გუნდის
მეტ ჯაფრი შეკულებითაც ამ კატეგორიისან
სიმღერები მისა („პეტრ-პეტრი“), შეკლიული
ორიენტი, მაყრული იმპრიატურა, მუშავი და
ხელობრისა, სალისტური და ხაკულა. უცხარ
ის სიმღერები რომელიც სართოდ უარის ქა-
ლე ბაზის ცხადებისათვის და ამორის ჩაქე-
ბა სოფელში ხელ-უსლეობები, და ხალხუ-
რი, ფანტაზის მიხედვით დარცვენ სხეულასგა-
ვარის თავისებურობებს; ის სიმღერების კა-
რობრიც სხვადასხვა მიზანების მიხედვის
გარეკასელთავის და გამომდინარების
გარეკასელ გარეკასელ მიზანების გა-
რეკასელ და სახით შესახული მანი გა-
რეკასელისათვის გუნდმ. ის შეორე კათედრობის
წარმომადგენლადათ გარეკასელთა კრიკეტ-
განა ჩატარებისათვის: თმის ქალა.

შემთხვევაც ვარ, ძლიერ სტილთა, თვით ქა-
სური მსახურებისმეტრიც კა და სხვა. ამას
მეტვენტლად საიდეალობა გუნდის სიმღერიში
პარალელურ ტერციების (ორ ბგერის ერთ-
მარტინულ და სამარტინულ ერთის და ნახევარის
თ და თითო სტრიმი ბგერის მნიშვნლობის შევლუ-
ლობა ძარღველ და შეორე მოსახლეში და
მანგები შეკულებული ბგერის ბაზისათვის გა-
დამონიტრირებულის (სამი და ნახევარის ბგერი)
მან-
ძლიერ და სტრიმ შემთხვევას მეტვენტლად შე-
მოსის შეკულების გამო დაშორებულია ბუ-
რებისა და შე ზევებულია ტერციებისა-
შენილ ბგერის მიმღინარებისათვის (ტერციე-
ბის მიმღინარების შეფარის მიმღინარებისში უცხარ
ნავის დამონიტრის მანძლილებელ ბგერის ერთ-
შესახულის ნაკადის იმავ ნაძვაზე ზეგებაზე
ცეკვისა, რომლის კუთვნილებით ჩათვლება
პარალელურ ტერციების და ღირებულის გა-
ძლიერ განვითარება. ბგერისათვის შენერძინებიც მიმ-
ღინარებობა კა ქალაქის სტრიმ მიზანია შე-
ცოდნისათვის და იმავამ რიცხვების გარეკასელ-
ის შესახიშიანაგად ასრულებდნ პარალე-
ლი კატეგორიის სიმღერებს, ბურებრივი მიმღინარე-
ბის კლიმა დავითია, ბევრ მსპეციალისთვის
კონკრეტულ მოქმედება უცხარ უცხარ იმპრიატუ-
რისათვის. სტრიმისათვის მუსიკა კატეგორიის
მუშავი განვითარება და იმავამ რიცხვების
გარეკასელის გარეკასელის მუსიკა და რიც-
ხვების გარეკასელის გარეკასელის გარეკასელის
ფრანგულზე დამატილი, რასაც ნითლილ ენტე-
ბაზე განვითარება და რაც წარმოიდ-
გინს საბაზულ პარალელის გარეკასელის გა-
ლე ხს შესაქმარი. ავგვისთვის სტრიმ გუნდი
მუშავი მუსიკიდებისათვის ინტერეს არ წარ-
მოაღვენე, ვინაიდან სპასულ მუსიკას ან-
და ლიკ მოსახლეს მას ლას სტრიმ მუსიკას
ბურებრივ წერტილში.

კონცერტის მიზანი დაიდალი ხალხი და
დასტრიმი აუდიტორიაზე თადა შთაბეჭდუ-
ლება.

გაზეთი „კომუნისტი“, 1928 ნელი

რაკი ხელოვნების მთავარ სამმართველოდან ყველა სასწავლებელ-
ში კონცერტების გამართვის ნებართვა მივიღე, სიხარულით ჩამოუარე
სკოლების დირექტორებს და შევთანახმე საათები, — როდის რომელ
სკოლაში მივსულიყავ ჩემი მომძღვრების გუნდით.

დირექტორები და გამგები სიხარულით მეგებებოდნენ. არ იყო არც
ერთი, თუნდ სულ უმნიშვნელო სკოლა, რომელსაც მშვენივრად მოწყ-
ობილი საკონცერტო თუ სათეატრო დარბაზი არა ჰქონიდა. საბჭოთა
ხელისუფლება მეტად გულუხვი და ხელგაშლილი იყო, როგორც სხვა
კულტურული, ისე თეატროლოური და სახელოვნო საქმეებისათვის...

ჰოდა შევუთანხმდი გამგეებს, თანაც ვუთხარი, ბავშვებისათვის ბილეთში ორ შაურზე მეტი არ გამოერთმიათ, ხოლო, ვისაც ამდენიც არ აღმოაჩინდებოდა, მუქთად გაეშვათ: კონცერტის დაწყებისას საკონცერტო დარბაზის კარი ყველასათვის ღია უნდა ყოფილიყო.

პირობა ყველას მოეწონა.

მესამე დღეს შევუდებ კონცერტების ჩატარებას სასწავლებლებში.

ჩემი მეუღლე ირინა გერცევა მოსკოვს იყო წასული თავის ნათესა-
ვებთან. შინ ჩემი ვაჟი, ხუთი წლის ჯუანშერი, მერვე მრომის სკოლის
მოწაფე ჩემი უმცროსი და კატო და ირას დეიდა იყვნენ.

კატოს, რაკი გაეგო მასწავლებლისაგან, ხვალ ცხრა საათზე სკოლაში კონცერტიაო, ნიგნების მაგიერ ჩემი ვაჟი წაეყვანა.


ჩევნ სწორედ ცხრა საათზე მივედით სასანავლებლის საკონცერტო დარბაზში, ხოლო ხაშმელები, რომლებიც იმ ღამეს შალიკო იმედაშვილმა წაიყვანა, ჯერ არ მოსულიყვა-.

ნენ: დანიშნული დრო გადიოდა და
ისინი არსადა ჩანდნენ. ამან ძალიან
შემაწუხა, მაგრამ მაინც ბევრს არ
დავყარგავდი, თუ მარტო ჯილაურის
გუნდით ჩავატარებდი კონცერტს.
ასეც გადავწყვეტებ: ხუთ წუთში თუ
არ მოვიდოდნენ, უმათოდ უნდა და-
მენყო.

ვიდრე კონცერტს დავიწყებ, ერთი
რამ უნდა მოგახსენოთ:

საშმელების ხელმძღვანელი გიორგი ეპიტაშვილი მეტად ზრდილი და პატიოსანი კაცი იყო. მაგრამ მე იმისი არ მომქნონა მხოლოდ ისა, რომ, თბილისელი ლოტბარების მსგავსად, მღერის დროს გუნდს ხელები გაუქნია, ეს გლეხებსაც უკვირდათ — აქამდე ამას ჩევნთვის ხელი არ გაუქნევია და ეხდარად მოუნდა ამისთანებიო. ეს ადვილი ასახსნელია: რაკი ხალხის წინ გამოვიდა, უზდა, ყველას უჩევნოს თავისი თავკაცობა ამ საქმეში.

გლეხებმა ჩუმად დაიწყეს ბურტყუნი და უკავყოფილება გამოს-თქვეს გიორგის საქციელზე — მა-გისი უფროსობა ჩვენ არც გვინდა, არცა გვჭირდებაო. მაგრამ პირდა-



გაზეთი „მუშა“, 1928 წელი

პირ ვერ უუბნებოდნენ. სამწუხაროდ, მეც ვეთანხმებოდი გუნდის წევ-რებს. გიორგის წყენა არც მე მინდოდა, თუმცა ქართული ხალხური სიმღერებისათვის ხელების ქნევა უაზრობაა და ჩემი მიზანიც ის იყო, ეს ნათლად მეტვენებინა თბილისელებისათვის. ამიტომ დავიმარტო-ხელე გიორგი და მეტისმეტად ფრთხილად, მოკრძალებით და ძმუ-რი სიყვარულით ვუთხარ: გიორგი, შენი გუნდის წინ ჩადექ, მაგრამ ნურც ტონს მისცემ და ნურც ხელს გაიქნევ ქალაქელი ლოტბარით-მეთქი. გიორგის მაინც ეწყინა. მართალია, არაფერი მითხრა, მაგრამ წყენა ყველაფერზე შეეტყო. რაკი პირი აეხსნა ამ კაცის წინააღმდეგ საქმეს, გლეხებმა ხმამაღლა გამოთქვეს თავიანთი წადილი — ეგ კაცი არ გვინდაო. ეს კიდევ მე მეწყინა. ორ ცეცხლ შუა ჩავდექ. არც მწვა-დი მინდოდა დამეწვა და არც — შამფური, მაგრამ საქმემ ისეთი სახე მიიღო, ორივე მეწვებოდა.

შევიპატიუჟე გლეხები გიორგის უჩუმრა ცალკე და დიდი საყვედუ-რი გამოუცხადე იმ უმადური და ამაგდაუფასებელი საქციელისათვის. დავარიგე, ავუხსენ, მაგრამ ამ ჩემმა ახსნა-დარიგებამ ვეღარ უშველა საქმეს, რადგან გიორგი ეპიტაშვილი, ნაწყენი, უკვე წასულიყო ხაშმს.

სწორედ იმ ღამეს წასულიყო გიორგი, როცა იმედაშვილმა შალი-კომ წაიყვანა ხაშმელები თავისითან. შალიკო იმედაშვილთან ყოფნის გამო დაიგვიანეს თუ სხვა რამ მიზეზი იყო ამ დაგვიანებისა — არ ვიცი, მხოლოდ მათს დაგვიანებაში რაღაც ცუდსა და არასასიამოვნო მოუ-ლოდნელობის სუნსა ვერძნობდი.

ჰოდა, აი, უიმათოდ უნდა დამეწყო კონცერტი. ავედი სცენაზე და, რომ მოვემზადეთ სამღერად, დარბაზიდან ჩემს დას გაუსხლტა ხელი-დან ჩემი ხუთი წლის ბიჭი და გამოქანდა ჩემსკენ. კატომ ხელი სტაცა, სად მიხვალ, არ შეიძლებაო და მაინც ვერ შეაკავა — მამასთან მინდაო. ბიჭი ჩემთან ამოვიდა, ჩოხის კალთებში ჩამჭიდა მაგრა ხელები და წინ წამიდგა, ხოლო დარბაზს ნიშნის მოგებით გადახედა: მამასთან ვარ თუ არაო! ამაზე საზოგადოებამ ბევრი იცინა და მეც უცნაურად საამურ მდგომარეობაში ვიყავ. მთელი კონცერტი ისე გავათავეთ, რომ ჯუან-შერი ჩემი ჩოხის კალთებს ერთი წუთითაც არ მოშორებია.

ამ სცენამ, ვფიქრობ, არც საზოგადოებას აწყინა, რადგან ჩემი ბი-ჭის ბრძოლამ ჩემს დასთან და გამარჯვებამ დიდი ტაში გამოიწვია დამ-სწრე საზოგადოებაში — ეს სცენაც ამ კონცერტს მიემატა.

ამან ცოტაოდენი მომაცდევინა, დრო გაიყვანა და დარბაზში ხა-შმელებიც შემოვიდნენ. მათ უკან შემოჰყვა შალიკო იმედაშვილი. დაგვიანებულები სცენაზე ამოვიდნენ. დაგვიანებაზე ამჟამად არაფე-რი ვუთხარ და კონცერტი დავიწყე. მონაფეებისა და მათი ხელმძღვა-ნელების სიამოვნებას, სიხარულსა და აღტაცებას ვერც კალამი აღ-წერს და ვერც ენა იტყვის. ჩვენთვის მოცემული საათი გათავდა, მათი საათების ფარგლებშიც გადავედით, მაგრამ ისინი მაინც არ გვიშვებდ-

ნენ, გვამეორებინებდნენ სიმღერებს და ითხოვდნენ სხვებსაც.

წამოსვლისას დიდი მადლობა გადაგვიხადეს, შეკრებილი ფული მო-
გვცეს და გვთხოვეს, მალ-მალ შეგვევლო მათთან.

ამ დღეს ხუთგან მოვასნარი კონცერტის ჩატარება.

საღამოთი საჭმელი ვაჭამე მომღერლებს და ფულიც დავურიგე-
ფული იცოტავეს ხაშმელებმა. მაშინ მე ასეთი წინადადება მივეცი:

— რაკი ასეთი შემოსავალი თქვენ ხეირს არ გაძლევთ, შევწყვეტ
კონცერტებს, რადგან მე გავწყალდი, თქვენ გადაგყევით და ხელში
არაფერი მიჭირავს იმის მეტი, რომ საზოგადო საქმეს ვაკეთებ. ფული
უკვე მოცემული გაქვთ, მაგის მეტს ვერ მოგცემთ — შემოსავალი ეგ
იყო და მე ჩემი ფული აღარა მაქს, ამაღამვე იყიდეთ ბილეთები და წა-
დით სოფელში...

მიხა ჯილაურმა იუარა: მე შენ თავს არ გაგანებებ, თუ უნდათ ხაშმე-
ლები წავიდნენ.

— არა, კაცო! არა, კაცო! — აყვირდნენ ხაშმელები, — მაგიტომ კი
არა ვთქვით.

— თქვენი „არა კაცო“ საქმეს ვეღარ უშველის და მეც აღარ გან-
ვაგრძობ, სანამ არ წახვალთ იმ სკოლებში, სადაც კონცერტები ჩავა-
ტარეთ, და იქიდან შემოსავლის ზუსტ ანგარიშებს არ მოიტანთ, რათა
დაგიმტკიცოთ და თქვენი თვალით დაგანახოთ, რომ იმაზე მეტი შემო-
სავალი არ ყოფილა, რაც თქვენ გაგიყავით.

გავჯიუტდი.

ისინიც გაჯიუტდნენ: ჩვენ არაფერ ანგარიშს არა გთხოვთ. მხოლოდ
ისე ვთქვით, რადგან ვიღაცებმა დაგვარწმუნეს, რომ შენ აუარებელ
ფულს იღებ და ცოტას გვაძლევ.

ამან უფრო გამაბრაზა.

— რაკი ასეა, წადით და ის სხვა აქ მოიყვანეთ ან წაიყვანეთ იქ, სად-
აც ფული მივიღეთ, და მოიტანეთ ანგარიშები, რათა გაიგოთ ნამდვილი
— გამოჩნდეს ავი და კარგი, ბოლო მოელოს თქვენს გაუთავებელ ეჭვს
და უნდობლობას! როგორმე შევიდეს თქვენს ბენელს თავში სიმართლის
ნათელი სხივი ან კიდევ გაპყევით მას და, დეე, მან მეტი მოგცეთ ჩემზე,
ოღონდ ეს საქმე კარგად გააკეთოს.

აქ სულ აყადნდნენ და დაიწყეს ლანძღვა იმ „ვიღაცეებისა“...

მართალია, მეორე დღეს დანარჩენ სასწავლებლებისკენ გავწიეთ
და ხაშმელების გუნდი თითქო გულნმინდად იყო ჩემთან, მაგრამ საი-
დუმლოდ მაინც გაეგზავნათ კაცი იმ სკოლებში, სადაც ჩვენ კონ-
ცერტები ჩავატარეთ, რათა გაეგოთ შემოსავლის რაოდენობა. ამის
შესახებ მითხრეს გამგეებმა, როცა უკვე გუნდები სოფლებში იყვნენ
წასულები. რაკი გამოირკვა, რომ არამც თუ წაკლებს ვაძლევდი, პი-
რიქით, ჩემს წილსაც მათ ვუყოფდი და ვაჭმევდი, ხმა ვეღარ ამოიღეს.
საწყენად და სავალოდ მაინც ის დამრჩა, რომ თავიანთი გულის

ჭუჭყი ჩემზე გადმოიტანეს და ლამის ამ მშვენიერ საქმეზე გული ამი-ცრუეს.

სკოლებში რომ კონცერტებს მოვრჩი, გლეხები სოფელში წავიდნენ და მეც მოვისვენე. ამ ხანებში შემხვდა საქართველოს გლეხთა ცენ-ტრალური სახლის გამგე ივანე მჭედლიშვილი (არავითარი ნათესავი არ არის ჩემი — ის ანაგელი მჭედლიშვილია, მე — კაკაბელი). მთხოვა, ჩვენც გაგვიმართე ერთი საღამო გლეხებისათ.

დიდი სიამოვნებით დავთანხმდი.

მომცეს გზის ფული ორმოცი მანეთი და წაველ მომლერლების მო-საკრებად, მაგრამ არც ხაშმში, არც კაკაბეთში, არც შილდაში — წაველ შაშიანში. აქ მეგულებოდნენ მომლერალი ბინკინაშვილები. ხაშმელებს სამუდამოდ ჩამოვშორდი, რადგან გავიგე, რომ მათი არევ-დარევა შა-ლიკო იმედაშვილის ბრალი იყო (იმედაშვილი ხაშმელია). მას უნდო-და, ხაშმელები თავისკენ გადაებირებინა და თვითონ ყოფილიყო მათი ხელმძღვანელი.

ჩავედი შაშიანში და იქ შევადგინე ახალი გუნდი. მართალია, მათში არავინ იყო მიხა ჯილდაურისთანა, მაგრამ მაინც კარგი გუნდი შეიკრიბა: ისინი ბევრ ისეთ სიმღერას მღეროდნენ, რომლებიც არც ხაშმელებმა იცოდნენ, არც — კაკაბელებმა.

გუნდი მოვამზადე, შევარჩიე მომლერლები და გზის ფული დავური-გე, ვუთხარი: თბილისში მარტო თქვენ არ იქნებით, თქვენთან ერთად კაკაბელებიც იქნებიან. ამიტომ გიცხადებთ აქედანვე: მიხა ჯილდაურის გუნდსა და თქვენ შორის ლაპარაკი აღარ იყოს. ამათაც ის ანდაზა ვუ-თხარ: მეაში დავას ხვნაში დაგა სჯობია. სასაცილოდ ვეხვენებოდი: თუ რაიმე ძვირი გაქვთ გულში, აქედანვე მითხარით, ნურაფერს დამიმა-ლავთ, ცუდის ლირს არა ვარ-მეთქი. მათ გაიცინეს და მეც დავცინე ჩემს თავს: რძისაგან შეშინებული დოს უბერავდაო.

პირობის შესახებ ვუთხარი: პირობა ერთია — ყველანი თანაბარნი და თანასწორნი ხართ... ყველამ ერთხმად გამომიცხადა თანხმობა.

იმედიანად ჩამოველ თბილისში. აქ გაზითში უკვე გამოეცხადები-ნათ: გლეხთა ცენტრალურმა სახლმა დაავალა პოეტ იოსებ მჭედლიშ-ვილს ოპერის თეატრში გლეხური კონცერტის მოწყობა.

ახლად ჩამოსული ვიყავ შაშიანიდან, ქუჩაში შემხვდა შალიკო იმე-დაშვილი და მისაყვედურა:

— კაცო, შენ რად გვიშლი საქმეში ხელს?

— რა საქმეში? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— იმ საქმეში, რომ გლეხურ კონცერტებს მე ვაწყობ! საზოგადოე-ბები მავალებენ, ვმართო გლეხური კონცერტები.

— მერე ვინ გიშლის ხელს? გამართე რამდენიც გინდა. მე ამის მე-ტად არც გამიგია, თუ შენ ამ საქმის კაცი ხარ.

— მე რანაირადღა უნდა გავმართო გლეხური კონცერტი, როდესაც

შენ უკვე წასულხარ სოფელში და შეგიპირიანებია გლეხები?

— არა, ძმაო, არა! მე ხაშმელებთან საქმე აღარა მაქვს, შენთვის და-
მითმია ისინი. ხაშმელებზე ამბობ შენ, არა?

— ჰო.

— ნუ გეშინიან! მე სულ სხვა გლეხებთან ვიყავ, სულ სხვა სოფელში,
ისე რომ, ხაშმელებზე სრულიად დამშვიდებული იყავ, შენთვის მომი-
ძღვია სამუდამოდ ეგ ჩემგან შემდგარი გუნდი. რაღაში გიშლი ხელს?

შალვა იმედაშვილს ჩემი ნათქვამი გაუკვირდა და ხმაამოულებლად
გამშორდა.

კონცერტის ნებართვა აღებული იყო ოპერის თეატრში, 1928 წლის
აპრილის 3 რიცხვისთვის.

მომღერლები ჩამოვიდნენ. ოცამდე კაცი იქნებოდა. მესტევირეც
მყავდა და მესალამურეც. კონცერტმა იმედებს გადააჭარბა. მოსწონ-
დათ და ამეორებინებდნენ მიხა ჯილაურის ჯგუფს. ეს, რა თქმა უნდა,
არ ესიამოვნებოდათ შაშიანელებს,
მაგრამ ჩემი ბრალი ხომ არ იყო. ნა-
თქვამია ლექსი:

ლომი სჯობს სპილოს სიფიცხით,
მისგანვე დასამხობია,
მჯობისა მჯობსა ვაუკაცსა
სახელი დიდი ჰემობია.

თუმცა უნდა ითქვას, რომ არც
შაშიანელები იყვნენ ნაკლები ბიჭე-
ბი: ისინიც კარგად ასრულებდნენ
სრულიად სხვა, ჯილაურისთვის
უცნობ სიმღერებს, რისთვისაც
არანაკლებ ოვაციებს უმართავდა
ხალხი.

ეს კონცერტი არ მოეწონა, უკეთ
რომ ვთქვათ, ამ კონცერტში მე არ
მოვეწონე გაზეთ „მუშის“ რეცენ-
ზენტს, ვინმე „დამსწრეს“.

რეცენზენტი მომღერლების და-
ჯგუფებას მისაყვედურებს. მაგრამ
მე იმიტომ დავაჯგუფე, რომ შეიდა
კახელები სხვა სიმღერებს მღე-
როდნენ, გარეკახელები სულ სხვა
სიმღერებს. ხოლო თუ ზოგიერთი
ერთი და იგივე სიმღერებსაც უხრისულ
მდგომარეობაში აყნებდა.

გლეხები კონცერტი
გუშინწინ თბ. სახელმწიფო ოპერაში გაი-
მოხარის გლეხები კონცერტი, რომელიც მი-
ძღვია სამუდამოდ ეგ ჩემგან შემდგრა-
ლი იყო გლეხთა უცნობი სახლის
3 წლის თავის აღსანიშვნიად.
კონცერტში მონაწილეობას ლებულობდენ
კაბილია — შაშიანელები და კაბბები გლეხე-
ბი, რომელებიც პირადაპირ თავინთ სამუშაო
ტაცუებებით ჩამოსული იყვენ სოფლებიდან.
კონცერტში მინიჭილე გლეხების სკელა-
სები ხოლო სიმღერების შესრულებით
არაყველებრივი შთაბეჭდილება მოახდინეს
დამწერე საზოგადოებაზე.

ხალხი ემაუყოფილი იყო, მშობლივ დღი
ნერვულობის წევევდა საჭიროადებში სიზ-
ლერის ხელმძღვანელის ს. შევდლიშვილის
მოქმედება.

მე გაცყო მომღერლები ორ ნატილად;
ერთს და მემვე სიძურერს ასრულებდა ჯერ
ერთი ჯეული და შემდეგ მეორე. მეშენღლებ-
ში სეთა შთაცეტილება ჩემიოთა, თოქო
ლეხები ერთმანეთს ეჯიბრიბოდნენ. ეს გა-
აემოხა თვით მომღერლებსაც უხრისულ
მდგომარეობაში აყნებდა.

მცელილშვილი მეტად უადგილოო აწევე-
ტინებდა გლეხებს სიმღერას.
მესტროლი გლეხები, რეპერეც მონაწილე-
ობიდა კონცერტში, ვირ მათმანია და მცელ-
ლშვილს სიძურით მომართა:

„დამაცალ მცელლი შვილო
სიტყვა ნუ შემაშევევნე
მოკარნახე შე არა მყავს
აზრი ნუ დაბაბევევნე“...
იმან დიდი ტაში გამოიწვია საზოგადოე-
ბაში.
საერთოდ კონცერტმა კარგი შაბაზელი-
ლება დასტოავა. დამსწრე.

გაზეთი „მუშა“ 1928 წელი

ვე სიმღერას სხვადასხვანაირად მღერიან, ესე იყი, სხვადასხვა პიროვნებაში ხშირად სხვადასხვანაირია ესა თუ ის ჰანგი. ეს მე სცენიდან ავუხსენ ხალხს, რისთვისაც, თუ ყრუ არ იყო რეცენზენტი, ტაშიც დამიკრეს. ამიტომ ასეთი დაჯგუფება შეჯიბრი კი არ იყო, არამედ ხალხის, გემოვნების მრავალფეროვნება და ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობის თავისებურება.

მტრობითა და შურ-ლვარძლით ავსილმა რეცენზენტმა ვერც ჩემი ახსნა გაიგო და ვერც თვითონ მიხვდა ამას. მისდა სამწუხაროდ, ეს გაიგო ოპერის თეატრში მრავალრიცხოვანმა აუდიტორიამ, რომელიც ოვაციებს უმართავდა ერთსაც და მეორესაც.

მესტვირე იოსებას შაირი მოჰყავს რეცენზენტს, რომლითაც მე მომმართა. მის მიერ სწორად არაა შაირი გადმოცემული. ჩემი მესტვირე არც ისეთი უზრდელი და უნიჭო იყო, ასე უკმეხად ასეთი უშნო ლექსი ეთქვა ჩემთვის. მესტვირეს ვთხოვდი: მღვდელზე რომ შაირი იცი, ის დაუკარ-მეთქი. მან მოსწრებულად და ჩემ საამებლად თქვა:

დამაცადე, მჭედლიშვილო,
ბრძანდებოდე ე მაქანა,
შეგ რომ კაი პოეტი ხარ,
მე გვონივარ უჭკვო განა?


აქაც იმავე შემოსავლის ამბავი ატყდა. ვილაცამ უთხრა გლეხებს, იოსებ მჭედლიშვილი გატყუებთო, მაგრამ მე სრულიად დამშვიდებული ვიყავ, რადგანაც გლეხთა ცენტრალური სასახლის ბუღალტერიის ხელში იყო ყველაფერი.

ერთი თვის შემდეგ წავიკითხე აფიშები, რომ შალვა იმედაშვილი ხაშმელების გუნდს ჩამოიყანდა თბილისში და რუსთაველის საკონცერტო დარბაზში გამართავდა გლეხურ კონცერტს.

საღამო გაიმართა. მონანილეობდნენ მხოლოდ ხაშმელები.

კონცერტი კარგად მოეწყო და კარგადაც ჩატარდა, მხოლოდ მათ არა ჰყავდათ ჯილდაურისთანა მომღერალი. მაინც სასიამოვნო და წასახლისებელი იყო, რომ რუსთაველის დარბაზის სცენიდან ისმოდა ქართული ხალხური შეურყყვნელი სიმღერები. ხალხი მას დიდის აღტაცებით ისმენდა, ტკბებოდა და თავისი დედის რძესავით ალალად ირგებდა.

განსაკუთრებით კარგი იყო ამ საღამოში მეფანდურე ქალისა და ვაჟის გაშაირება. ასეთი ნომერი ჯერ არ შესრულებულიყო სცენაზე (გაზ. „მუშის“ რეცენზენტს ესეც დაჯგუფება ეგონებოდა). უნდა ისიც აღვნიშნო, რომ შალიკო იმედაშვილის მამამ, ცნობილმა უურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ, იოსებ იმედაშვილმა კონცერტს წინ წარუმძღვარა დიდი მოხსენება ხალხური შემოქმედების შესახებ, სწორედ იმგვარად, როგორიც მე გავაკეთე „ქართული ხალხური თეატრის, ლი-



მიხეილ საყვარელიძე, ციცქიშვილი, იოსებ მჭედლიშვილი, სიკო ფაშალიშვილი

ტერატურისა და მუსიკის შესახებ“ 1928 წლის 11 თებერვალს კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში.

იოსებ იმედაშვილმა ორი საათი ილაპარაკა და ხალხი ძალიან მოაწყინა.

რამდენიმე დღის შემდეგ გაზიეთი „ზარია ვოსტოკა“ გამოეხმაურა ამ სალამოს და კარგად შეაფასა იგი („ზარია ვოსტოკა“, 1928 წელი, 3 ივლისი, №152).

ჯილაურის გუნდი თითქმის განვამტკიცე, მჭიდროდ შევკარ. მიუხედავად არევ-დარევისა, დაუსრულებელი ბუზლუნისა, უგუნური უკმაყოფილებისა, სხვებთან ჩივილისა და შეურაცხყოფისა, ვერა მშორდებოდნენ. მეც ვითმენდი, ვიტანდი ყველაფერს და არაფერს ვიმჩნევდი. რად?! თქვენა გგონიათ, ჩემი პირადი სარგებლობისთვის?

არა, არა, ათასჯერ არა!

არაფერი სარგებლობა მე იქიდან არა მქონდა. მე ამას ვჩადიოდი მხოლოდ ხალხური — ეროვნული — იდეისთვის. იქნებ ვინმეტ სულელიც მიწოდოს, გაეცინოთ კიდეც ჩემზე, მასხარადაც ამიგდონ, მაგრამ

რა ვქნა! ყველანი ხომ ერთნაირები არა ვართ: ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს მღვდლის ცოლიო, — ნათქვამია.

როცა სულმთლად ჩამოვაყალიბებ მიხა ჯილაურის გუნდი და სახელიც გაითქვა, მე უფრო დიდი წრე შემოვხაზე ქართული ხალხური მუსიკის საქმისათვის. მარტო მიხა ჯილაურის გუნდი არ მაკმაყოფილებდა: ის მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური შემოქმედების ერთი ნამცეცი იყო, მაგრამ მარტო აღმოსავლეთი საქართველო ხომ არ არის? არის დასავლეთი საქართველოც, რომელსაც თავისი საკვირველი თავისებურებანი ახასიათებს, როგორც ყოფა-ცხოვრებაში, ისე მუსიკალურ ჰანგებში.

ვინ არ იცის და ვის არ გაუგია გურული კრიმანჭული — ხალხური შემოქმედების განმაცვიფრებელი და მეტად ორიგინალური ჰანგი, რომელსაც დედამიწის ზურგზე გურულის მეტი ვერავინ შეასრულებს. იქნება ამაში ზოგიერთები არ დამეთანხმონ, მაგრამ მე მაინც ამ აზრისა ვარ.

მაშასადამე, მარტო ჯილაურის გუნდი არ იყო საქართველო. ამიტომ კახელების გუნდს დავუახლოვე ალექსანდრე მახარაძის გურული მომღერლების გუნდი.

ალექსანდრე მახარაძე მეტად მშვიდი, პატიოსანი და უწყინარი, უინტრიგო კაცი გახლდათ. მისი გუნდიც არ იყო სხვისაზე ნაკლები. ჰოდა ეს გუნდი და ჯილაურისა შევათანხმებ დიდი ახსნა-განმარტების შემდეგ. ალექსანდრე მახარაძეს მშვენიერად ესმოდა, რასაც ვაკეთებდი; მისი გუნდის წევრებიც — ზრდილნი, თავაზიანნი, ამასთანავე, კახელების დიდად მოყვარულნი. როდესაც კახელები მღეროდნენ, ისინი სიამოვნებით ყურს უგდებდნენ და ტკბებოდნენ.

მაგრამ ჯილაურის გუნდი?

უზრდელთა, ხეპრეთა და ჯიუტთა ჯგუფი. არც ამ ქვეყნისა ესმოდათ, არც იმ ქვეყნისა და, რაკი ფულის გემო გაიგეს, სულ ფულზედა ლაპარაკობდნენ, სულ შემოსავლის გაყოფაზე დავობდნენ.

მერე განა ადვილი იყო ამ ჯგუფის გურულებთან დაკავშირება? მთელი ჩემი ნიჭი და ენერგია ამას მოვანდომე, მაგრამ...

მიხა ჯილაურის გუნდის წევრები იყვნენ უნიგნური გლეხები, თოხითა და ბარით ხელზე ტყავგადაცლილები. მაგრამ მახარაძის გუნდის მომღერლები?... განა ისინი კი გლეხები არ იყვნენ. ყველანი, თვით ალექსანდრე მახარაძეც, რკინიგზაზე მტკირთავებად მუშაობდნენ: ერმალო სიხარულიძე, ვლადიმერ ბერძენიშვილი, თეოფილე ლომთათიძე და სხვები. სულ შვიდი კაცი იყო. ჯილაურის გუნდშიც ამდენივე ითვლებოდა. ამ ორი გუნდის გაერთიანებით ჩვენი ეროვნულ-ხალხური სახე ცოტაოდეს შევავსე. რატომ ავიღე კახეთი და გურია? რატომ გამოვტოვე იმერეთი, სამეგრელო და ქართლი? ქართლი და კახეთი ერთი და იგივეა, ხოლო კახური და გურული სიმღერა, ორი უკიდურესობაა —

ერთი ჩამომავლობით და ერთი ძირით.

საქართველოს თავი აღმოსავლეთის მხრით დაღესტნის მთებზე აქვს მიყუდებული და ფეხებით ზღვაშია ჩაშვებული დასავლეთისკენ. თავიდან რომ დაიწყოთ მგზავრობა და ზღვამდე მიხვიდეთ, შეატყობთ, რომ სიმღერა თანდათან იცვლება და შავი ზღვის პირას, გურიაში, სულ სხვა სახესა და ხასიათს იღებს.

ამიტომ ავიღე მე თავი და ბოლო. რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, ყველაფერი ყოფილიყო: ქართლიც, კახეთიც, იმერეთიც, გურიაც, სამეგრელოც, სვანეთიც, რაჭა-ლეჩხუმი-აჭარაც, აფხაზეთიც, მაგრამ ამას როგორ შევძლებდი... ყოველ შემთხვევაში, ვერ შევძელ და ამისთვის ნურავინ მისაყვედურებს.

ერთი სიტყვით შევკარი მთლიანი გუნდი გურულებისა და კახელებისაგან. აქვე ჩავუმატე მესტვირე — ქართული ხალხური მუსიკის საძირკველი. ხან ბიჭია ბურდილაძე მყავდა, ხან — მებურე იოსება მესტვირე. ორივენი ნაძალადევში ცხოვრობდნენ.

წმინდა ქართული კონცერტი გურულებისა და კახელებისა გავმართე რამდენიმე კლუბში და კარგი შედეგი მომცა. კლუბებმა მომთხოვეს ხშირ-ხშირად მევლო მათთან. მაგრამ ვერ მივდიოდი, რადგან სამიოთხი დღის შემდეგ გლეხები მიდიოდნენ ხოლმე სოფლად თავთავიანთ ოჯახებში საქმეების გამო.

აქ ერთი გარემოება უნდა გავიხსენოთ: როდესაც კლუბებში ვამდერებდი კახელი და გურული მომღერლების გუნდებს, ჩემდა სამწუხაროდ, ჩვენი ძმები დასცინოდნენ დარბაზიდან გურულ მოკრიმანჭულებს. და, როცა გურული მომღერლები სიმღერას გაათავებდნენ, ტაშს ძალიან დუნედ დაუკრავდნენ. ისე, თითქო გლახას მოწყალება გადაუგდეს.

ფოსტა-ტელეგრაფის კლუბში გამოსვლის დროსაც მოხდა ასეთი უგულობა გურული სიმღერისადმი. წავდექი წინ და მოვახსენე:

მოქალაქენო! ვის დასცინით ან რას დასცინით? თქვენს თავს? რად დასცინით? იმას, რომ გურული სიმღერა განსაცვითორებელი და ორიგინალურია, არც ერთ ერს მსოფლიოში არ მოეპოვება ამისთანა რთული წყობისა და ტექნიკის სიმღერა. ამას დასცინით? სირცხვილია! სანამ ამისთანა რამეს დასცინებდეთ, კარგა უნდა ასწონ-დასწონოთ. ამიტომ, ვისაც სასაცილოდ მიაჩინია გურული სიმღერები, ვთხოვ, გაბრძანდეს დარბაზიდან!

ჩემს მკვახე სიტყვაზე ხალხი ისე გაიკმინდა, როგორც ბეღურების გუნდი, ალალი რომ წამოუქროლებს ხოლმე. შემდეგ ისევ გურულები ვამღერე. იმღერეს „შვიდკაცა“ და გათავებისას ისეთი ტაში დაჰკრეს, რომ აჯანყებულთა დემონსტრაცია გეგონებოდა.

კლუბები რომ სულ მოვიარე და გლეხები გავგზავნე სოფლად, ერთი აზრი შემიჯდა თავში. მარტო საქართველომაც აღარ დამაქმაყოფილა.

გადავწყვიტე ქართველებთან ერთად გამომეტანა სცენაზე აზერბაი-
ჯანისა და სომხეთის ხალხური შემოქმედებაც, რათა ხალხს ნათლად
დაენახა ამ სამი ერთს ხალხური მუსიკალურა, მათი სხვაობა
და ხასიათი.

ამიტომ უნდა მომექებნა ისეთი კაცი, რომელსაც კარგა სცოდნოდა
სომხეური ხალხური შემოქმედებაც და აზერბაიჯანულიც.

კითხვა-კითხვით ასეთ კაცსაც მივადექი.

ეს იყო ალექსანდრე ოპანეზაშვილი, საერთოდ აღმოსავლური მუ-
სიკის კარგად მცოდნე. იგი მსახურობდა საქართველოს კონსერვატო-
რიაში — ლექციებს კითხულობდა აღმოსავლეთის მუსიკის შესახებ.

მოველაბარაკე ოპანეზაშვილს. მან დიდი სიამოვნებით მიიღო ჩემი
წინადადება. როცა ახლო გავიცან, ვნახე, რომ მან მართლა მთელი
სიღრმე-სიგანით იცოდა აღმოსავლეთის ხალხის მუსიკა, მათი ყოფა-
ცხოვრებაც და ისიც, რას უკრავდნენ და რას მღეროდნენ.

ალექსანდრე ოპანეზაშვილი ტომით ნამდვილი სომეხი იყო, მაგრამ
ქართველის გვარს ატარებდა, ძალიან უყვარდა ქართული კულტურა,
ჩასჩიჩინებდა „ვეფხისტყაოსანს“ — ათასნაირ საიდუმლოებას ეძებდა
მასში, ჩვენი კულტურის სილმეე-
ბში. ამავე ქართულ კულტურაში
იგი ხედავდა მეტისმეტ ძალას, სი-
ძლიერეს, სიმკვიდრეს, სიღრმეს,
ურყეველობას და დაუძლეველო-
ბას. ის გატაცებული იყო ამით.

— ალექსანდრე, — ვუთხარი
მე, — ვშიშობ, ქართველების გუ-
ლის მოსაგებად ან მეტისმეტი
ქართული პატრიოტობით აბსურ-
დი არა ქნა.

— არა, მე გულწრფელი ვარ
ჩემს შეხედულებებში და, ასეთ
შემთხვევებში, შეცდომებს აპა-
ტიებნ, თუმც ვიცი, რომ მე
არაფერში ვცდები.

— რაკი ასეა, „იყავნ ნება შენი“,
— ვუთხარი მას და შევადგინეთ
პროგრამა.

პროგრამაში სომხურად და
თათრულად (აზერბაიჯანულად)
თვით ალექსანდრემ ჩანერა შეს-
ასრულებელი ნომრების სახელე-
ბი.

Чародей чечет - ашуг
Григорий Шаховиц

Ашуг Григорий
который занимается одним из последних армянских
ашугов и любит петь народные песни из своих селений -
бывших ашугских деревень.

1. Чечет утури
/таки дошиц/
С твоим на чуди.
2. Чинчур джурни
/Дзар ернетс/
Исполняет такие песни/
3. Эшн ժի չинчур
/На ми наз чини/
Ханеца шогба/
4. Ширкар - чукар
/Чити - Чити/
/Засфено, засфено/

პროგრამა მეტისმეტად დიდი გამოვიდა, მაგრამ ხელოვნების სამართველომ იგი საგრძნობლად დააპატარავა: ამოდენა პროგრამის შესრულებას ორი საღამო უნდაო. საღამოში მონაწილეობდა სომხების გამოწენილი აშული-მომღერალი გრიგორ ტალიანი.

პროგრამაში საქართველოს განგებ უკან ვაყენებდი, შოვინისტობა არ დამნამონ-მეტეი, მაგრამ ხელისუფლების პირნი ასე სახავდნენ: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხალხური მუსიკის საღამო დაინიშნა 1929 წლის აპრილის ორისთვის, მაგრამ გაიმართა აპრილის სამს — ოპერის თეატრში. თეატრი გაივსო აუარებელი ჭრელი ხალხით. აქ იყვნენ ყარაბახულებიც, სომხებიც, აზერბაიჯანელებიც, ქართველებიც, რუსებიც და სხვებიც.

სომხების განყოფილება რომ სუსტი არ გამოსულიყო, გარდა აშულებისა, კულტურული (ხელოვნური) ძალებიც მივაშველე, მაგრამ მაინც სუსტი გამოვიდა. როდესაც სომხები ინყებდნენ მღერას, თვით სომხებივე ყვიროდნენ: „კახური იმღერეთ, ეგ არ გვინდაო“. დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს აზერბაიჯანელმა აშულებმა — სადღ-მა და ტაშტამირამ, საშუალო — შულავრელმა გიურჯამ და მისმა დუღუქმა. მიხა ჯილაურმა ხომ პირდაპირ ზარალი მიაყენა ოპერის თეატრს: დაამტკრიეს სკამები და ლოუების გვერდები.

ყველაზე სერიოზულად და პატივისცემით ქართულ სიმღერას იღებდა ხალხი და გასაკვირია, რომ თვით სომხებს უფრო მოსწონდათ იგი.

რამდენიმე დღის შემდეგ გადმომცეს: სომხურ გაზეთში გსაყვედურობენ, სომხური სიმღერა იოსებ მჭედლიშვილმა განგებ სუსტი გამოიყვანათ. ეს დოკუმენტი მქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დამეკარგადა მის მოძებნას სომხურის ცოდნა სჭირდება. წერილში იმასაც წერდნენ, რატომ სომხური აკადემიური გუნდი არ მიიჩვიაო და ავინყდებოდათ, რომ ეს აკადემიური გუნდების კონცერტი კი არა, ხალხური სიმღერისა იყო.

ჩემდამი საყვედურებს სომხური გაზეთი „პროლეტარი“ დაახლოებით აპრილის შუა რიცხვებში წერდა.

ამის შემდეგ თვე არც კი გასულიყო, რომ ამიერკავკასიის ცაკის ყრილობა გაიმართა საოპერო თეატრში. ყრილობის მეთაურებმა, ანუ ამიერკავკასიის მთავრობებმა, ყრილობის დასრულების შემდეგ თავთავიანთი ხალხის ჰანგების მოსმენა მოინდომეს. მათი სურვილი იყო გლეხის და მუშის მოსმენა და არა იმისი, რასაც ლენინგრადიდან გასტროლებზე ჩამოსული მსახიობი იმღერებდა. ამიტომ მოიკითხეს კაცი, რომელიც ამას მოაწყობდა.

მომძებნეს მე. კი არა მთხოვეს, მიბრძანეს, ეს საქმე სასურველად მომემზადებინა. აქაც დავიხმარე ალექსანდრე ოპანეზაშვილი. მან მოაწყო სომხური და აზერბაიჯანული განყოფილება, მე — ქართული.

ჩვენ უკვე ყველაფერი მზად გვქონდა, მხოლოდ სომხურისა მეშინოდა, კიდევ სუსტი არ გამოსულიყო.

ყრილობა ერთ კვირას გრძელდებოდა, ბოლოს დამის თორმეტ საა-
თზე გათავდა. შემდეგ დაინყო კონცერტი (1929 წლის 6 მაისი).

კონცერტის დაწყებამდე, საღამოს კონფერანსიებ — კოლია კახიძემ — ხალხს გააცნო ეთნოგრაფიული საღამოს პროგრამა და სხვათა შორის თქვა: ეს მშვენიერი საღამო ამ ყრილობისთვის ჩვენმა პოეტმა იოსებ მჭედლიშვილმა მოაშზადა. კახიძეს კულისებიდან ყურს უგდებდა თეატრის ფინანსური ნაწილის დირექტორი ილო მაჩაბელი, რომელმაც, გაიგო რა ჩემი გვარი, გაბრაზებით გადასძახა:

— Ты не умеешь, где что говорить!

კოლიამ რომ გაათავა ლაპარაკი და სცენიდან კულისებში გამოვიდა, ეცა ილო მაჩაბელი და სულ მტკვერი ადინა ზურგზე — იოსებ მჭედლიშვილი რად ახსენეო. კოლია გულწრფელად უმტკიცებდა: განა თქვენ კი არ იცით, რომ მე მართალი ვთქვი, თქვენ არ მოიწვიეთ მჭედლიშვილი ამ საღამოს გასამართავად, თვითონ არ დაავალეთ ამ საღამოს მოწყობა და თქვენვე არ იცით, რომ ეს ყოველივე მაგისი გაკეთებულიაო. მაგრამ, თუ მაგ კაცის სახელის ხსენება არ შეიძლებოდა, მე არ ვიცოდი, ვინაიდან ყოველდღე ათას საღამოებზე და ხანდახან ამ თეატრშიც ვაცხადებ ხოლმე ლენინგრადიდან და მოსკოვიდან ჩამოსულ გასტროლიორებსათ. ყოველ შემთხვევაში, თუ ეს არ უნდა მეთქვა, რატომ წინდანინ არ მითხარით და, რაკი ვთქვი, მაპატიეთო.

სცენაზე უკვე იდგა ჩემი გუნდი, სომხების გუნდი და მათ გარშემო ერტყა აღმოსავლური ორკესტრი ალექსანდრე ოპანეზაშვილის ხელ-მძღვანელობით. სცენაზე აღარ გამიშვეს და კულისებში ვეუბნებოდი მიხას, რა სიმღერაც უნდა ეთქვათ. ჩემ შესახებ რომ ჩხუბი გათავდა, მეგონა ინციდენტი ამით ამოიწურებოდა. მიხა ჯილდურის შემდეგ სომხებს მივეკი შეკვეთა კულისებიდან — ესა და ეს იმღერეთ-მეტქი.

ხან სომხები ვამდერე, ხან — ჯილდაური წინდაზინვე მომზადებული პროგრამით, ხან — აზერბაიჯანელი აშულები, რამაც ხალხი გააგიტა თავისი მუსიკალურობით და, როცა კონცერტი დასრულდა, სცენაზე ამღვარდა ამიერკავკასიის ცაკ-ის მდივანი ახვერდოვი და ხმაძალლა იყვნირა:

— Где же Армяне? Я их не вижу! Вы нарочно сделали так, чтобы их не было видно!

ეს კი მძიმე არტილერია იყო ჩემ ნინააღმდეგ, მაგრამ მას, ჩემდა სა-ბერი ნირობ, მძიმე არტილერიავი დაუხვდა ნინ:

— უკაცრავად! — შეეჯახა ალექსანდრე ოპანეზაშვილი ახვერდოვს,
— მე სომეხი ვარ, სომების ავი და კარგი თქვენზე კარგა ვიცი და მო-
გახსენებთ, რომ სომებს იმაზე მეტი ხალხური, რაც აქ იმღერეს, არ
მოუპოვიბათ და ახლა ჩვენ აქ მეტს ვირ შევუძမნითო.

ახვერდოვი პირში ჩალაგამოვლებული წავიდა. ამ ამბავმაც დიდი აურზაური ატეხა. ვიღაც სომხები და ილო მაჩაბელი მე მომესივნენ. მეც მოვხსენ პირი გუდასა და სულ ქიზიყურად ვიღანძლებოდი.

ცაჟ-ისთვის კონცერტის გასამართად რომ დამიპარეს, იქ თანხაზეც დავდეთ პირობა თეატრის ხელმძღვანელობასთან, ანუ მთავრობის ხაზინადართან. ამ საღამოს გამართვაში ჩემთვის უნდა მოეცათ ოთხასი მანეთი.

ალექსანდრე ოპანეზაშვილს ჩემი საკუთარი ჯიბიდან წინდანინვე მივეცი ოცდახუთი მანეთი. არ მახსოვს, აღმოსავლური ორკესტრისათვის მართლა 310 მანეთს დავპირდი თუ არა. მხოლოდ ის ვიცი, რომ მასთან სრულიად პირნათლად ვიყავ.

ჩემდა საბედნიეროდ კონცერტის დაწყებამდე ილო მაჩაბელმა, წარდგენილი უწყების მიხედვით, მომცა 361 მანეთი. როცა ვუთხარ, ჩემი პონორარი სადღაა-მეთქი, მითხრა, ხვალ მოგცემთო. ეს 361 მანეთი იმ ღამესვე დავარიგე, ხოლო შემდეგში მე აღარც მაჩაბელმა მომცა და აღარც სხვა ვინმემ ჩემი კუთვნილი არც ერთი კაპიკი. პირიქით, აღარც კი მელაპარაკებოდნენ. ამის მიზეზი ჩემთვის საიდუმლოდ დარჩა.

როგორც ვთქვი, ალექსანდრე ოპანეზაშვილს ჩემი ჯიბიდან ჰქონდა მიღებული 25 მანეთი. ამ ღამესაც, თარის დამკვრელების რიცხვის მიხედვით, მივეცი 198, დანარჩენი დავურიგე აზერბაიჯანელებს, სომხებს და ქართველებს. მე დავრჩი სრულიად უკაპიკოდ.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩემთან მოვიდა ალექსანდრე ოპანეზაშვილი და მითხრა: შენ მე 310 მანეთს დამპირდი მეთარეებისათვის და ცოტა მომეციო. მე, როგორც ამ მხრივაც დაჩაგრულმა, შევჩივლე: ერთი კაპიკიც არ მომცეს, პირიქით, 25 მანეთი შენ რომ მოგეცი, ის საკუთარი ჯიბიდან წავიდა-მეთქი, მაგრამ მან ამას ყურიც არ ათხოვა.

— რა ჩემი საქმეა, მოგცეს თუ არა. შენ 310 მანეთს დამპირდი, უნდა მომცე, მორჩა და გათავდაო.

მე გამიყვირდა: როგორ მოხდა, რომ ამისთანა ინტელიგენტი, შეგნებული და იდეური კაციც კი ასე შერყყნა ფულის საკითხმა-მეთქი. თითქმის გავლანძლე და ისე გამოვერიდე ამ, აქამდე ჩემთვის სათაყვანებელ კაცს.

რამდენიმე კვირის შემდეგ ქაღალდი მომივიდა პროფესიონებიდან — ალექსანდრე ოპანეზაშვილი 310 მანეთიდან 87 მანეთს მიჩიოდა. პროფესიონალი კარგად გამოიკვლია ეს საქმე და საჩივარი სრულიად უსაფუძვლოდ და უმართებულოდ ჩათვალა.

ალექსანდრე ოპანეზაშვილი პროფესიონების შემდეგ სმას აღარ მცემდა. ერთხელ ქუჩაში შეხვედრის დროს გამოველაპარაკე:

— რას მემდური, ალექსანდრე, განა ჩემი ბრალია, რომ ოპერის


თეატრის დირექტორმა ბევრი ფული არ მოგცა?

ალექსანდრემ ხმა არ გამცა. ჩუმად გაბრუნდა და წავიდა. ასეთად დარჩა იგი, სანამ ამქვეყნად არსებობდა. რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა.

ალექსანდრე ოპანეზაშვილი მეტად მცოდნე კაცი იყო. მან ბევრი რამ დაუტოვა მომავალ თაობას. ამიტომ მისი პირადი წაკლის გამო იგი ავად მოსახსენებელი არ არის, რისთვისაც მე ისევ ისე პატივსა ვცემ მის ნეტს, როგორც სიცოცხლეში თვითონ მას.

* * *

ჩემ მიერ დაწყებულ საქმეს საპჭოთა ხელისუფლებამ მოჰკიდა ხელი და 1929 წელს თბილისში გაიმართა სრულიად საქართველოს მომღერალთა ოლიმპიადა. მე დამიბარეს ხელოვნების მთავარ კომიტეტში და დამავალეს, ჩამომეყვანა სოფლებიდან მომღერალი გლეხების გუნდი. საამისო თანხაც წინდანინვე მომცეს. რაკი ხელისუფლებამ მოჰკიდა ამ საქმეს ხელი და ამისთვის არავითარ ხარჯებსაც არ ერიდებოდა, ჩემ სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა და მისი დავალება აღფრთოვანებით ვიკისრე. ვიფიქრე, რომ ჩემი ხელისშემშლელი აღარავინ იქნებოდა ქვეყნად.



იოსებ მჭედლიშვილი, შალვა დადიანი,
ნიკოლოზ გალუსტოვი

მივმართე სოფლებს. შიდა კახეთიდან წამოვიყვანე: იასონ დალაქიშვილი, გიორგი საიქოძე (მურყლას ბიჭად წოდებული), ვანო რუსიშვილი და რამდენიმე სხვა. მინდოდა დედას ლევანას წამოყვანაც, მაგრამ წინანდალში მითხრეს, გუშინ დამარხესო. ამიტომ აღარ გავედი შილდას. შემდეგ კი გამოირკვა, რომ ის ისევ ცოცხალი ყოფილა.

ვაჩინაძინელი მომღერლები იასონ დალაქიშვილის მეთაურობით ჩავაბარე გიორგი ვაჩინაძეს (ობრატნოდ წოდებული გლეხობაში). ეს გიორგი ვაჩინაძე იქაური თავადი იყო და 1924 წლის აჯანყების გამო გლეხებს გამოეძევებინათ. ამის შემდეგ პირველი იყო მისი მისვლა თავის სოფელში.

ვაჩნაძეს ჩავაბარე ვაჩნაძეები, ხოლო მე ისევ კაკაბეთში დავბრუნდი. კაკაბელებისა და ვაჩნაძეების გუნდი შევაერთე თბილისში. ამან აღაშფოთა მიხა ჯილაური:

— ეგნი რაღად გინდაო?

მე დავამშვიდე:

— ნუ სწუხარ, თუ ცუდი არ არის, კარგის კარგობას ვერ დავინახავთ-მეთქი. მაინც შფოთავდა. ხან მიხა მიწუხებდა გულს, — მე მაგათან არ ვიმდერებო, — ხან თვით ვაჩნაძიანელები რაღაც საყვედურებს მეუბნებოდნენ მიხა ჯილაურზე, — ჯიბრიანი კაცი ყოფილაო, — და ვიყავ ერთ უბედურებაში. აღარ ვიცოდი, ეს ორი ქვეყანა როგორ მომერიგებინა ერთმანეთთან. ერთიც და მეორეც ირეოდა საავდრო ღრუპელივით. მიხას გუნდის წევრები გარბოდნენ და გამორბოდნენ, ეტყობოდა ვილაცასთან ჰქონდათ კავშირი, ვილაცა მათ ჭკუას ასწავლიდა და ამის გამო ამღვრეულები დადიოდნენ, ჩუმად რაღაცას ბუზღუნებდნენ, მეც მინენავდნენ გულ-ლვილს და თითონაც ინენებოდნენ.

აქ მოვაგონე მიხა ჯილაურს:

— გახსოვს, მიხავ, როცა დედას ლევანამ შენ ჯიბრი გაგინია, შენ იძახდი, ეგეთი კაცი მე არ მინახავს, მე კაცს ჯიბრს ვერ გაუწევ, რაც უნდა იყოსო.

— გახსოვს? — შევეკითხე კიდევ გარკვევით.

მიხამ რაღაცა წაილულულა და სხვებს გადააბრალა ყველაფერი. თუმც გულში ძალიანა ვშფოთავდი და ვწუხდი, მაინც ამას არაფრად ვიმჩნევდი, თავი დინჯად და მშვიდად მეჭირა, მაგრამ კარგად კი ვგრძნობდი, რომ ვიღაც ხაფანგს მიგებდა, სარმას მდებდა და ჩემის წაქცევით გამარჯვებას ფიქრობდა.

ვინ იყო ეს ვიღაცა, ვის უნდოდა ჩემი მტრობა, ვინ ელოდა ჩემი წახდენით თავის ბედნიერებას, თავის გამარჯვებას?

რა უგნურებაა — კაცმა სიკარგით უნდა გაიმარჯვოს, თორემ რა ფასი აქვს სიცუდით გამარჯვებას! ყოველი ადამიანი თავის თავში უნდა აგროვებდეს იმდენ სიკარგეს, რომ ამით ჰქონდეს გამარჯვების იმედი. ვინც ბევრს სიკეთეს დააგროვებს თავის საქმეში, ის დარჩება გამარჯვებული. თორემ რა გამარჯვებაა, სხვას ხელი შევუშალო მადლის დაგროვებაში იმის გამო, რომ მე ამდენი არ შემიძლიაო. ასეთი გამარჯვება დროებითა.

ოლიმპიადის უიურიში იყო ერთი უკრაინელი ქალი, სახელად ევდოკია, გვარი არ მახსოვს. „ზარია ვოსტოკა“-ს რედაქციაში მსახურობდა. მან გადმომცა განცხადება, რომელიც ოლიმპიადის უიურის მოუვიდა თბილისელი ლოტბარებისგან: ვინ არის იოსებ მჭედლიშვილი, მაგას ჩვენ ვიცნობთ როგორც პოეტს, ოლონდ როგორც ლოტბარს მაგას არავინ იცნობს, რა გაეგება ამ საქმისა ან ვისთვის რა სიმღერა უსწავლებია, რომ ლოტბარებში ერევა და გუნდების ხელმძღვანელო-

ბაც უკისრია.

— მერე? — ვკითხე ევდოკია ალექსანდროვნას, — რა პასუხი გასცა ჟიურიმ?

— არ შეიწყნარა მათი განცხადება, ვინაიდან ყველას უფლება აქვს, გამოიყვანოს მომლერალი გუნდი. ოღონდ იცოდე: მტერი ბევრი გყავს — თბილისის ხალხური გუნდების ლოტბარები. ამიტომ მე გირჩევდით, როდესაც გუნდის ნინა დგახართ, ხელები იქნიეთ, როგორც ლოტბარებმა იციან, თორემ თქვენ ლოტბარად არავინ ჩაგთვლით.

მე ევდოკიას ავუხსენ, რომ სწორედ ეგ არის დამახასიათებელი ხალხური სიმღერებისთვის: მას არც ტონის მიცემა უნდა და არც ხელების ქრევა. ეგ მართალია, — მითხრა ევდოკამ, — მაგრამ, თუ გსურთ გუნდის ხელმძღვანელობა შეირჩინოთ და გუნდი თქვენი სახელით დაჯილდოვდეს, უნდა ხელები გაიქნიოთ სცენაზე, ეს რაც უნდა საჭირო არ იყოს სიმღერის ხალხურობისათვისო.

ამ ამბავმა და ამ გარემოებამ ძალიან დამატიქრა, ძალიანაც შემაწუხა, მაგრამ ამაზე უფრო მეტად შემანუხეს ჩემი გუნდის წევრებმა. თავისი არევ-დარევით, შფოთით და უაზრო, უგნური, მეტისმეტად ბნელი საყვედურებით კინალამ გადამრიეს.

მუშტაიდის ბაღში ესტრადაზე გასვლის წუთი ახლოვდებოდა და ისინი კი მეჩეუბებოდნენ, შიდა კახელებთან არ ვიმღერებთო. ორპირი სიმღერები კი იმათთანა ჰქონდათ შეწყობილი. ბოლოს იქამდე მიმიყვანეს, რომ გადავნებოთ ეს ორი გუნდი ცალ-ცალკე გამეყვანა: კაკაბელები ცალკე, ვაჩაძიანელები — ცალკე. ამით მეგონა დავამშვიდებდი, მაგრამ ახლა კიდევ ამიტყდნენ: თუ თითო-თითო ჩარექი ღვინო არ დავლიეთ, კარგა ვერ ვიმღერებთო.

ამ თითო ჩარექ ღვინოზე გვქონდა დავა და ჩხუპი, რომ ესტრადაზე დაიძახეს იოსებ მჭედლიშვილის გუნდიო. დავა შეწყდა და გუნდს მოვუნოდე ესტრადისაკენ. ისინი ზანტად ავიდნენ მაღლა და ერთმა მაინც მოასწრო და სადღაც გაიპარა იმისთვის, რომ ერთი ჩარექი ღვინო არ დავალევინე.

მშვიდი სახით გადავხედე თვალუწვდენელ აუდიტორიას, ცის ქვეშ მოთავსებულს, გულში ცეცხლი მეკიდა, მაგრამ არ ვიწვებოდი.

ჩვენს ასვლას ესტრადაზე ტაშის ქუხილით შეხვდა ხალხი, რადგანაც გუნდს საკმაო სახელი ჰქონდა ფართო მასებში მოპოვებული. მე ისევ ისე გულხელდაკრეფილი დავდექ გუნდის ნინ და თვალით ვანიშნე სიმღერის დაწყება. არამც თუ ხელი არ გავიქნიე, თვითონაც არ გავტკებულვარ, რათა ხალხისთვის ნათლად მეჩვენებინა, თუ რას ერქვა ქართული ხალხური სიმღერის შესრულება.

სულ სამი სიმღერა შეასრულეს: „კახური მრავალუამიერი“, „ბერიკაცი ვარ“ და „მკის სიმღერა“.

ხალხმა აშკარა სიყვარულით, განსაკუთრებული გულთბილობით

მოგვისმინა და შემდეგ ოვაციებით დაგვაჯილდოვა. აშკარა იყო, რომ რაღაც ჯილდოს მივიღებდით უიურისაგანაც.

ჯილდაურის გუნდის შემდეგ გამოვიყვანე ვაჩნაძიანელები. იმათაც კარგა იმღერეს, მაგრამ უიურიმ, რაკი ესტრადაზე ამ გუნდებს ხელი არ გავუქნიე, პირველს ჯილდაურის გუნდი დაარქვა, მეორეს — იასონ და-ლაქიშვილისა. მე დავრჩი გამოშვებული ხარივით უდაბურ მინდორში. ჯილდო ერთსაც მისცეს და მეორესაც.

მიხა ჯილდაურის გუნდს ერგო მეორე ჯილდო (პირველი ერქომაიშ-ვილებმა მიიღეს).

გაზით „კომუნისტში“ დაიბეჭდა ანგარიში მიხა ჯილდაურის გუნდის შესახებ. სხვათა შორის იქ აღნიშნული იყო ხაზგასმით: ყურადღე-ბა უნდა მიექცეს ჯილდაურის გუნდში ახალგაზრდა მომღერალს ივანე (ვანო) მჭედლიშვილს (ჩემი განაცყოფია), რომელსაც კარგი ხმა და დიდი მომავალი აქვსო. ამას წერდა კომპოზიტორი კოტე მელვინეთუხუცე-სი.

გვერდი ამიარეს. მეც ამის შემდეგ, რაკი საქმე დასრულდა და და-გვირგვინდა, ახლოს აღარ გავეკარე, თავი მივანებე და წაველ სახლში. მაგრამ პრიზის გადმოსაცემად ისევ მე დამიპარეს, რადგან იგი ჩემს სახელზე იყო გამოწერილი.

ფულის მისაღებად ხელოვნების მთავარ კომიტეტში მივედი. იქ მოვიდნენ გუნდის წევრებიც. რადგან მეორე ჯილდო სამ გუნდს ერგო: მიხა ჯილდაურს, თარხნიშვილებს და პაჭკორიას, სამასი მანეთი უნდა გაეყო ამ სამ გუნდს (პირველი ჯილდო ხუთასი მანეთი იყო). მიხა ჯი-ლაურს კი ასე ეგონა — სამასი მანეთი მარტო მას ეკუთვნოდა. მიხას თვალნინ მომცეს მისი გუნდისთვის ასი მანეთი და, როდესაც ეს ასი მანეთი უნდა გამეყო მათ შორის, მიხამ გაიკვირვა სამასი რომ არ იყო, ახლა კიდევ გამოიკვეთა: სამასი მანეთი მიხა ჯილდაურს მხოლოდ საკუ-თარ ჯილდოდ ჰქონებია.

გაკვირვებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. დავუძახე აკაკი ფალავას — ოლიმპიადის ხელმძღვანელს. აკაკიმ მთელი ორი საათი უმტკიცა მიხა ჯილდაურს, რომ არამც თუ სამასი მანეთი, არამედ მხოლოდ ასი მა-ნეთი ერგება მთელ გუნდს.

აკაკის თვალნინ გადავეცი მიხა ჯილდაურს გუნდის კუთვნილი ასი მანეთი და სრულიად მოვშორდი, რათა ჩემზე აღარაფერი სალაპარაკო აღარა ჰქონდათ. სხვათა შორის, როცა ჯილდაურს განვუცხადე, ასი მა-ნეთი გერგოთ და უნდა გაგიყოთ-მეთქი, ის გაცოფებული გადგა განზე და შემომწეფა: — კაცო, არ გეყო, რაც აქამდე გვყვლიფე? აქაც აღარ გვასვენებ?

ამ სიტყვების გამო დავუძახე აკაკი ფალავას. როცა მან დაარწმუნა და სხვებმაც აქეთ-იქით აუხსნეს ნამდვილი, მეც გაბრაზებით ვუთხარ: შენი უგნური და უსინდისო სიტყვები უკანვე წაიღე-მეთქი.

— რა ვიცი, კაცო, ეგრე მეუბნებიან, გატყუებს იოსებიო.

აქ უკვე ლაპარაკი ზედმეტია იმაზე, მივიღე რაიმე ხელფასი თუ არა. ამაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ასე დასრულდა ეს ოლიმპიადა.

* * *

დასრულდა თუ არა ოლიმპიადა და მიხა ჯილაური გამოაცხადეს ხელმძღვანელად, გამოჩნდა გიორგი იორდანიშვილი. იორდანიშვილი და კოლა ერისთავი შეთანხმდნენ, ეს ჯილდომილებული გუნდი წაეყვანათ დასავლეთ საქართველოში, ასე, რომ მიხა ჯილაურის მომლერალთა გუნდის ხამდვილი ხელმძღვანელი და ადმინისტრატორი იორდანიშვილი შეიქნა.

გიორგი იორდანიშვილი პატიოსანი და სინდისიანი კაცი იყო. მართალია, მას მხოლოდ შემოსავალი აინტერესებდა, მაგრამ ამ საკითხში იგი სრულიად წესიერად იქცეოდა. ჰოდა, ახლა ეს იორდანიშვილი გაუძღვა მიხა ჯილაურის გუნდს, რომელსაც ის კარგად არ იცნობდა. მეც გული ალარა მქონდა, დამერიგებინა იგი.

ოლიმპიადასა და მიხა ჯილაურს გადაყოლილი ეკონომიურად დავზარალდი. ამ დროს გამოსცეს ჩემი ლექსების ბატარა კრებული „მსოფლიო გრგვინვაში“, რომელიც გამოხატავდა პირველი მსოფლიო მძერიალისტური ომის დროის განწყობილებას. ეს წიგნები გორში, ხაშურში, ზესტაფონსა და სამტრედიაში მქონდა გაგზავნილი გასაყიდად და შემოსავლის ასაკრებად გორს გავეგმზავრე. სწორედ ამ დროს მოვიდა იქ ჯილაურის გუნდი გიორგი იორდანიშვილის წინამძღოლობით. კონცერტი გორის საქალაქო თეატრში ჩაატარეს და შემდეგ ხაშურში წავიდნენ. ზესტაფონამდე თითქმის ერთად ვიმგზავრეთ, მაგრამ არც იმათ გაუციათ ჩემთვის ხმა და არც მე — სხვადასხვა ვაგონში ვისხედით. მე ჩემს საქმეზე მივდიოდი, ისინი თავიანთ საქმეს მისდევდნენ. რა თქმა უნდა, არ მინდოდა მათთან შეხვედრა, მაგრამ, სადაც კი ჩამოველ სადგურში, ყველგან ისინი დამხვდნენ. ასე ვიმგზავრეთ და მხოლოდ სამტრედიამი დავშორდით ერთმანეთს.

მათ მოველოთ მთელი დასავლეთი საქართველო, სადაც თურმე არაჩეულებრივი აღტაცებით, სიყვარულით და პატივისცემით შეხვდნენ. არც ერთი გროში თავიანთი არ დახარჯვიათ არც ბინისა, არც საჭმლისა. ყველგან ეპატიუებოდნენ, ასმევდნენ, აქეიფებდნენ და კონცერტებიც თავისი გზით მიდიოდა.

სამტრედიდან დავბრუნდი თბილის. ჩემი წიგნებიდან სამასი მანეთი შევაგროვე, რაც მაშინ დიდი თანხა იყო ჩემთვის და დამშვიდებული ვიყავ. ვფიქრობდი ახალ საქმეზე, რომ უეცრად მოვარდა ჩემთან გიორგი იორდანიშვილი და შემომჩივლა:

— კაცო, რა ყოფილან ეგ შენი გლეხები?!

— რა იყო, ბიჭო? — ვკითხე მე.

— რაღა რა იყო, ფულის მოპარვა დამაბრალეს, მცემეს და გამომაგდეს.
— კოლა ერისთავი?

— ის უფრო ადრე ჩამოშორდა. ახლა აქ არის. არც იმას მისცეს ფული. საწყალმა კაცმა ხარჯი გასწია: აფიშები იმისი ფულით დატეჭდე, გზის ფული იმან გადაიხადა, სასმელი-საჭმელი სამტრედიამდე იმისი იყო და, როცა დანახარჯი მოითხოვა, უარი უთხრეს, არაფერსაც არ მოგცემთ და შერცხვენილი კაცი უკან დაბრუნდა. მე სამტრედი-იდან გამომისტუმრეს.

— ნათქვამია, ბოროტი კაცი აღდგომასაც ბოროტიაო. ეს ხალხი აღმოსავლეთშიც საზიზლოები იყვნენ და დასავლეთშიც იმად დარჩენილა! — ამის მეტი არაფერი სანუგეშო სათქმელი აღარა მქონდა იორდანიშვილთან.

რამდენიმე კვირის შემდეგ, კიდევ უცნაური ამბავი მოხდა. დასავლეთ საქართველოდან დაბრუნებული გუნდი მიხა ჯილაურისა მთლიანად მოვიდა ჩემთან და შემომჩივლა, თუ გიორგი იორდანიშვილმა როგორ ჩაიჯიბა მათი ფულები, რისთვისაც, — დაიკვეხეს, — კარგა მივბეგვეთო.

— ცრუობთ, უსინდისოებო! — ვუთხარი მე, — იმანაც ისე ჩაიჯიბა თქვენი ფულები, როგორც მე. კოლა ერისთავმაც ჩაიჯიბა? თქვენ თვითონა ხართ ქურდებიც, მტაცებლებიც და უსინდისოებიც!

ყველანი გაიკმინდნენ.

— რიღასთვის მოხვედით ჩემთან? — ვკითხე გაბრაზებით.

— ისე, შენი ნახვა მოგვინდა... შენ მაინც ჩვენი ხარ.

— ღმერთმა დაგნევევლოთ თქვენცა და თქვენად ყოფნაც! — ვუთხარი მათ და გაბრაზებულმა აქეთ-იქით დავინყე სიარული ოთახში.

დიდხანს ისხდნენ ჩუმად. არც მე ვიღებდი ხმას, არც — ისინი. ბოლოს ადგნენ, გამომემშვიდობნენ და წავიდნენ. გამიკვირდა და ვერ მივხვდი, თუ რისთვის მოვიდნენ ჩემთან. ვფიქრობ, იმისთვის შეინუხეს თავი, რომ იცოდნენ, იორდანიშვილი ჩემთან მოვიდოდა, ყველაფერს გადმომცემდა და თავის გამართლება მოინდომეს იმაში, იორდანიშვილს „ქურდობისთვის“ რომ ცემეს და უკაპეიკოდ გამოგზავნეს. მაგრამ ეს რაღად დასჭირდათ ჩემთან, მე რომელი სამართალი ვიყავი მათთვის? — ვერ გავიგე.

თბილისში უმოქმედოდ ყოფნამ მოქმედებისა და საქმიანობის აზრზე მომიყვანა. ჩემს თავში ისევ მომლერლები და სიმღერები ტრიალებდნენ. მართლაც და ეს ისეთი ეპოქა იყო, რომ ამის მეტზე აღარა ფიქრობდა კაცი.

მომლერალთა ოლიმპიადამ ყველა აამლერა. მეც ისევ სიმღერა მომინდა. ჩაველ გურჯაანში, გურჯაანიდან თელავში, თელავიდან გრემში, გრემიდან მილდაში და ვინახულე ჩემი მოძულებული დედას ლევანა. მას ჩემი მისვლა ძალიან გაუხარდა და მისაყვედურა, რომ დავიკინყე.

მოიყარეს ხელად თავი მომღერლებმა. მიმღერეს, თავი მომაწონეს და ჩემში ისევ გააღვიძეს გუნდის ხელმძღვანელობის სურვილი.

შევადგინე მათგან ახალი გუნდი. გრემიდან შილდაში გადმოვიყვანე მიხა ავგაროზიშვილი. ავარჩიე კიდევ რვა კაცი, გავყავ ორპირად: ერთ მხარეს დედას ლევანა სამი კაცით, მეორე მხარეს — მიხა ავგაროზიშვილი, ისიც სამი კაცით, და შევკარით პირობა, მოგვევლო კახეთი.

მიხა ჯილაურზე გაჯავრებული მე ამათ პირობის ქაღალდში მკაცრად მოვექეცი. მას უნიგნობის გამო, დედას ლევანასა და მიხა ავგაროზიშვილის მაგიერ, ხელს სხვები აწერენ (ს. აღნიაშვილი და გიორგი გურასპაშვილი)

პირობის დადების
შემდეგ დავბრუნდი
თბილის. დავბეჭდე
აფიშები და, სადაც
მივიდოდით, ერთ-ორ
აფიშას გავაკრავდით
ხოლმე. ეს საკმარისი
იყო, რომ თეატრი
თუ კლუბი ხალხით
გაჭედილიყო.

პირველი კონცერტი გავმართეთ თვით
სოფელ შილდაში. ბი-
ლეთები რომ აღარ
ეყო ხალხს, მოლარე
ქალი გააქციეს. მერე
კარები შემოამტვრ-
იეს... თეატრი ისე იყო
გაჭედილი, სუნთქვა
აღარ შეიძლებოდა.
ხალხი სკამბეზეც ისხ-
და, ფეხზეც იდგა და
ფანჯრებიც გამოჩუნდა.
თული იყო მათით.

გაიმართა კონცერტი და, იცით, როგორი კონცერტი!?

პირველი სიმღერა დედას ლევანამა თქვა „კახური მრავალუამიერი“. მანრომ გაათავა, უცბად გაისმა იგივე „მრავალუამიერი“ დარბაზის რო-
მელიდაც კუთხეში. მას მეორე კუთხემ უპასუხა, შემდეგ — მესამემ და
მეოთხედ ისევ ჩვენ დაგვითმეს. ერთი სიტყვით, ხუთი თუ ექვთი გუნდი
აღმოჩნდა დარბაზში. დარბაზსა და სცენას შორის გაიმართა შეჯიბრი
და მე, არამც თუ მწყინდა ეს ამბავი, სიხარულისგან ცაში მქონდა მიბ-

ჯენილი თავი. სცენიდან ვუკვეთავდი დარბაზს სიმღერებს, დარბაზი კიდევ დედას ლევანასა და მიხა ავგაროზიშვილს სთხოვდა ამა თუ იმ სიმღერის შესრულებას. მოკლედ, ეს საღამო წარმოადგენდა დღეობას, ღამის თევას და მართლაც გავათენეთ კიდეც. სანამ კარგა არ გათენდა, ხალხი არ დაიშალა.

გათენებისას ცოტა ხანს გავედი გარეთ (თუმცა ფარდა საერთოდ არ ჩამოშვებულა). გავედი გარეთ, თეატრის პირდაპირ ძნის ურმები იდგა. ვიკითხე, რათა დგა ეს ურმები აქა-მეთქი და მიპასუხეს, მეურმე-ები თეატრში შემოვიდნენო.

ამ ღამის თევამ შესანიშნვად ჩაიარა. მხოლოდ ერთი პატარა უსია-მოვნება აქაც მოხდა: პირველად რომ ფარდა აიხადა, სცენაზე ამოცვი-ვდნენ შეიარაღებული მილიციელები თავისი უფროსით და მკითხეს:

— ვინა ხარ შენ?

მე ავუხსენ ჩემი ვინაობა.

— ვინ მოგცა აქ საღამოს გამართვის ნება?

— თბილისის ხელოვნების მთავარმა კომიტეტმა.

— მერე რატომ ჩვენ არ შეგვატყობინე?

— მაგაში დამნაშავე ვარ, ვერ მოვიქეცი წესიერად. თუ მაპატიებთ, კარგი იქნება.

აქ ტონს დაუწიეს და ბოდიშივით მითხრეს:

— ცუდი კი არ არის ამისთანა საღამოს გამართვა, მაგრამ ჩვენ უნდა შეგვატყობინო, რადგანაც ათასი ანტისაბჭოთა ელემენტი დაძვრება ქვეყნად, რისთვისაც საჭიროა სიფრთხილე.

მე ბოდიში მოვიხადე უნებლიერ შეცდომისათვის და შემდეგ ვთხოვე, წესრიგი დაეცვათ ხალხში. მართლაც, უფროსმა განკარგულება გასცა და ხალხით გაჭედილ თეატრში, უბრალო ლაპარაკიც არ ატეხილა.

მზის ამოსვლისას ისევ წყნარად, მშვიდად და სიმღერით დაიშალა ხალხი. მეორე დღეს შილდაში გაგვიმართეს ქეიფი და მესამე დღეს შილდიდან პირდაპირ გავედით გურჯაანში, გურჯაანიდან — მაჩხაან-ში, მაჩხაანიდან — ანაგაში, ანაგიდან — კარდაანახში, კარდაანახიდან — ველისციხეში, ველისციხიდან — წინანდალში და... წინანდალში დედას ლევანს უცბად მოაგონდა შილდა, თავისი ქოხი, ბებერი დედაკაცი, ამოიღუვლა გოჭივით და გაუდგა შილდის გზას. თელავში აღარ წამო-გვყვა.

სხვებმაც ბანი მისცეს მას.

მე, თუმცა პირობაში ერთი მესამედი მერგებოდა წმინდა შემოსავ-ლისა, მეოთხედი დავიტოვე და სამი მეოთხედი მათ გავუყავი. მერე ერთადა ვჭამეთ კიდევ პური, ბოლოს ერთმანეთი დავკოცნეთ და ისე გამოვემშვიდობეთ ერთმანეთსა. ამის შემდეგ მე ისინი აღარასოდეს აღარ მინახავს.

ეს ის დრო იყო, როცა კახეთის რკინიგზის სადგურებთან, მთელი



დაირით ხელში ფოთხენელა (სანდრო
მჭედლიშვილი), მეორე რიგში მარცხნიდან
ჰირველი შაქრო მჭედლიშვილი (თავთხე)

იოსების ნახვა და უთხარით, ჩვენ მოსვლაზე ელაპარაკნა ჩემი ოჯახის წევრებთან: ძალიან ცუდად მოვედით ჭკვაზე და ამის შემდეგ ასეთი რამე აღარ მოხდებაო.

მეორედ მოსულიყო ჩემთან ვანო მჭედლიშვილი, ესეც ჩემი განაყოფია. იმასაც არ დავხვდი შინა და მასაც სწორედ ასეთი ამბავი დაეტოვებინა. ვანო მჭედლიშვილი ახალგაზრდა ბიჭი იყო ოცდასამი წლისა. ეს ის ვანოა, რომელსაც ყურადღება მიაქცია გაზეთ „კომუნისტში“ კოტე მელვინეთუხუცესმა. მან ჩემსობამი წერა-კითხვა შეისწავლა, მიიხედ-მოიხედა, ხალხში გავიდა და, როგორც ნიჭიერმა მომლერალმა, სიმღერების სწავლებაც დაიწყო, ისე, რომ მას უკვე შეეძლო ნამდვილი ხელმძღვანელობა გაეწია გუნდისთვის. პირველად მას არ შეეძლო, მაგრამ, რაკი გამოიწვრთნა, უკვე იგრძნობოდა, რომ ამ გუნდში ვანოს მეტს არავის შეეძლო უფროსობა.

ვანო, მიხა ჯილაურის მეორე მოძახილი, მეტად ნიჭიერი მომლერალი იყო, მაგრამ მას ვერ შეედრებოდა — ჯილაურობა არავის შეეძლო, ამიტომ რა სინდისი მომცემდა ხებას, ფულის განაწილების დროს, მის-თვის მეტი არ მიმეცა. წარსულში ამაზე იყო მთელი დავიდარაბა. თუ ჯილაურს მეტს მისცემ, ჩვენ ხმას აღარ ამოვილებთო. მართლაც, ბევრჯერ ისეთ მდგომარეობაში ჩამაყენეს, რომ კინაღამ შევრცხვი: ერთ კლუბში იმდერეს, მეორეში რომ მივედით, უარი თქვეს, რაკი ჯილაურს მეტს აძლევ, დე, მარტო მაგან იმღეროსო. ამის შემდეგ იძულებული

შიდა კახეთის გაყოლება, საზამთროს ზეინბიდგა ქალაქში წამოსაღებად. ამავე ზაფხულს იყო, რომ ოთხი თვის განმავლობაში წვეთი არ ჩამოვარდა მთელს აღმოსავლეთ საქართველოში და ქვეყნად ჯანდივით იდგა მტკვერი. წინანდლიდან დავბრუნდი თბილისს.

ოქტომბერში ჩემთან მოსულიყო მიხა ჯილაურის გუნდის წევრი სანდრო მჭედლიშვილი (მას მეტსახელად ფთხენელას ეძახდნენ — ისიც ჩემი განაყოფია). შინ რომ არ დავხვდი, ამბავი დაეგდო, ძალიან გვინდა ნუ გაჯავრდებაო. თანაც რეაბილიტაციის დასახურის მოვალეობის მიზანით, ეხლა მოვედით ჭკვაზე და ამის შემდეგ ასეთი რამე აღარ მოხდებაო.

მეორედ მოსულიყო ჩემთან ვანო მჭედლიშვილი, ესეც ჩემი განაყოფია. იმასაც არ დავხვდი შინა და მასაც სწორედ ასეთი ამბავი დაეტოვებინა. ვანო მჭედლიშვილი ახალგაზრდა ბიჭი იყო ოცდასამი წლისა. ეს ის ვანოა, რომელსაც ყურადღება მიაქცია გაზეთ „კომუნისტში“ კოტე მელვინეთუხუცესმა. მან ჩემსობამი წერა-კითხვა შეისწავლა, მიიხედ-მოიხედა, ხალხში გავიდა და, როგორც ნიჭიერმა მომლერალმა, სიმღერების სწავლებაც დაიწყო, ისე, რომ მას უკვე შეეძლო ნამდვილი ხელმძღვანელობა გაეწია გუნდისთვის. პირველად მას არ შეეძლო, მაგრამ, რაკი გამოიწვრთნა, უკვე იგრძნობოდა, რომ ამ გუნდში ვანოს მეტს არავის შეეძლო უფროსობა.

ვანო, მიხა ჯილაურის მეორე მოძახილი, მეტად ნიჭიერი მომლერალი იყო, მაგრამ მას ვერ შეედრებოდა — ჯილაურობა არავის შეეძლო, ამიტომ რა სინდისი მომცემდა ხებას, ფულის განაწილების დროს, მის-თვის მეტი არ მიმეცა. წარსულში ამაზე იყო მთელი დავიდარაბა. თუ ჯილაურს მეტს მისცემ, ჩვენ ხმას აღარ ამოვილებთო. მართლაც, ბევრჯერ ისეთ მდგომარეობაში ჩამაყენეს, რომ კინაღამ შევრცხვი: ერთ კლუბში იმდერეს, მეორეში რომ მივედით, უარი თქვეს, რაკი ჯილაურს მეტს აძლევ, დე, მარტო მაგან იმღეროსო. ამის შემდეგ იძულებული

გავხდი, ჩემი საკუთარი ჯიბიდან, ისიც ჩუმად, მისთვის ფული მეძლია. ესეც გამიგეს და ნინადადება მომცეს: თუ გინდა ჩვენ შენთან ვიყვნეთ, მაგას მეტს ნუ მისცემო.

როცა გურულები და კახელები ერთად მყავდა, ჯილაურის გუნდს არც გურულები ეპიტნავებოდა, არც — მესტვირე: ეგენი წილში გვიდგანან, მარტონი რომ ვიქნებით, უფრო მეტ-მეტი შეგვხვდებაო. როცა ამაზე დავა ამიტეხეს, გურულებმა დაუთმეს, თქვენთვის დაგვითმია მთლად შემოსავალი, ოლონდ მაგაზე ნუ ილაპარაკებთო. რამდენჯერ მესტვირისათვის არ მიმაცემინეს ფული და იძულებული ვიყავ, ისევ ჩემი ჯიბიდან ჩუმად გამესტუმრებინა. მესტვირესთან რომ გაუვიდათ, უფრო გათამამდნენ და გურულებს განუცხადეს: თუ გინდათ სულ მუქთადა გვდიეთ კლუბებშიო. ამას მიხამაც დაუჭირა მხარი, იმ მიხამ, რომელსაც ჩუმად ვუხდიდი ჩემი ჯიბიდან.

ეს ველარ მოვითმინე, გავლანძლე ისინი და გავრეკე სოფელში. აქ მიხამ მარტო ჩამიგდო ხელში და ბოდიში მოიხადა, მოინანია ცოდვა, მაგრამ ეს იმიტომ კი არა ქნა, მართლა შეიგნო რამე, არამედ იმიტომ, რომ შემდეგში ჩემი ჯიბიდან ზედმეტად ფულს აღარ მივცემდი. ამიტომ მისი ბოდიში არც მენითლა და არც მემნვანა.

პირქუშად გამოვემშვიდობე და ვუთხარ:

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ!

ჯერ კიდევ ოლიმპიადამდე, 1929 წლის თებერვალში, როცა მე ოპერის თეატრში საქმეთა მმართველად ვმსახურობდი, ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწის და დრამატურგის („პაატა ბატონიშვილის“ ავტორის) დავით ნახუცრიშვილისაგან მომივიდა წერილი.

ნახუცრიშვილი მაშინ სახელმწიფო კონსერვატორიაში მსახურობდა და მწერდა, კონსერვატორიის პრორექტორს რაისას (გვარი და-მავინყდა, ქუთათელაძე მგონი) შენთან მოლაპარაკება უნდა და დღეს საჩქაროდ თორმეტ საათზე კონსერვატორიაში ამოდიო.

თხოვნისამებრ ავედი დავით ნახუცრიშვილთან. მან მაშინვე წა-მიყვანა რაისა ქუთათელაძესთან.

რაისამ მეტად თავაზიანად და პატივისცემით მიმიღო თავის კაბინეტში და მთხოვა, შემეკრიბა კახურ-გურული მომღერლების გუნდი, რომელიც უკვე ენახა და მოესმინა:

— ჩვენ დიდ დახმარებას გაგინევთ, თუ თქვენ გურულ-კახელების გუნდს, მოსკოვს ნაიყვანთ, რადგან იქიდან ეთნოგრაფიულ გუნდებს გვთხოვთ. საამისოდ მისწრება არის თქვენი კახელებისა და გურულების გუნდები. ხარჯებს ჩვენ ვკისრულობთ: ხუთას მანეთს მოგცემთ, ხუთასს — ხელოვნების მთავარი კომიტეტი და გზა იქით-აქეთ მუქთი გექნებათ.

რას არ დავთანხმდებოდი! პირდაპირ ცას ვეწიე. საქართველოს საზღვრები გადავლახე ჩემი ხალხურ-ეროვნული სიმღერებით და ამის-

თვის დავიზარებდი რამეს?!

ქუთათელაძემ მიმინერა ხელოვნების მთავარ კომიტეტში: ჩვენ შეთანხმებული ვართ იოსებ მჭედლიშვილთან და ყოველგვარი დახმარება გაუწიეთ, რათა იგი მოსკოვისათვის მოემზადოს და ამის შესახებ მინერ-მონერა იქონიეთო.

ხელოვნების მთავარ კომიტეტში უგულოდ და უხალისოდ მიმიღეს. მიმართვაც რაღაც პირის აპრუნვით გადადეს იქით და, როცა პასუხი მოვთხოვე, მითხრეს — ჩვენ თვითონ შეგატყობინებთო.

მე უკანვე აველ კონსერვატორიაში, ავუხსენ მათგან ჩემი გულცი-ვად მიღება და პრორექტორის მინერილობის უგულებელყოფა. ორივე-ნი შეწუბდნენ.

— პირველად იმათ მოითხოვეს და ახლა უარს ამბობენ, — ცხარო-ბდა დათიკო.

— ალბათ ჩემი გაგზავნა არ უნდათ, — დავასკვენ მე და იმათაც ამ დასკვნაზე არც არა თქვეს, არც ჰო, თითქოს თანხმობას ნიშნავსო.

მეორე თუ მესამე დღეს კიდევ შევიარე კონსერვატორიაში და და-თიკომ მითხრა: მართალია, სიტყვიერად იმას იმიზეზებენ, თითქოს ფული არა აქვთ, სინამდვილეში კი შენი ხელმძღვანელობით არ უნდათ გუნდების გაგზავნაო.

ასე ჩაიშალა ჩემი მოსკოვს გამგზავრების საქმე ჩემი მომლერალი გუნდებით.

ოლიმპიადის შემდეგ, 1929 წლის ნოემბერსა თუ დეკემბერში, რუ-სთაველის პროსპექტზე შემხვდა ხელოვნების მთავარი კომიტეტის მუსიკალური ნაწილის გამგე აკაკი ფალავა და მითხრა: დღეს ჩემთან შემოიარე, დიდი და სერიოზული საქმე გვაქვს, — შენი და შენი გუნდის გაგზავნა გვინდა მოსკოვსო.

ჩვეულებრივ, დროზე მივედი. აკაკიმ მითხრა:

— მოსკოვიდან ასეთი შინაარსის დეპეშა მოგვივიდა, შემდეგ ამოილო და ნამიკითხა: „Пришилить грузинского народного хора поэта Иосифа Мchedлишвили с участием народного певца Дедас Левана“.

მე გამიკვირდა: ან საიდან მოიგონეს მჭედლიშვილის გუნდი ან კი-დევ დედას ლევანა.

ამაზე აკაკიმ მითხრა:

— შენ რაში გეკითხება, ჩვენ კი გაგგზავნით მოსკოვს და თქვენ საიდანაც გინდათ, იქიდან იყავით მოგონილიო.

წავედი სოფელში. შევკრიბე გუნდი. შევპირე და შევაკავშირე გუ-რულებიც, მესტვირეც დავიბევე. ბიჭია იმუამად ილიკო ქურხულს წაეყვანა დასავლეთ საქართველოში და იოსება მესტვირეს შევუთანხმდი. ყველაფერი მოვამზადე და სრულიად დაიმედებული მიველ ხელოვ-ნების მთავარ კომიტეტში, სადაც გადმომცეს: მოსკოვს გზავნიან კი-რილე პაჭკორიას თავისი გუნდით და მასთან იქნებიან ჯილაურიც და

გურულებიცო.

როცა განბილებული მიველ აკაკი ფაღავასთან და ვკითხე, ეს რაღა საქმეა-მეთქი, მან მიპასუხა:

— ასე კია და რად არის, არ ვიციო.

პაჭკორიას გუნდი წავიდა მოსკოვს. ორი კაცი წაიყვანა ჯილაურის გუნდიდან: მიხა ჯილაური და ვანო მჭედლიშვილი. გურულ სიმღერებს მისი გუნდის წევრებიც ასრულებდნენ და ასე დაკამაყოფილდა მოსკოვ-ის თხოვნა.

ორი თვის შემდეგ დაბრუნდნენ უკან.

ჩამოსვლისთანავე ჩემთან მოვიდა მიხა ჯილაური და კინაღამ იტირა. შემომჩივლა, როგორ დაჩაგრა პაჭკორიამ. მხოლოდ ერთხელ თუ ორჯერ ამღერა. მას არ აჩენდა, მალავდა, სულ უკან ჰყავდა მიგდებული. კონცერტზე, რომელსაც სტალინი დაესწრო, მხოლოდ „ოროველა“ ამღერა. აი, თურმე ამ „ოროველამ“ გაახსენა ამხანაგ სტალინს ქართლ-კახეთის სიმღერების სიტყბო და თქვა, — რატომ ქართლ-კახეთის გუნდი არ არსებობსო, — და დაფიქრდა: კაცო, მე მახსოვს ჩემს დროს ჩემი ამხანაგი სანდრო კავასაძე ხელმძღვანელობდა ქართლ-კახეთის გუნდსა და, თუ ის კაცი სადმე ცოცხალია, მიანდეთ ასეთი გუნდის შედგენაო.

პაჭკორიაზე გაბრაზებულმა მიხა ჯილაურმა მოიხადა ქუდი და ჩემ წინ დაახეთქა — მე მაგასთან წამსვლელი აღარა ვარ, ისევ შენ უნდა მიპატრონოო.

ვეღარ მოვიშორე, ისევ ჩემთან დაიწყეს სიარული. ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოში მთლიანი კოლექტივიზაცია ტარდებოდა. მოსკოვიდან ჩამოსული ჯილაური მიიჩვიეს ქალაქის საბჭოში, სადაც კონცერტი უნდა გაემართა.

ამოვარდა ჩემთან ჯილაური და შემეხვენა: თუ შენ არ წამოხვალ, დავილუბებით, უშენოდ გასვლა სამღერლად არ შეგვიძლიანო. მოვიდნენ მისი თანამომღერლებიც და დაიჩოქეს:

— ფიცს გაძლევთ, რომ შენ აღარსაოდეს გაწყენინებთ, არც გადაგიდებით და აღარსად შეგარცხვენთ, ჩვენ უკვე მივხვდით ჩვენს სიბრძეს და ჩვენს შეცდომებს, შენ იყავ ჩვენი თავი და ბოლოც ისევ შენ იყვაო.

კიდე ვიკისრე მათი ხელმძღვანელობა.

ქალაქის საბჭოს დარბაზი გაჭედილი იყო. კოლექტივიზაციის სხდო-მის შემდეგ დააწყო კონცერტი. ჩვენმა ესტრადაზე გამოჩენამ მქუჩარე ტაში გამოიწვია.

მე პატარა სიტყვით მივმართე ქალაქის საბჭოს:

ეს გლეხები ახალ სიმღერებს არა მღერიან, ესენი ოთხი ათასი წლის წინაც ასე მღეროდნენ, სამოცდაათი წლის წინაც და ახლაც ისევე იმღერებე... .

ვთქვი და მიხას ნიშანი მივეცი, „ჩაკრულო“ ეთქვა შემდეგი ლექსით:

მუხრან-ბატონის ყმობითა
ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა,
ვერც დეკეული გავხედნე,
ვერც კალო ვლენე მოზვრითა.

როცა მიხამ გაათავა, ვიღაცა გამოვიდა და გრძელი სიტყვა თქვა ჩემ წინააღმდეგ. არ ვიცი, ისეთი რა ვთქვი, რომ მას მასალა მიეცა ჩემ საწინააღმდეგოდ. სიტყვა რომ გაათავა, ტაში არავინ დაუკრა, მე კი მისი სიტყვის საპასუხოდ გლეხები შემდეგი ლექსით ვამ-ღერე:

ხმალო, ხევსურეთს ნაგდებო,
თელავში თუშმა გაგფერა,
მეფე ირაკლიმ გაუურთხა,
საომრად ჯვარი დაგწერა.
ხმალი სჭრის ბაგრატიონის
ნეფისა ირაკლისაო,
აჯობა თავის მამასა,
სანამ იცვლიდა კბილსაო.
ისე გამოსდევს დაღესტანს,
როგორც აფთარი ტყისაო.
აქათ მობრუნდი, გულუარ,
საქმე სჭრის დაღესტნისაო,
შენი გულუარ მოგიკვდეს,
თუ არ მოგჭამდეს ჭირსაო,
ლეკსა გადაჰკრა ხანჯალი,
შაშვივით აღებს პირსაო.

ამ სიმღერაზე უფრო მეტი ტაში დაჰკრეს, თან იცინოდნენ. შემდეგი სიმღერა ვაჭარზე იყო:

ცერ-ცერ მორბოდა კურდლელი,
ფეხმოტეხილი, საწყალი —
ზურგ ზე ეკიდა საგ ზალი,
თუნგ-ნახევარი მაჭარი,
სომებმა თქვა თუ: შავყროდი,
მე ვიყავ მისი ვაჭარი.

ამან უფრო მეტი ტაში გამოიწვია. შემდეგ იმღერეს:

მოდი, მოუსვი კუდსაო,
ბატონი მოგცემს პურსაო,
მოგცემს და ისევ წაგართმევს,
ნუ დაგაკლდება გულსაო.

ამან ძალიან გაამხიარულა საზოგადოება და ხანგრძლივი ტაშით
მოითხოვეს ახალი სიმღერა.

მიხამაც თხოვნა აუსრულა და დაიწყო:

მიშველე, მიქელ-გაბრიელ,
ეშმაკმა არ მიმტყუნოსო,
არ ჩამიტყუოს ჯოჯოხეთს,
კარი არ მომიხუროსო.

და სხვა...

ტაშმა იქუხა. ეს სიმღერა მიხამ ისე იმღერა — ყელგადაგდებით, თი-
თქ იგი მართლა ეშმაკმა ჩაიტყუა ჯოჯოხეთში და მიქელ-გაბრიელს
შველასა სთხოვსო.

საღამო დასრულდა და ამ ღამესვე გავისტუმრე გუნდი კახეთში.
აღარ მახსოვს, რომელი წელი იყო, ჩემი ფიქრით, 1932 თუ 1933 წელი
— მკათათვე. მიხა ჯილაური, ფთხენელა და ვანო მჭედლიშვილი ჩამო-
ვიდნენ სოფლიდან. გამართეს ჩემთან მოლაპარაკება, — მეგობრობის
აღდგენა სურდათ და მითხრეს: შენ მეტი აღარავინ გვინდა, გვიპატრო-
ნეო.

ბევრი ხვეწის შემდეგ გამოვიჩინე სულგრძელობა და დავთანხმდი.
მინდოდა პირობა თვით მიხასთვის დამენერინებინა და ხელიც მასვე
მოენერა, მაგრამ მან წერა არ იცოდა. მაშინ ფთხენელამ მითხრა: წა-
ვიდეთ პროფეკტორებში, იქ დავაბეჭდინოთ ქალალდზე და ჩვენი ხე-
ლისმონერაც ბეჭდის დასმით დავამტკიცებინოთ. ეს მართლა კარგი
მოფიქრება იყო. უნდა წაგსულიყავით კიდეც, მაგრამ ვთქვი:

— იცი, მიხავ, თუ კაცს სინდისი არა აქვს, ათასი ბეჭედიც რომ და-
მისვას პირობაზე, მაინც დაარღვევს და ამიტომ არა ღირს პროფეკტო-
რების შეწუხება.

აღარ წავყევი პროფეკტორები. იმათ სიტყვასა და სინდისზე მივაგდე
საქმე.

— ჰო, მაშ! რა საჭიროა პირობა და ბეჭედი, პატიოსან სიტყვას გაძ-
ლევ, აღარაფერში გიღალატებ, — თქვა მიხამ, — ჩემი სახელით ილაპა-
რაკე ყველგან, საცა საჭირო იყოს, ჩემი სახელით გააკეთე ჩვენი საქმე,
ამის უფლებასა და ნებას გაძლევ. ეს იგრე გჯეროდეს, როგორც შენი
თავის წათქვამი, როგორც რა გითხრა...

ვეღარ დაამთავრა მიხამა და მე დავასრულებინე:

— მესმის, მესმის, მიხავ, და იცოდე, ეს ჩვენი ერთმანეთისადმი უკანასკნელი ფიცილა იქნება. თუ ეს ფიციც დაარღვიეთ, ვეღარასოდეს ვეღარ გაამთელებთ.

მიხა და მისი თანამომღერლები სოფელში წავიდნენ.

მეორე დღეს მე დასავლეთში გუნდით მოგზაურობისათვის სამზადისს შევუდექი. საჭირო იყო ფული, ხალხთან მოლაპარაკება, აფიშები და სხვა. ამ საქმეებზე რომ დავდიოდი, რუსთაველზე კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი შემხვდა და მკითხა:

— უწყება გამოგიგზავნა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ, არ მიიღე?

გამიევირდა:

— რა უწყება?

— მიხა ჯილაურის გუნდის შესახებ, მის კუთვნილ თანხას რომ სხვები ჭამენ, მან კი არაფერი იცის.



ძუკუ ლოლუას სახელობის ეთნოგრაფიული გუნდი, ხელმძღვანელი კირილე პაჭურია.

I რიგში სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ): მეორე — მიხეილ კოროშინაძე, მესამე — ვაჟენი კოროშინაძე, მეოთხე — თეოფილე ლომთათიძე, შეხუთე — ერმალო სიხარულიძე

II რიგში: ვლადიმერ ბაბილუა, ალექსანდრე მახარაძე, კირილე პაჭურია, მიხა ჯილაური, ვლადიმერ ბერძენიშვილი

IV რიგში მეხუთე — ნოკო ხურცია, მეექვსე — ვანო მჭედლიშვილი

უფრო მეტად გამიკვირდა.

ყოველთვის, როცა მიხა ჯილაურის გუნდის საქმე გაფუჭდებოდა, დაინგრეოდა, აიწენ-დაიწენებოდა, მის აღდგენა-გამოსწორებას მე მეკითხებოდნენ და მავალებდნენ, ხოლო, როცა ალვადგენდი, გავამა-გრებდი და ფეხზე დავაყენებდი, მაშინვე ჩამომაყენებდნენ ხოლმე.

— რა მოხდა? — ვკითხე კოტეს.

პაჭკორიას ცხრა ათასი (9 000) აულია მიხა ჯილაურისა და მახარა-ძის გუნდების სახელით. მახარაძე უჩივის, არაფერი მოუცია. ჩანს, არც ჯილაურს მისცემდა.

შინ რომ მივედი, მართლა დამხვდა უწყება — მუშათა და გლეხთა ინსპექცია შევლას მთხოვდა (სამწუხაროდ, ეს უწყება დაიკარგა).

მეორე დღესვე გავუგზავნე კაცი მიხა ჯილაურს — მარტო ჩამოსუ-ლიყო თბილისში.

მესამე დღეს ჩამოვიდა.

ავუხსენი ვითარება, მან მითხრა:

— მე რაღას მიბარებდი, ხომ გითხარ, ყველგან ჩემი სახელით ილა-პარაკე-მეტქი. წადი, კაცო, მოითხოვეთ ეგ ფული და გამღლეტელა და-საჯეთ. არ იცოდი, რომ მე თანახმა ვიქნებოდი? ხვალვე უნდა ნავიდე სოფელში, ყანა მაქვს მოსამკალიო.

უჯილაუროდ წავედი ინსპექციაში, მით უმეტეს, უწყება ჩემს სა-ხელზე იყო.

როგორც იყო შევიკრიბეთ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ერთ-ერთ კაბინეტში.

ბოლოს გაიხსნა კრება...

მომხსენებელმა კოტე ფოცხვერაშვილმა მუშგლეხინს გააცნო ჩვე-ნი იქ შეკრების მიზეზი და განაცხადა:

— კირილე პაჭკორიას გუნდი არა ეთნოგრაფიული, არამედ, რო-გორც რუსულად იტყვიან, „პერეპევკის“ გუნდია. ნამდვილი ეთნოგრა-ფიული ჯილაურის, მახარაძისა და თარხნიშვილების გუნდებია. ამი-ტომ, თუ არაეთნოგრაფიულ გუნდს პაჭკორიას ხელმძღვანელობით, ამასთანავე მხოლოდ სამეგრელოს ხმების გამომხატველს, ეკუთვნის სახელმწიფო დოტაცია, ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე არსებულ ეთ-ნოგრაფიულ გუნდებსაც უეჭველად უნდა მიეცეს. აქ კი ჩვენ ვხედავთ აშკარა დარღვევას საბჭოთა წესისას: არაეთნოგრაფიული გუნდი იღებს დოტაციას ეთნოგრაფიულის სახელით, ნამდვილი ეთნოგრა-ფიული ქართლ-კახეთის გუნდები, რომელთა ტერიტორიაზედაც არის თბილისი, არაფერს.

ჯილაურისა და მახარაძის გუნდების სახელით აულია პაჭკორიას ცხრას ორმოცდათი (950) თუმანი და ექვსი თვის განმავლობაში არაფერი მიუცია მათვეთის. ამისი დოკუმენტები ხელთა მაქვს და შე-გიძლიათ, გასინჯოთ.

ატყდა ლაპარაკი, მითქმა-მოთქმა. რა აღარ უწოდეს პაჭკორიას.

მეც ხმა ავიმაღლე და, მიხა ჯილაურის სახელით, კრებას მოვახსენე: მიხას არამცუ რამე მიუღია პაჭკორიასაგან, არც კი იცის, მისგან ფული თუ ერგება.

დიდი დავა-კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: ეთხოვოს მუშგლე-ხინს, ან მიეცეს კუთვნილი თანხა ჯილაურისა და მახარაძის გუნდებს, ან მოეთხოვოს პაჭკორიას შექმული ფულის ხაზინისთვის დაბრუნება.

მეორე დღეს შევიარე ხელოვნების მთავარ კომიტეტში იმის გასაგებად, თუ როგორ მოიქცეოდა იგი: ჩვენც მოგვცემდა კუთვნილ ფულს, თუ პაჭკორიას მოსთხოვდა შექმულის დაბრუნებას. კომიტეტში შემხვდა ალექსანდრე მახარაძე და მითხრა:

— გუშინ ჩვენ რომ იქ ვიცავდით მიხა ჯილაურის ინტერესს, ის პაჭკორიას სადღაც უპოვნია, ათი თუმანი მიუცია და ხელწერილი ჩა-მოურთმევია, რომ მისგან მუდამ იღებს კუთვნილ ნაწილს გუნდში და-სარიგებლად.

მე ისე გავკვირდი, რომ ხმა ვეღარ ამოვილე.

ალექსანდრემ განაგრძო: პაჭკორიას აქ მოუტანია მიხას ხელწერილი და უთქვამს: იოსებ მჭედლიშვილს რა უფლება აქვს მიხას სახელით ლაპარაკისა, როდესაც ჯილაურთან ხელშეკრულება დავდე და თავის ნაწილსაც მუდამ დროზე იღებსო.

უსიტყვოდ დაგბრუნდი უკან.

ამის შემდეგ დიდი ხანი გავიდა. მიხას აღარ ვხვდებოდი, რადგან მრცხვენოდა, მის მაგიერ მრცხვენოდა. არც ისა მხვდებოდა, ალბათ ისიც განგებ მერიდებოდა.

იმ ზაფხულს კირილე პაჭკორიამ წაიყვანა ჯილაურის გუნდი (მიხა, სანდრო, ვანო — მხოლოდ სამი კაცი) დასავლეთ საქართველოში. ორი თვის შემდეგ იქიდან რომ დაბრუნდენ, როგორც ყოველთვის ხდებოდა, მიხამ ჩემთან ალარ შემოიარა. მხოლოდ ვანო და ფთხენელა გამოეგზავნა. მათ შემომჩივლეს: მაგ პაჭკორიამ გვაწამა და წაგვახდინა. ჯერ ერთი, სამმა კახელმა რა სიმღერა უნდა თქვას, კველგან არ გვამღერებდა, ზოგან სულ არ გამოვსულვართ, ზოგან ერთ-ორ სიმღერას გვათქმევინებდა, იმასაც ვაი-ვაგლახით.

მათი ჩივილი მდუმარედ და გულგრილად მოვისმინე, არც პასუხი გამიცია, არც რამე მიკითხავს. მიმიხვდენ, რომ მათი ჭირი ჩემთვის ღობეს ჩიხირი იყო (მათ ასე ეგონათ), ადგნენ და გამომემშვიდობნენ.

ამის შემდეგ მინდოდა, სულ თავი გამენებებინა მათვეს, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც დვიოდა ქართული ხალხური სიმღერებისადმი ძლიერი, თავგანწირული სიყვარული, რომელიც უხმოდ მწვავდა და სანთლის ცვილსავით მადნობდა. ამიტომ იძულებული ვიყავი, ისინი არც გამელანძლა, არც მეაცრად მოვქცეოდი და არც მეთქვა: დღეის იქით თქვენსა და ჩემ შორის საერთო აღარაფერია, ჩამომშორდით-მეთქი.

ეს სიტყვები გაუნძრევლად ისხდნენ ჩემს გულში იმ სიყვარულის გვერდით, რომელიც მტანჯავდა, მწვავდა, მწიწვნიდა... ისხდნენ ჩუმად, პირმოკუმულად. განა სულ ერთი არ იყო, მე ვუხელმძღვანელებდი ჯილაურის გუნდს თუ კირილე პაჭკორია? იქნებ ესეც არა-საკადრისია ჩემი მხრივ: პოეტი ვიყავ და ლოტბარობასაც ვეჭიდებოდი! იქნებ დანაშაულიც მიმიძღვის იმაში, რომ მიხას პირდაპირ არ ვუთხარი: წადი, ეგ ჩემი საქმე არ არის და კირილე პაჭკორიამ გილოტბაროს-მეთქი? განა სულერთი არ იყო, მათი ხელმძღვანელი მე ვიქნებოდი თუ ის?... არა, სულერთი არ იყო! უფრო მეტსაც ვიტყვი: დამნაშავე ვარ, რომ ჩემი შექმნილი გუნდი ხელიდან გავუშვი, თუმცა ეს ჩემი ბრალი სრულებით არ იყო: კირილე პაჭკორიას რომ გუნდი გაეუმჯობესებინა, მათთვის მივიწყებული სიმღერებიც გაეხსენებინა, რეპერტუარი გაევსო — გაეფართოებინა, უკეთესად ემღერებინა, მართებული შენიშვნებით გაეწმინდა ზოგიერთი და-მახინჯებული სიმღერა და კუთხეური შოვინიზმი არ გამოეჩინა — მე გამიხარებოდა, დავტკბებოდი მათი სიმღერების მოსმენით, პაჭკორიასაც შევიყვარებდი, ვიტყოდი: ეროვნული საქმე საიმედო კაცის ხელშია-მეთქი.

ჯილაურის გუნდმა ორმოცზე მეტი სიმღერა იცოდა და კირილე პაჭკორიამ კი ის ერთზე ჩამოიყვანა, ბოლოს სულაც მოსპო. რა იქნა „თო-ხნური“, „ნადური“, „მკის სიმღერა“, „მაყრული“, „ხეურო“, „სუფრული“, „ბერიკაცი ვარ“, „ჩინგურო“, „ლმერთო-ლმერთო“, „შროშანავ, შეშა დაუდე“, „თამარქალო“, „ზემყრელო“, „მხედრული“, „ალილო“, „ჭონა“ და სხვა მრავალი?

მახსოვს, როცა „ძლიერ სტიროდას“ იტყოდნენ ხოლმე გლეხები, დარბაზი იცრემლებოდა ან „ცივწყარო ჩამოვიარე“, ან „სოფელ ტი-რიან ქალები“. აი, ამ სამი სიმღერის სიტყვები:

ძლიერ სტიროდა

ძლიერ სტიროდა.
რისთვის სტიროდა?
ქმარი მოუკლეს,
მისთვის სტიროდა.
ძლიერ სტიროდა.
რისთვის სტიროდა?
ობლები დარჩნენ,
მისთვის სტიროდა.
ძლიერ სტიროდა.
რისთვის სტიროდა?
ძლიერ სტიროდა!
ძლიერ სტიროდა!

სოფელ ტირიან ქალები

სოფელ ტირიან ქალები,
კარგი ვაშკაცი კვდებაო.
ღმერთო, ხუ მოჰკლავ ვაშკაცსა,
სოფელი გაფუჭდებაო.
იქნება მტერი მოადგეს,
ნინ ვინდა დაუდგებაო?!

ცივნარო ჩამოვიარე

ცივნარო ჩამოვიარე,
ქალი დამიხვდა წყალზედა,
შველივით კისერმოღერილს
კოკა ეკიდა მხარზედა.
თავი ვთხოვე და არ მომცა,
ფიცხლავ გამიხტა განზედა:
შენ ჩემსა ქმარსა ვერ იცნობ,
სულ ხელი უდევ ხმალზედა —
დღისით მიხოცავს ნადირსა,
ლამე ვუწევარ მკლავზედა.

მიუხედავად იმისა, რომ მიხა ჯილაურმა ვერც თავისი თავი დააფასა, ვერც სხვა, ვერც მტერი იცნო, ვერც — მოყვარე, სულ უკულმა წაიყვანა ჩემგან დაწყებული დიდი საქმე, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ მე და შალვა ჭუმბურიძემ მაინც წვეულება გავუმართეთ და პენსიაც მოვუხერხეთ.

რომელი წელი იყო აღარ მახსოვს. მხოლოდ ის მახსოვს, რომ მიხაზე ძალიან გაჯავრებულიც ვიყავ და სულ ჩამოშორებულიც. ეს ჩემი უკანასკნელი და მტკიცე გადაწყვეტილება იყო. მაგრამ უცრად რუსთაველის თეატრიდან მომზევიდა წერილი: სანდორ ახმეტელი ქალალდის ნაგლეჯზე მწერდა, ჩემთან ჩამოდიო.

ჩავედი და მითხრა: შენ ჯილაურის გუნდი ისევ უნდა შეკრიბო და ჩვენს თეატრთან იყოლიო, ყოველგვარ ხარჯებს ჩვენ ვკისრულობთო. წადი ახლავე, აიღე სალაროდან ორასი თუმანი და გლეხებს ახალი, თავიანთებური ტანისამოსი შეუძინეო.

ეს რაღაც ბრძანებასავით ამბავი იყო, იმნაირ ბრძანებასა ჰგავდა, რომელზეც ვერც ერთი ჯარისკაცი უარს ვერ იტყვის. უსიტყვოდ დავმორჩილდი. მაშინვე შევკრიბე გლეხები. ჩამოვიყვანე სოფლიდან რვა კაცი, წავიყვანე თერძთან, ილიკო მახარაძესთან, რომელმაც ორი ათას მანეთად თავიდან ფეხებამდე შემოსა ისნი.

რუსთაველის თეატრის ბრძანებლობაში ვიყავით, ხოლო გუნდი მე მემორჩილებოდა, მე ვიყავ მისი ხელმძღვანელი. ყოველდღე კონცერტი გვქონდა რუსთაველის თეატრის სასადილოში. გლეხები ხან წავიდოდ-

ნენ სოფელში, ხან — ჩამოვიდოდნენ. როცა ჩამოვიდოდნენ, ყველანი პირდაპირ ჩემთან მოდიოდნენ.

ერთ დილას ჩამოსულიყვნენ, მაგრამ ჩემთან აღარ მოვიდნენ. მე არც ვიცოდი მათი ჩამოსულის ამბავი, რუსთაველზე, თეატრის წინ, ფთხენელა დავინახე. ვკითხე: ჩემთან რატომ არ მოხვედით-მეთქი. ხეირიანად არც კი მომსალმებია, პირდაპირ ლანძლვა დაიწყო:

— რა ვიცი, მიხა რაღაც წნელებსა ჰგრეხსო.

— რა წნელებს?

— ისევ პაჭკორიასთან მიდიან! — თქვა და სასწრაფოდ გამშორდა.

მე მამინვე შევედი სანდრო ახმეტელთან და ვკითხე: პაჭკორია გართმევას გუნდს-მეთქი?

ახმეტელი რაღაცნაირად დაილმაჭა და მითხრა:

— იცი, იოსებ, მე მაგ კაცთან ბრძოლა და დავა არ შემიძლია, ამიტომ თავი გაანებე მაგ ჯილაურის გუნდსაო. ამან ყველაფერზე მეტად გამავირვა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ კირილე პაჭკორია მაშინდელ სანდრო ახმეტელზე ძლიერი გამოდგებოდა.

აქ სამუდამოდ ჩამოვშორდი მიხა ჯილაურის გუნდს.

ამის შემდეგ მოხდა ესეთი ამბავიც:

ამხანაგმა სტალინმა, როგორც უკვე ზევით ვთქვი, გაიხსენა თურმე თავისი ძევლი მეგობარი სანდრო კავსაძე და ისურვა: კარგი იქნება: ის კაცი თუ ცოცხალია, შეადგინოს ქართლ-კახეთის გუნდი.

სანდრო კავსაძემ გუნდის შედგენა თავისი ვაჟებს მიანდო.

აქაც დაილაპარაკა ჩემში არა მხოლოდ ეროვნულმა გრძნობამ, არა-მედ ჩვენი საყვარელი და სასახელო ბელადისადმი უაღრესმა პატივისცემამ; მოვისურვე როგორმე მის ყურამდე მიმეყვანა ჯილაურის გუნდი და სანდრო კავსაძეს მივმართე:

— სანდრო, როგორმე ეს ჩინებული გუნდი მარგალიტის თვალივით ჩასვი შენს მარგალიტივით გუნდში და ჩვენს ბელადს ნამდვილი ხალხური სიმღერა მოასმენინე.

მან უარი თქვა.

მაშინ ცეკას მივმართე. ცეკამ გასინჯვა მოითხოვა. გუნდი დავიბარე სოფლიდან, ჩავიყვანე მუსიკალური ხელოვნების სამმართველოში (მახარაძის ქუჩაზე) და ცეკას წევრებს მოვასმენინე საუკეთესო ნომრები, რომლებიც ძალიან მოეწონათ.

ამ ჩემს გუნდს წინ ეჯდა დათაშკა კავსაძე (სანდროს ვაჟი) და ქადალდზე რაღაცებს ინიშნავდა.

ცეკას წევრებმა გუნდი მთლიანად გადასცეს სანდრო კავსაძეს. მან გუნდი სამეცადინო დარბაზში შეიპატიუა და გამოუცხადა:

— თქვენ ჩემს გუნდში იმღერებთ, ხოლო იოსებ მჭედლიშვილი თვალით არ დამენახოსო.

მე არც ვფიქრობდი თვალით დავენახე მას. მხოლოდ ის მიხაროდა, რომ მიხას სიმღერებს ამხანაგი სტალინი მოისმენდა.

დაიწყეს მოსკოვისათვის მზადება.

მაგრამ რა მომზადება უნდოდა მიხას გუნდს?

ის-ის იყო მოახლოვდა დრო, როდესაც ისინი მოსკოვს უნდა გა-
მზავრებულიყვნენ, რომ უეცრად მიხა ჯილაურის გუნდი მთლიანად
დაპატიმრეს.

სანდრო კავსაძეს თავის გუნდის ამარა მოუხდა მოსკოვს წასვლა.

დარბაზობისას, ამხანაგი სტალინი მივიდა სანდროსთან, ხელი
დაჰკრა მხარზე ამხანაგურად და ალექსიანად უთხრა:

— პატკურიამ გაჯობაო (ასე გადმოვცეს იქიდან ჩამოსულებმა).

სანდრო კავსაძემ თავის გასამართლებლად უთხრა:

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, რომლებიც კაი მომღერლები იყვნენ წამოს-
ვლის წინ დაიჭირეს და სიმღერა როგორლა გამომივიდოდა კარგი.

— რადა? — გაიკირვა სტალინმა და მიიხმო ამხანაგი ბერია.

როცა ბერიასა ჰყითხა ბელადმა, რატომ დაიჭირეთ ჯილაურის გუნ-
დიო, ბერიამაც თურმე ხუმრობით უთხრა, შენი მოკველა უნდოდათო.

— არა, — თქვა სტალინმა, — გაათავისუფლეთ ისინი, გლეხები მე
არ მომელავენო.

სანდრომ უთხრა მათი გვარები, სამი გვარი მოიგონა და ორი — ვე-
ლარ. ამიტომ სამი — მიხა ჯილაური, ვანო მჭედლიშვილი და სანდრო
მჭედლიშვილი (ფთხენელა) გაათავისუფლეს, ორი — შაქრო მჭედლიშ-
ვილი და გიორგი კიკოშვილი — დარჩენ პატიმრობის იდუმალებაში.

ასე და ამგვარად

„დასრულდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ლამისა“.

ერთი პატარა სათქმელიც:

1931 წელს, ხალხური სიმღერების უფრო მეტი პოპულარობის მიზ-
ნით, განვიზრახე სიმღერები ზეპირად მესწავლებინა ქართული ოპე-
რის ცნობილი მომღერლებისათვის და მათგან გუნდი შემედგინა.

დიდის ხალისითა და სიყვარულით დამთანხმდა სანდრო ინაშვილი.
ნიკო ქუმსიაშვილიც აღტაცებით შეეგება ჩემს ინიციატივას. დათიკო
ანდღულაძე, დათიკო ბადრიძე და სხვები — ბანების მთქმელნი. ამათ
სანდრო ინაშვილის ბინაზე მოვუყარე თავი.

იქ გამოირკვა, რომ ზეპირად ვერ შეისწავლიან: სიმღერები ჯერ
ნოტებზე უნდა ჩაიწეროს და ჩამწერად გრიძა კილაძე დაასახელეს.

გრიძა კილაძეს ექვსი თვის განმავლობაში ვუმღეროდით ხალხურ
სიმღერებს მე, ჩემი ძმა დიმიტრი, ბიძაშვილები — კოლა და გიორგი,
მაგრამ გრიძამ ვერც ერთი სიმღერა სწორად ვერ ჩაწერა.

იმედს ისევ ჩვენზე ამყარებდნენ, ნიმუში ჩვენ ვიყავით. ბოლოს და-
ვიწყეთ რეპეტიციები ინაშვილის ბინაზე. სამწუხაროდ, ძალიან უძნელ-
დებოდათ სიმღერების შესწავლა. ვერც გრიძა კილაძე გამოდგა კარგი
დირიჟორი, ვინაიდან სიმღერები სწორად არ ჩაწერა და უჩვენოდ ვერა-
ფერს აკეთებდა. ჩემს შენიშვნებს კი თაკილობდა და ბოლოს მოინდო-
მა, თვითონ გასძლოლოდა ამ საქმეს. რაკი მან იკისრა თავკაცობა, მე
ჩემი ძმებითა და ბიძაშვილებით ჩამოვშორდი.

ჩვენი ჩამოშორება და ამ საქმის ჩაფუშვა ერთი იყო...